ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხათუნა დუმბაძე

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში

სამეცნიერო ხელმძღვანელი
პროფესორი ჯემალ კარალიძე

ბათუმი
2022

სარჩევი

შესავალი 2-5

თავი I

ბათუმი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში 6-22

თავი II

ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის 80-იან წლებში, თვითმმართველობი გამოცხადება

&1.სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 80-იან წლებში.....23-43

$ 2.საქალაქო თვითმმართველობის გამოცხადება ბათუმში.....44-49

თავი III

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში

&1.თვითმმართველობის არჩევნები და სათათბიროს შემადგენლობა.....50-62

&2.თვითმმართველობის როლი ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.....63-84

&3.თვითმმართველობის როლის ბათუმის ეკონომიკური განვითარების პროცესში.....85-105

& 4.კულტურისა და განათლების განვითარება ბათუმში და თვითმმართველობა.....106-117

დასკვნა.....112-117

გამოყენებული ლიტერატურა.....118-123

შესავალი

ბათუმის თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღვოდა თვითმმართველობის შექმნის აუცილებლობას.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე საზღვარგარეთ ბაქოს ნავთობის გატანა ფოთით და ბალტიის ზღვის ნავსადგურებით წარმოებდა ამ გზის ნავთობის ექსპორტი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, ნავთობის ექსპორტის საუკეთესო ბაზა ბათუმი იყო. მისი ბუნებრივი ნავსადგური და მოხერხებული სატრანზიტო ადგილი მრეწველთა ყურადღებას იპყრობდა. ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარება ძირითადში ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ხდებოდა.

სწორედ ეკონომიკურმა და იმ სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომლებიც ჯაჭვისებურად იყო ერთმანეთთან ბმაში, გამოიწვია ბათუმის, როგორც ცალკე მუნიციპალიტეტის განვითარება, რეგიონი დაწინაურდა, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბათუმიდან გატანილი ნავთი მთელს მოსფლიოში მოხმარების 21 %-ს შეადგენდა.

1885 წელს ამუშავდა სიდერედისისა და რიხნერის საწარმოები, ხოლო მომდევნო წელს მანთაშევის, ანგელიდისის და სხვა 10-მდე ქარხანა. აღნიშნული ქარხნების უმრავლესობა მეტისმეტად პრიმიტიულად მოეწყო. მაგ: რიხნერის ქარხანა, აღნიშნავს „კვალის“ კორესპოდენტი: „ჩამორჩენილი და მექანიკურად განუვითარებელი იყო“. მოვლენების ასეთმა განვითარებამ გამოიწვია ბათუმის, როგორც თვითმმართველი ქალაქის არსებობა.

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, რომელსაც აწყდებოდა ბათუმის თვითმმართველობა ცარისმის მხრიდან, მაინც უდიდესი როლი აკისრია ქალაქისა და რეგიონის განვითარებაში, ოსმალური საუკუნოვანი უღლი საკმაოდ მძიემე აღმოჩნდა საქართველოს დასავლეთ ნაწილისათვის, მათი პოლიტიკის გატარებას

შეეწირა ბევრი ქართული წეს-ჩვეულება და ადათი. ისინი ებრძოდნენ ქართულს, ცდილობდნენ ჩაეკლათ ყოველგვარი ქართული.

მიუხედავად სირთულეებისა 18877-78 წლების რუსეთ- თურქეთის ომმა განსაზღვრა აჭარის შემდგომი მიმართულება. აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს. ეს იყო აჭარის განთავისუფლება საუკუნოვანი უღლისაგან, ამ მოვლენას დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა მთელი ქართული ერი.

ამის შემდგომ, სწრაფად პროგრესირებდა აჭარის განვითარების ტემპი, ის მალევე გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონი.

მიუხედავად რუსული კოლონიური მმართველობისა, აჭარის ეკონომუიკური განვითარების პერსპექტივა ძალიან მომხიბვლელი აღმოჩნდა მათთვის, სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ისინი ამ იდეისათვის ფრთები, რაც შეიძლება მალე შეესხათ, რითაც ისინი ორმაგ შემოსავალს მიიღებდნენ. აჭარის განსაკუთრებულ მდებარეობა ძალიან ხიბლავდა რუსეთის ხელისუფლებას და ამიტომ ცდილობდნენ ბათუმი გამხდარიყო ეკონომიკური ცენტრი მთელს ამიერკავკასიაში. აჭარის განსაკუთრებული ეკონომიკური დაწინაურება აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ ნავთობის ექსპორტს.

ვინაიდან, XIX საუკუნის 80-იან წლამდე ბაქოს ნავთის გატანა ექსპორტზე ფოთისა და ბალტიის ნავსადგურებიდან საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამან ბათუმის საუკეთესო ექსპორტის ბაზად წარმოჩენას მისცა ბიძგი. ეკონომიკურმა ზრდამ და მრეწველობის განვითარებამ მოითხოვა გზებისა და ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, სწორედ, ამ მიზნის განხორციელბა იყო ქალაქის სარკინიგზო გზის გაყვანა. ნავთობი და ნავთობპროდუქტები არ იყო მხოლოდ აჭარის რეგიონში განვითარებული, რუსეთის მმართველობა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიეღო ამ ჯადოსნური და მრავალმხრივ მდიდარი მიწისაგან, სწორედ ამ მიზნით დაიწყეს ჩაისა და ციტრუსების ნერგების შემოტანა აჭარის შავიზღვისპირა ზოლში.

აღსანიშნავია, რომ 1899 წლისათვის უკვე არსებობდა ორი ქარხანა და ნავთის გასაგზავნი თუნუქის ყუთებისა და კასრების 9 სახელოსნო. ქარხნები და სახელოსნოები ეკუთვნოდა: ხაზინას-1, უცხოელებს-8, სომხებს-6, დანარჩენის

სხვადასხვა პირებს, რომელთა შორის რასაკვირველია არც ერთი ქართველი არ იყო.(69; 45).

მიუხედავად გზების კეთილმოწყობისა, ეს არ იყო საკმარისი. ექსპორტი გაცილებით კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, საწარმოებიც, რომ ტექნიკურად გამართული ყოფილიყო.

XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი გზების გამოჩენამ ნავთობის ექსპორტისათვის, ბათუმის ნავსადგურის დაკნინება გამოიწვია, ამა კი ჯაჭვისებურად გამოიწვია სხვადასხვა კუთხით ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემები. სამრეწველო კრიზიმა გამოიწვია დიდი ქაოსი და დაძაბულობა, დიდი სისწრაფითა და თანმიმდევრობით იხურებოდა ერთი მეორის მიყობელით ქარხნები, რათქმაუნდა ეს პირდაპირ აისახა ადგილობრივი მუშების შემოსავლებზე, ათასობით მუშა დარჩა სამსახურისა და შესაბამისად, შემოსავლის გარეშე.

მიუხედავად ეკონომიკური რღვევის, მუშათა გამოსვლების, მოსწავლეთა გამოსვლების, აჭარაში იგრძნობოდა პატრიოტული სულისკვეთება, რასაც ხელი შეუწყო წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. სწორედ, მათი დამსახურება იყო, ინიციატივა მუშათა წრეებში საგანმანათლებლო სამუშაოები ჩაეტარებინათ, რომელმაც გაათვითცნობიერა ისინი და მისცა ერთგვარი ბიძგი სამოქალაქო საპროტესო ტალღის იდეასა. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ რუსეთი აქტიურად ცდილობდა რელიგიური ფაქტორის გამოყენებას აჭარაში დაძაბულობისა და შიდა დაპირისპირებისათვის, მაგარმ ვერ შეძლო, პირიქით უფრო მეტად იმატებდა სამოქალაქო საპროტესტო ტალღა.

მიუხედავად საპროტესტო ტალღისა, ეკონომიკური რღვევისა, იწყება კულტურული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პერიოდი, ვინაიდან იწყება ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული სულისკვეთებით აღტკინებული ადამიანები. განსაკუთრებით მწვავედ იდგა ქართველ მუსლიმთა საკითხი, ხშირად ცდილობდა მტერი მათ სათავისოდ გამოყენებას, ამიტომ ქართული საზოგადოების ის ნაწილი, ვისთვისაც აშკარა იყო მტრის ზრახვები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნე სწორედ ამ საკითხთან აქტიურ მუშაობას. არ შეიძლება არ გამოვყოთ მემედ აბაშიძისა და ილია

ჭავჭავაძის დამსახურება ამ მიმართულებით, ვინაიდან ისინი ძალიან დიდ სამუშაოებს ატარებდნენ, ცდილობდნენ ორივე მხარისთვის გასაგებად მიეწოდებინათ მდგომარეობის არსი.

სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო XX საუკუნის დამდეგს ბათუმის ოლქში, რთული, მძიმე, მაგრამ ამასთანავე საინტერესო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბათუმის თვითმმართველობიდან მოყოლებული 1914 წლის ჩათვლით პერიოდი ბათუმის ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია, ვინაიდან ორმა ათწლეულმა წელმა ძირეულად შეცვალა რეგიონის მნიშვნელობა და როლი.

თავი I

ბათუმი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში

XIX საუკუნემ ძალიან მწვავე და სახიფათო პოლიტიკური ვითარების წინაშე დააყენა ქართველი ერი. ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული, რომლის პირობებშიც, ფაქტიურად ყოველდღიურად სულს ღაფავდა ყოველგვარი ეროვნული და ქართული. ვინაიდან, ოსმალეთის პოლიტიკის მთავარი საყრდენი ისლამური მოძღვრება იყო, რაც ძალიან მტკივნეულად აისახებოდა ქართველთა ცხოვრებაზე, რადგან აღნიშნულმა ვითარებამ ბიძგი მისცა ნელ-ნელა, ეტაპობრივად, ქართველთა ეროვნული თვითმყოფადობის გაქრობის პროცესს. სწორედ, ამ მიზეზთა ერთობლიობამ გამოიწვია, ქართველთა განსაკუთრებული ინტერესი რუსეთის იმპერიის მიმართ, თითქოს ერთადერთი ხსნა, ჩვენი ეროვნულობის, მიწა-წყლის, დასაბრუნებლად მხოლოდ რუსეთის იმპერია მოიაზრებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს აზრი ნამდვილად არ იყო რეალობას მოკლებული, ვინაიდან რუსეთის იმპერიას ჰქონდა ძალა და შესწევდა უნარი იმისა, რომ გამკლავებოდა ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას. მითუმეტეს, რომ ეს ვითარება მისი გეგმების განხორციელებას უფრო მეტად დააჩქარებდა. ოსმალეთის იმპერიაში დაწყებულმა შიდა არეულობებმა და არასტაბილურმა ვითარებამ კი უფრო დიდი იმედი მისცა, როგორც რუსეთის იმპერიას თავისი სურვილების აღსრულებაში მოყვანისა, ვინაიდან რუსეთის იმპერიის განსაკუთრებულ სურვილსა და დაინტერესებას იწვევდა იდეა, კავკასიის ცენტრალიზაციისა, ასევე ქართველებს მიეცათ საშუალება იმისა, რომ არსებული ვითარება გამოეყენებინათ სათავისოთ.

ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა გააზრებული და გათავისებული რუსეთის იმპერიის ძალა, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საქმეში, სწორედ

ამ მიზნით, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812, 1828-1829 და 1853-1856 წლების ომებში. ქართველები აქტიურად იყვნენ ჩართულები და საკმაოდ ბევრი სისხლიც დაიღვარა, ქვეყნის სამომავლო ინტერესების გასატარებლად. ყველაზე მეტად, რუსეთ-ოსმალეთს შორის ვითარება დაიძაბა, XIX საუკუნის 70-იან წლებში, ვინაიდან ეს იყო პერიოდი, შიდა პოლიტიკური კრიზისისა ოსმალეთში, ფაქტიურად ყოველგვარი საწინააღმდეგო მოსაზრების მქონე ადამიანები, დიდი ცენზის ქვეშ იმყოფებოდნენ, უმალვე ცდილობდა აღმოეფხვრა ყოველგვარი განსხვავებული იდეა და დაეცვა ამით ოსმალეთში არსებული პოლიტიკური ვითარება, სწორედ ასეთ ვითარებაში ბალკანეთის სლავების მფარველად გვევლინება რუსეთის იმპერია, რუსეთის ამ ქმედებამ უფრო მეტად დაძაბა, ისედაც ჩიხში შესული პოლიტიკური ვითარება.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე პერიოდი, განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან საქრთველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი განსაკუთრებულმა მღელვარებამ მოიცვა. აქტიურად ხდებოდა გამოსვლები, განსაკუთრებით საყურადღებოა: 1862, 1873 და 1875-1876 წლების გამოსვლები. განსაკუთრებული მღელვარება იყო ძირითადად ორი საკითხის მიმართ: პირველი, ოსმალეთის მხრიდან გადასახადების გაზრდის საკითხი, და მეორე, ოსმალეთის ჯარში ახალგაზრდების გაწვევის საკითხი. ამ გამოსვლებს, რათქმაუნდა მოჰყვა საპასუხო რეაქციებიც ოსმალეთის მხრიდან, გატარდა მკაცრი რეპრესიები მოსახლეობის მიმართ. 1876 წლისათვის დაპატიმრებულ იქნა ათასზე მეტი ადამიანი.

1877 წლის 12(24) აპრილს ალექსანდრე III კიშინოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. ომით ორივე მხარე იყო დაინტერესებული. პრწყინვალე პორტა, რომელსაც კავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სურდა, სრულ იგნორირებას უკეთებდა რუსეთის მოთხოვნებს. რუსეთი კი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის

შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრნებას და ბათუმის შეერთებას (История внешней политики россии;1997;196). ქართველობა მიესალმა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, ვინაიდან იიჩნევდა, რომ მას „შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება“. საომარი ოპერაციების მსვლელობისას რუსეთის არმიამ დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც კავკასიაში, ასევე ბალკანეთში. აღებულ იქნა ყარსისა და პლევნის ძლიერი ციხესიმაგრეები. ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებებზე შუამდგომლობის თხოვნით (Мегрелидзе;1877-1878;88)

1878 წელის კი ქართველთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მომენტი დადგა, მომენტი როცა საუკუნოვანი განშორების შემდეგ აჭარა დაუბრუნდა დანარჩენ საქართველოს.

დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობის მიუხედავდ აჭარაში არ გამქრალა ეროვნული მთლიანობის შეგნება, მოსახლეობის ასეთი განწყობა გამოხატა გულო კაიკაციშვილმა ქობულეთში შესულ გურიის სახალხო ლაშქრის მებრძოლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს:“ ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები...აქ, ქობულეთში დაგინახეთ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შეასრულა, ღმერთმა შეგვაერთა. ეხლა იმედი მაქვს, რომ ჩევნ ქვეყანაში ნამდვილი ძმები, ბიძაშვილები და ნათესავთაგან შემდგარი ქართველი ჯარი შემოვიდა, გავძლიერდებით ჩვენ, ავმაღლდებით სულით, გულით. თქვენც ჩვენი დაახლოებით გაიხარებთ და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანის სიყვარულით აღსდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას“. სამუსლიმანო საქართველოს დაბრუნების ფაქტს მიესალმა მოწინავე ქართული ინტელიგენცია. სწორედ, მათი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება თბილისში(კარალიძე;2003;215).

ახლად შემოერთებულ მხარეში ბევრი პრობლემა იყო გადასაჭრელი. იმდროეინდელი ქართული პრესა ფართო ადგილს უთმობდ,ა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის პრობლემებს, ცდილობდა ხელი შეეწყო, მათი გადაწყვეტისათვის, მოუწოდებდა თანამემამულეებს არ დალოდებოდნენ მთავრობის ღონისძიებებს, არ მიეტოვებინათ განსაცდელში თანამოძმეები. „გასული ომიანობის წყალობით არ უთესნია, არ უხნავს, მთელი ეს მხარე (საუბარია ქობულეთზე-ავტ) ჯარებითა და მათი ცხენებით არის გადაჯირგალებული, აოხრებული, ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე დარჩა... ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო! რითაც შეგვეძლება დავეხმაროთ ჩვენს ახალ შემოერთებულ მოძმეებს“ (დროება;1879;N32).

ბევრი რამ იყო დამოკიდებული ახალ მმართველობაზე. რუსეთთან შეერთებამდე აჭარა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში შედიოდა. „ბათუმი ლაზისტანის საფაშოს დედაქალაქია, მას მართავს მუთასარიბი ანუ გუბერნატორი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება პორტას და არაპირდაპირ ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს. ამ საფაშოში შედის 11 კაზა, ანუ ოლქი: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი,ლივანი, გონია, ხოფა, არხოვე, ემშინა და ათინა „ (ბაქრაძე;1987;24).

1878 წლის სექტემბრიდან აჭარაში დაიწყო რუსული მმართველობითი სისტემის დამკვიდრება. „5 სექტემბრიდან ბათუმი თავისი ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებს. გუშინ საბოლოოდ დასრულდა ბათუმის ოლქის რუსეთის მფლობელობაში გადასვლა. მთელი მხარის მოსახლეობამ ნებაყოფლობით გამოაცხადა რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულება. ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ ამ ფაქტს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას“ იუწყებოდა „ობზორი“ (обзоръ;1878; N240).

1878 წლის 20 სექტემბრის კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მოაწერა ბათუმის ოლქში ახალი, რუსული ადმინისტრაციული მნიშვნელობის დროებით წესდებას, წესდება 14 პუნქტისაგან შედგებოდა. მასში აღნიშნული იყო:

1.ბათუმის ოლქი შედგება ლაზისტანის სანჯაყის იმ ტერიტორიისაგან, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთს გადაეცა;

2. ბათუმის ოლქი ემორჩილება კავკასიის სამხედრო განყოფილებას, ხოლო სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით კავკასიის არმიის მთავარსარდალს;

3. ბათუმის ოლქში გამგეობას ახორციელებს სამხედრო გუბერნატორი;

4. სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში იხელმძღვანელებს მეფისნაცვლისგან მიღებული ინსტრუქციებით;

5. ბათუმის სამხედრო გუბერნატორს ეყოლება თანაშემწე, რომელიც გუბერნატორის არყოფნის შემთხვევაში შეასრულებს მის მოვალეობას, ის იქნება საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეც;

6. სამხედრო გუბერნატორთან იქმნებდა : ა) სამხედრო კანცელარია ბ) სამხედრო და სამოქალაქო საქმეთა მმართველობა;

7. ბათუმს ერქმება „ნავსადგურის ქალაქი“, რომლის ყველა საქმე მთავარ სამმართველოს მეშვეობით წარედგინება კავკასიის მეფისნაცვალს;

8. ადმინისტრაციულად ბათუმის ოლქში შედის სანავსადგურო ქალაქი ბათუმი და სამი ოკრუგი;

ა) ბათუმის ოკრუგი: შედგება ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უჩასტკებისაგან,

ბ) აჭარის ოკრუგი შედგება: ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის უჩასტკებისაგან,

გ) ართვინის ოკრუგი შედგება: არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უჩასტკებისგან,

9. ოკრუგისა და უბნების უფროსების უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი და ამტკიცებს მეფისნაცვალი;

10. ბათუმის გუბერნატორის წარდგინებითა და მეფისნაცვლის დამტკიცებით ამ თანამდებობებზე შეიძლება ადგილობრივი მცხოვრებლებიც დაინიშნონ;

11. სახელმწიფო დანაშაულისათვის (ღალატი, ხაზინის ძარცვა, ფოსტაზე დაცემა, კაცის განზრახ მოკვლა) ადგილობრივი მაცხოვრებლები რუსეთის კანონებით

იქნებოდნენ გასამართლებულნი, ხოლო ყველა სხვა სახის საქმეებს გაარჩევდა სასამართლო ანუ მეჯლისი;

12. მეჯლისები იქმნებოდა 6 უჩასტკაში და 3 ოკრუგში. ორი იქნებოდა სამაზრო მეჯლისი : ბათუმსა და ართვინში;

13. ბათუმის მაზრის გარეშე სახელმწიფო დამნაშავე არ გასამართლდებოდა;

14. ბათუმში იქნებოდა 100 ცხენოსანი ჩაფარი (დროება; 1878;N 192).

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებამ აჭარა ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეები (გურია, სამეგრელო და სხვა.), ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში კი არ შეიყვანა, არამედ ცალკე ოლქად გამოყო, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა კავკასიის მეფისნაცვალს. ცხადია, ასეთი პოლიტიკური მიზანი საქართველოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებისადმი ხელის შეშლა იყო. „ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა პოლიტიკურმა თავის მიზანს მიაღწია“ (ვარშანიძე;2005;51).

ცარიზმის გეგმით, ბათუმი მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად უნდა გადაქცეულიყო. ამისათვის მას ყველა მონაცემი გააჩნდა. „ ბათუმს რუსეთისათვის აქვს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული და არა, სავაჭრო მნიშვნელობა. რუსეთის მიერ მისი დაუფლება, თურქეთს ართმევს სასაზღვრო ციხესიმაგრეს და საზღვაო სადგომს, სადაც მოწინააღმდეგის სამხედრო ფლოტს მტკიცე ბაზა ჰქონდა ჩვენი სანაპიროების გასაძარცვად... მთელს ანატოლიის სანაპიროზე კონსტანტინოპოლამდე 1000 ვერსის მანძილზე არაფერია მსგავსი ბათუმისა, როგორც გეოგრაფიული, ისე საზღვაო მნიშვნელობით. ყარსის, ოლთისისა და ბათუმის ფლობით რუსეთს გააჩნია მტკიცედ დაცული სამხედრო საზღვარი და არა აქვს არანაირი საჭიროება შეიჭრას თურქეთის პროვინციებში ამიერკავკასიის სამფლობელოების დაცვის მიზნით“ (обзоръ;1878;N318). ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით გადაეცა რუსეთს. ეს გულისხმობდა, რომ ბათუმი უდნა ყოფილიყო „უპირატესად კომერციული“ ქალაქი ღია ყველა ქვეყნის სავაჭრო ხომალდებისათვის. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, რუსეთის სამხედრო უწყებამ სასწრაფოდ დაიწყო ბათუმში მიხაილოვსკის სიმაგრისა და საარტილერიო მასალების

საწყობების მშენებლობა (Батумь и его окрестности;1906;106) ბათუმის ნავსადგურის უფროსად დაინიშნა კონტრ-ადმირალი გრევე, რომელიც აქტიურად იბრძოდა ბათუმის სამხედრო-საზღვაო ძლიერების გაზრდისათვის.

რუსეთის ხელისუფლებამ იმთავითვე კურსი ახლადშემოერთებული მხარის ფართო კოლონიზაციაზე აიღო. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა აჭარის (განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ნაწილის-ავტ.) შესანიშნავი ბუნებრივი პირობები და მისი შესაძლო პერსპექტივა. „ ბათუმის მხარე კლიმატური ბუნებრივი და სასოფლო-სამეურნეო პირობებით, განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა რუსეთის სხვა ადგილებიდან. შეიძლება ითქვას, სწორედ მისი ეს თვალშისაცემი თავისებურება არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბათუმის ოლქის არსებობის პირველივე დღეებიდან აქეთ ისწრაფვიან რუსი ადამიანები, რომელთაც არ აკმაყოფილებთ იმპერიის ევროპული გუბერნიების შედარებით ღარიბი ბუნება“ (ქცსა, ფ.130, ა.1,ს.258;24). მთავრობის განზრახვის განხორციელებას თავისუფალი მიწის ფონდი სჭირდებოდა: „უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ბათუმის, ყარსისა და სოხუმის მაზრებში ამჟამად ადგენენ სიებს იმ ცარიელი ადგილებისა, რომლებიც ხალხის დასასახლებლად გამოადგებოდა. კავკასიის უმაღლესი მთავრობა 400 000 მანეთს თხოულობს ხაზინიდამ იმ განზრახვით, რომ რამდენიმე ათასი რუსი დაიბარონ შუაგულ რუსეთიდამ“ (დროება;1881; N 173). უფრო მეტიც, მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ყოველგვარი გარიგება უძრავ ქონებაზე, ამ ქონებაზე მფლობელობის უფლების განსაზღვრამდე(80*69-70). ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად მთავრობამ ის დაუდო, რომ ასეთი სახის გარიგებები ხშირად დარღვევით ხდებოდა. ე.ი. ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოწესრიგება კი არ სცადა, არამედ საკუთარი ინტერესებისათვის მისი გამოყენება.

სახელმწიფოს ძლიერება და უძლეველობა მოითხოვს განსაკუთრებული ნაწილების შერწყმას. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეროვნულ-ტომობრივი თავისებურებები არ შეიძლება დიდი ბრძოლის გარეშე წაიშალოს. ამიტომ, როცა მიზანდ ვისახავთ განსხვავებული ელემენტების შერწყმა-გაერთიანებას, აღნიშნულ გარემოებას ანგარიში უდან გავუწიოთ და დროებით დათმობებზე უნდა წავიდეთ. მაგრამ, არ უდნა დაგვავიწყდეს საბოლოო მიზანი-

ჰარმონიული ერთიანობის შექმნა. რაც შეეხება კავკასიას, ამ მხარის რუსეთთან შერწყმას წინ უნდა უსწრებდეს მისი გაერთიანება. კავკასია არის ეთნოგრაფიული მოზაიკა, რომლის მსგავსს მცირე ტერიტორიაზე სხვაგან ვერსად შეხვდებით. საჭიროა ტომობრივი განსხვავებათა ლავირება, ერთსახეობის მიღწევა, რადგან ზემოქმედება უფრო ადვილია ერთიან მთელზე, ვიდრე დანაწევრებულ ელემენტებზე (გოგოლიშვილი;1996;;59-60). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მსხვილი რუსი ჩინოვნიკის შეხედულება, საერთოდ კავკასიის კოლონიზაციის საკითხში არ განსხვავდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის მიზნებისაგან, განსხვავება იმაშია, რომ ა.ნიკოლაი მიზნის მიღწევის უფრო დახვეწილ და ცივილურ მეთოდებს სთავაზობს ხელისუფლებას.

ხელისუფლების სურვილს, რაც შეიძლება მეტი მიწა-წყალი ჰქონოდათ აჭარაში „ერთგული ელემენტის“ დასაახლოვებლად, თან ერთვოდა რუსული მმართველობის მანკიერი მხარეები: ჩინოვნიკთა არაკომპეტენტურობა და სიხარბე, რუსული წესების ხელაღებით შემოღების მცდელობა, ენობრივი ბარიერი, უხეშობა, რაც მეტად ძაბავდა პოლიტიკურ ვითარებას აჭარაში. „დროება“ ეხებოდა და ახლად დაბრუნებულ ბათუმში შექმნილ პრობლემებს, წერდა: „ კვირა არ გაივლის ისე, რომ ბათუმის მაზრიდან სამდურავი და საყვედური არ მოგვივიდეს იქაურ წვრილ ჩინოვნიკებზედ, რომელთა მომეტებული ნაწილი სანამ ბათუმის მაზრაში თანამდებობას მიიღებდნენ, სამსახურიდამ დათხოვნილი და ყოფილან სხვადასხვა უკანონო მოქმედებებისათვის ან უნიჭოებისათვის. გარემოება თხოულობს, რომ ახლად შეძენილ საქართველოში ჩვენ გვყავდეს კარგი, პატიოსანი, უანგარო, გამჭრიახი, მამულის მოყვარე ჩინოვნიკები. ამის გამო ჩვენ მივმართავთ ახალგაზრდა ნასწავლ-განათლებულებს და ვეტყვით მათ: წადით ბათუმში! იმსახურეთ იქ!... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან ჩვენის მთავრობისა, ნდობის თვალით შეგვხედვნენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებსა და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას. ამგვარი სამსახური ყოველი საქართველოს შვილის მამულის ძვირფას სამსახურად ჩაეთვლება და შთამომავლობა დააჯილდოებს მას“ (დროება;;1879;N 14).

სან-სტეფანოს ხელშეკრულების მიხედვით, მოსაზღვრე ტერიტორიის მოსახლეობას, სამი წლის განმავლობაში, უფლება ეძლეოდა გადასახლებულიყო. წინასწარი დაზავებით, აღნიშნული პუნქტი ძალაში დატოვა ბერლინის კონგრესმაც. 1879 წლის 27 იანვარს (8 თებერვალს) კონსტანტინოპოლში, რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლი ნებას აძლევდა რუსეთის ახალ ქვეშევრდომებს სამი წლის განმავლობაში გაეყვანათ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება და საცხოვრებლად სასურველ ტერიტორიაზე გადასახლებულიყვნენ. გადასახლების ოფიციალური ვადა 1879 წლის 3 თებერვლიდან 1882 წლის 3 თებერვლამდე განისაზღვრა. თუმცა აჭარა ზოგმა მაშინ დატოვა „როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა“ (Френкелъ;1879;133). ფაქტიურად აჭარის მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება ანუ მუჰაჯირობა ჯერ კიდევ სან-სტეფასნოს ზავის გაფორმების შემდეგ დაიწყო, ე.ი. ერთი წლით ადრე ვიდრე მისი ოფიციალური ვადა განისაზღვრებოდა.

რაში მდგომარეობდა აჭარელთა მუჰაჯირობის მიზეზები?

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ აჭარელთა გადასახლებაში სხვადასხვა ფაქტორმა იქონია გავლენა (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა), მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმან იქონია, რომ ორივე დიდი სახელმწიფო ძველი და ახალი დამპყრობელი იყო აჭარელთა მშობლიური ადგილებიდან აყრითა და ოსმალეთში გადასახლებით დაინტერეებული, ორივე მათგანი ხვალინდელ დღეზე შიშით შემყურე, მოსახლეობის პროვოცირებას ცდილობდა. ამ მიმართულებით, უფრო მაინც, ოსმალეთი აქტიურობდა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებამდე ოსმალეთი, რომლის ზურგს უკან ინგლისი იდგა, აჭარის მოსახლეობას იარაღით ამარაგებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ, როცა ბერლინის ტრაქტატით გადაწყდა აჭარისა და ბათუმის რუსეთისათვის გადაცემა, ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო აჭარის მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლების პროცესი. ოსმალეთის მხრიდან „მოწოდებები“ და ძალად გადასახლების მცდელობა ხშირად შეტაკებამდეც მიდიოდა.

ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებით, რუსეთის იმპერიაც იყო დაინტერესებული, რომელსაც კავკასიის სრული ათვისება ჰქონდა ჩაფიქრებული,

რაც ერთის მხრივ, მოსახლეობის ასიმილაციის, ხოლო, მეორეს მხრივ, მხარის სრული კოლონიზაციის ხარჯზე უნდა მომხდარიყო. ამდენად, აჭარის მოსახლეობის, გასახლების საკითხში ოსმალეთსა და რუსეთს ერთნაირი, დადებითი პოზიცია ჰქონდათ. „ამ საკითხში ორი იმპერიის ინტერესთა თანხვედრა, ხომ უკვე სან-სტეფანოს ხელშეკრულების ხელმოწერისას გამოიკვეთა, როცა მსურველთათვის 3 წლის მანძილზე გადასახლების უფლება ოფიციალურად იქნა აღიარებული. 1878 წლის აგვისტოდან კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა და ამ ეტაპზე მუსლიმ ქართველთა გადასახლების ძირითადი მიზეზიც, სწორედ რუსეთის მიერ აქ განხორციელებული პოლიტიკა გახდა“(უზუნაძე;2001;55).

მართალია, სვიატოპოლკ-მირსკმა აჭარის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ ხელშეუხებელი იქნებოდა ადგილობრივთა ქონება, რელიგია, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები იგივე დარჩებოდა, რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყო, უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დროც(სცსსა,ფ.416 ა.3, ს.163;11).

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული პირობა არ შეასრულა, რამაც ოსმალეთში გადასახლების პროცესს ხელი შეუწყო. მითუმეტეს, რომ ოსმალეთის აგენტები სხვადასხვა ჭორს (სალდათში გაწვევას, ძალად გაქრისტიანებას, ტრადიციების ხელყოფას და სხვა) ავრცელებდნენ. „დროება“ იუწყებოდა: „ ჩვენი ახლადშემენილი მაზრებიდან ადგილობრივი მცხოვრებლები მიდიან ოსმალეთში. მიდიან თითო-ოროლა კი არა, რამდენიმე ასი და ათასი ოჯახი ერთად. რა არის ამის მიზეზი?ახალი მთავრობის დამკვიდრებით, ამათი ცხოვრება ძირიანად შეიცვალა, მაგრამ გადასახლება ამით არ აიხსნება. აქაური მაჰმადიანები მშვიდობიანი, მიწის მომუშავე და შრომისმოყვარე ხალხია... განსაკუთრებით აშინებენ მათ, იმით, რომ ჩვენი მთავრობა იმათ სალდათად გამოიყვანს, რომ შინაური ამათი ცოლ-ქმრობითი ადათი მოისპობა... ამათ მომავლის ეშინიათ და არა ახლანდელი დროისა. (დროება;1879;N150) აჭარის მოსახლეობისთვის ძნელი ასატანი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება, რომ არაფერი ვთქვათ ენობრივ ბარიერზე.

გაზეთი „დროება“ ეხებოდა საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის მიზეზად რუსულ

მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: „ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პაწია, ფუხარა და შეძლებული ყველანი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონთქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავაც გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს, ერთი რაღაცის შემოღების მეტი არ იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად, იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვაღებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მუჰაჯირებს (გადასახლებულებს) კი დააბრუნებს ისევე“ (დროება;1881;N4).

მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. მცირე მიწიანობასა და ოსმალთა ბატონობის შედეგად შექმნილ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებას დაემატა ბათუმის, როგორც მხარის ძირითადი სავაჭრო ცენტრის პორტო-ფრანკოს გამოცხადების ფაქტორი. თავისუფალი ნავსადგური, სადაც ყველა ქვეყნის ხომალდი თავისუფლად უნდა შემოსულიყო, მომგებიანი იყო განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, კერძოდ კი ინგლისისათვის. რუსეთს არ შეეძლო მისთვის კონკურენცია გაეწია, რის გამოც ბათუმი ყოველი მხრიდან ჩაკეტა. ასეთმა მკაცრმა საბაჟო-საკარანტინო რეჟიმმა ბათუმის ოლქის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, კიდევ უფრო დასცა. ასეთი ვითარება ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობას უფრო ამწვავებდა: „ პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ, საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის შოვინისტი მოხელეები უწყობდნენ კიდეც მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას“ (სიჭინავა;1996;100).

ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, მკვლევარი ი.ბარამიძე სამართლიანად მიიჩნევს რუსეთის ხელისუფლების მიერ ახლად შემოერთებულ მხარეში საადგილმამულო ურთიერთობებისა და მიწათმფლობელობის საკითხის გადაუჭრელობას. ხანგრძლივი დროის მანძილზე, მიწისმფლობელობის მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რასაც განიცდიდა სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოს მოსახლეობა, გავლენას ახდენდა ხელისუფლებისადმი მათ სიმპათიებზე და აძლიერებდა სხვაგან გადასახლების სურვილს.

მუჰაჯირობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რელიგიური ფაქტორიც იყო, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ ოსმალეთი და მისი კომისრები აჭარაში.

საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ იშვიათი არ იყვნენ ადგილობრივ მაჰმადიანი კულტის მსახურთა შორის ისეთები, რომლებიც უცხოეთში გადახვეწას მშობლიურ მიწაზე დარჩენას არჩევდნენ და ამასვე მოუწოდებდნე თავიანთ მრევლსაც. ერთ-ერთი ასეთი მაჰმადიანი სამღვდელოს შესახებ მოგვითხრობს ზ.ჭიჭინაძე წერილში „აჭარა“, რომელიც ეხება აჭარიდან მუჰაჯირად წასულთა საკითხს: „ოცდა ხუთ ათას სულამდის შეიკრიბა და რჩევა ჰქმეს გადასახლების შესახებ. ზოგმა თქვა, რომ წავიდეთ და ქედის მუფთის ვკითხოთ და რასაც ის გვეტყვის, რა გვარის რჩევასაც ის მოგვცემს, ჩვენც ისე მოვიქცეთ. ამ დროს აქ მუფთად იყო სოფელ მერისელი, ხალიფაშვილი, ღრმად მოხუცებული, სტამბოლში ნასწავლი. მან მოისმინა ხალხის კითხვები და პასუხი აგო ასე ქართულად: „ხალხო, გაჩერდით... რასაც სხვადასხვა ხოჯები და მოლები გეუბნებიან ის სულ ტყუილია... ჩვენ მათ არ ვიცნობთ, ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ კი რაღაც ჭორებს ვლაპარაკობთ. მოიცადეთ პატარა, მოვიდნენ, გავეცნოთ და თუ მართლა გაქრისტიანებას დაგვიწყებენ, ქალ-ბაღანას მოგვტაცებენ... მაშინ მე თვითონ გამოვალ თქვენს წინ, ხელში თოფს ავიღებ, თქვენც გამომყვებით თან და ვიდრე უკანასკდელი დარჩება ჩვენგან, მანამდის ვიბრძოლოთ და ნურავის დავუთმობთ... თუ არადა, რომ მიდიხართ, აქედან სად მიდიხართ, რათა, რისთვის და საიდან სად? აქ, თქვენი ძველების ყანა-ბაღ-სახლებზეც ცხოვრობთ და ვერ გიცხოვრიათ, აქ მზად სახლი გაქვთ გაკეთებული, ეზო, ბაღი, ყანა და იქ რომ წახვალთ, უნდა იცოდეთ, რომ იქ ესენი არ დაგხვდებათ, იქ დიდ გაჭირვებას ჰნახავთ, ცოლ-შვილი შიმშილისაგან აგიტირდებათ და ეს უფრო დიდი ცოდვა იქნება. აქ გაჩერდით. თუკი მე ვჩერდები, თქვენ რაღა გემართებათ. ხალხი დაწყნარდა, ბრბო დაიშალა, აჭარიდან რომ ასე ცოტა ხალხი გადასახლდა მაშინ ოსმალეთში, ეს სულ ამ მუფთის საქმე იყო“ (ივერია; 1895; N26) - ასკვნის ზ.ჭიჭინაძე.

ვეთანხმები, მკვლევარის ამ შეხედულებას, ვინაიდან გაურკვევლობაში ჩავარდნილი მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანესი იყო მსგავსი შინაარსის

მოწოდებები, რამაც მოსახლეობის დიდ ნაწილში აზრის შეცვლაც გამოიწვია. სწორედ, ასეთი ტიპის მოწოდებებით იყო განპირობებული აჭარიდან მოსახლეობის არა იმ რაოდენობით გადასახლება, რასაც რუსეთი და ოსმალეთი ელოდა, არამედ გაცილებით ნაკლები.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა წაექეზებინა გადასახლების პროცესი და ასე გამოეთავისუფლებინა მიწის ფართობი კოლონისტებისათვის, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხვდებოდნენ ასეთი პოლიტიკის სიმცდარეს. ა.ფრენკელი, რომელმაც 1879 წელს იმოგზაურა აჭარაში, წერდა: „ ასეთმა გადასახლებამ, ჯერ ერთი შეიძლება ჩვენ დაგვაკარგვინოს მამაცი მოსახლეობის კონტიგენტი, ამავე დროს მან შეიძლება შეარყიოს ჩვენი გავლენა მცირე აზიაში და უახლოეს დროში უამრავი წარუმატებლობის წყაროდ იქცეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მალე შეიძლება გახდეს ჩევნი „საბოლოო“ ანგარიშების ასპარეზი თურქეთთან და მის მოკავშირე ინგლისთან. მაშინ ჩვენ ვინანებთ მოუსვენარ აჭარლებზე, რომელთაგან განთავისუფლებასაც ახლა ასე ვჩქარობთ(Френкелъ; 1879;130-131) 1882 წლის თებერვალში დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში იმოგზაურა მთავარსარდალმა, თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა. „ 19 თებერვალს ჭოროხის ხეობის მცხოვრებლებმა, სამასმა ოჯახმა სთხოვა თ.დონდუკოვ-კორსაკოვს ოსმალეთში გადასახლების ნებართვა, მაგრამ მთავარმმართველმა ვერ მისცა მათ ეს ნებართვა. მეორეს მხრივ, მოახდინა განკარგულება, რომ ყველა მუჰაჯირებს (გადასახლებულებს) ოსმალეთიდან უკან დაბრუნების უფლება მიეცეთ(დროება;1882;N39). ძალიან საინტერესოა აქ მთავარმართველის პოზიცია, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, მისი დამოკიდებულება და პოზიცია მიმდინარე პროცესების მიმართ, მისი ქმედება უსვამს ხაზს მუჰაჯირების მიმართ რუსეთის პოლიტიკის პოზიციის შეცვლის მცდელობაზეც.

გადასახლებული მოსახლეობა, საერთოდ ბედის ანაბარად აღმოჩნდა ოსმალეთში, რამაც წასულთა დიდი ნაწილის უკან დაბრუნება გამოიწვია. ასეთი ფაქტები უკვე 1879 წელს მრავლდა დაფიქსირდა, „ბათუმში დაიწყო იმათი დაბრუნება, რომელთაც ქალაქი მაშინ დატოვეს, როცა ბათუმის რუსეთზე გადაცემის შესახებ გამოცხადდა. დაბრუნებული ოჯახების გადმოცემით, გადასახლებულთა მთელი მასა, მოხუცები,

ქალები და ბავშვები, ტრაპიზონში ყოფნის დროს იძულებულნი იყვნენ ღია ცის ქვეშ ეცხოვრათ, დაკმაყოფილებულიყვნენ მოწყალებით, ეავადმყოფად, ეშიმშილათ. თურქეთის ხელისუფლებამ თავშესაფარი მისცა 200 გადასახლებულს, როცა მათი რიცხვი 4000-ზე მეტი იყო. დანარჩენები ბედის ანაბარა დარჩა. ასეთმა ინფორმაციამ გადასახლების მსურველებს ხელი ააღებინა განზრახვაზე((Френкелъ;1879;133) 1879 წელს არაერთი ოჯახი დაბრუნდა ქობულეთში, რომლებიც დევრიშ ფაშას ჯარებს გაჰყვნენ ოსმალეთში(დროება;1879;N87). მეფის რუსეთი ცდილობდა რამდენადმე წაეხალისებინა გადასახლებულთა უკან დაბრუნების პროცესი. „მთავრობა დიდის კმაყოფილებით ღებულობს იმ აჭარლებს, რომელნიც ოსმალეთში გადავიდნენ, იქ შიმშილით კინაღამ ამოწყდნენ და ახლა უკან ბრუნდებიან, ისევ თავიანთ ადგილ-მამულზე დასასახლებლად. მთავრობა უბრუნებს მათ თავიანთ ადგილ-მამულს და კმაყოფილებით ასახლებს იმიტომ, რომ ესენი კარგი მუშა ხალხი და ქვეყნისათვის გამოსადეგი არიან“(დროება;1882; N34)

ამ შემთხვევაში, ავტორს ნაწილობრივ ვეთანხმები და ვთვლი, რომ მხოლოდ აჭარლების შრომისმოყვარეობა არ იყო მიზეზი, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აჭარლების უკან მიღების სიხარული. ვინაიდან, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა სათავისოთ გამოეყენებინა სხვა ხალხები, აქაც ამ შემთხვევაშიც გაუჩნდა რეალური შანსი, იმ განაწყენებული აჭარლების სათავისოდ გამოყენების, თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთში იყო ძალები, რომლებიც კავკასიის კოლონიზაციას დაჩქარებულ ვარიანტს უჭერდნენ მხარს. მათთვის ხელისუფლების გეგმაზომიერი კოლონიზაციის პროექტი მიუღებელი იყო. აი, როგორ აფასებდნენ კავკასიის ჯარების მთავრსარდლის გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებას, გაეკონტროლებინათ გადმოსახლებული კონტიგენტი, რომელსაც ნამდვილად ვერ მივიჩნევთ კავკასიელთა, კერძოდ ქართველთა მხარდამჭერ ნაბიჯად. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-ადიუტანტმა თავადმა სვიატოპოლკ-მირსკმა აუცილებლად ჩათვალა შეეზღუდა ევროპული გუბერნიებიდან გადმოსახლება, რისთვისაც გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც „ მთავრსარდლის სპეციალური ნებართვის გარეშე არავის ეძლეოდა უფლება რუსეთიდან გადმოსახლებისა“. ცხადია,

მთავარსარდლის ასეთი განკარგულება არსებითად ტოლფასი იყო ბათუმის ოლქში გადმოსახლების სრული აკრძალვისა (ქცსა,ფ.130, ა.1,ს.258;24). იმპერიული ზრახვებით შეპყრობილთა ეს „გულისტკივილი“ უსაფუძვლო იყო. ვინაიდან ბათუმი და აჭარის ზღვისპირეთი იმთავითვე რუსეთიდან გადმოსახლებულთა აქტიური ობიექტი გახდა. „ქალაქი ბათუმი შეუწყვეტლივ ივსება ახალი მოსახლეობით“ (აცსა, ფ.6 ა.1, ს194;58) კავკასიის მმართველობა აჭარაში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების დასახლებასაც ცდილობდა. „18 თებერვალს თ.დონდუკოვ-კორსაკოვმა დახედა აქაურ ჯარებს (საუბარია მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის დასავლეთ საქართველოში და კერძოდ ბათუმში მოგზაურობაზე-ავტ.), დაათვალიერეს ყაზარმები. ანატოლიიდან მოსულ ბერძნებს, სულ 1500 სულს,რომლებიც ამ ყაზარმებში დგანან დროებით, თათვადმა უთხრა, რომ მთავრობა ადგილ-მამულსა და სახელებს მოგცემთო“ (39;1882).

ოსმალეთის ხელისუფლების უყურადღებობამ ერთის მხრივ, ბევრს ხელი ააღებინა წასვლაზე, ხოლო მეორეს მხრივ, უკვე წასულთა უკან დაბრუნებაც განაპირობა. 1879 წელს გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა: „ Воть уже более месяцаб как не было ни одного заявления переселении и вобще оставщееся населениа Аджарского округа, надо полагать,совершенно покинуло подобное намерение... по расказам некоторих, уже возвратившися переселенцев, последние в Турсии терпять страшную нужду. Правительство турецкое досих-пор не отвело им никакой земли и не видаэть никогово вспомошествования. Болшая часть виселивщих ищеть случая бежат изь Турции обратно”(93;1879). რამდენი ადამიანი წავიდა აჭარიდან მუჰაჯირად? ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულებაა. ვ.ლისოვსკი 38 000 სულს მიიჩნევს წასულად (Лисовский ;1887;51), თ. სახოკია 21 500 (სახოკია;1995;148). აქედან ყველაზე სამწუხარო ინფორმაციას გვაწვდის ჯ.ვარდმანიძე, აჭარიდან წასულთა შესახებ, ინფორმაციას გვაწვდის და მიიჩნევს, რომ დაახლოებით 28-30 ათასი სული უდნა ყოფილიყო გადასახლებაში, მხოლოდ აჭარიდან(კარალიძე;2002;132).

თუმცა, ამ ციფრის დაზუსტებაც მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოსმალეთში წასასვლელად მომზადებულნი ცდილობდნენ ოჯახების რაოდენობა გაეზარდათ, რათა შემდეგ შეძლებოდათ ცლკ-ცალკე მიწის ნაკვეთების

მიღება. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვივარაუდოთ არსებული რიცხვის უფრო შემცირება.

ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკის მიუხედავად, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა მაინც სამშობლოში დარჩა, ხოლო, წასულთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპეულ კერას. რუსული ადმინისტრაციული სისტემის სიმძიმეს კიდევ უფრო ამწვავებდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ კონსტანტინე ბესარიონის ძე კომაროვის პირადი უარყოფითი თვისებები. კავკასიის მეფისნაცვალმა საქმე იმით გამოასწორა, რომ ბათუმის ოლქის გუბერნატორად კომაროვის ნაცვლად გენერალ-მაიორი სმეკალოვი დანიშნა (სიჭინავა;1996;82). ეტყობა მდგომარეობის არსებითად გამოსწორება ვერც ახალმა გუბერნატორმა შეძლო. ამიტომ გაჩნდა აზრი ბათუმის ოლქის გაუქმებისა და მისი ქუთაისის გუბერნიასთან შეერთებისა. ეს ნაბიჯი სახელმწიფოს არც თუ ისე მცირე ეკონომიას მისცემდა. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის ხარჯები, სასამართლოსა და სხვა სპეციალური დაწესებულებების გარდა, ხაზინას ყოველწლიურად უჯდება 219. 419 მანეთი. ოლქის ცენტრალური მმართველობა შეიძლება გაუქმდეს საქმისადმი ყოველგვარი ზიანის გარეშე, წერდა ჯერ კიდევ 1882 წელს „კავკაზი“(Кавказъ;1882; N32).

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იცვლებოდა საზოგადოების სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა. თუ 1878 წელს ბათუმში ცხოვრობდა დაახლოებით 3 000 ადამიანი, 1882 წელს ქალაქში მოსახლობის რაოდენობამ 8 671 შეადგინა, 1890 წელს ეს ციფრი 18 123 გაიზარდა, ხოლო 1903 წლისთვის 35 000 მიაღწია. (Батумь и его окрестности;1906;460)

XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის მოსახლების მნიშვნელოვან ნაწილს უკვე რუსები შეადგენდნენ (1884 წლის მონაცემებით მათი რიცხვი 5500-ს აღწევდა) (Лисовский;1887;13).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქალქ ბათუმის ეკონომიკური განვითარება ძალზე სწრაფი ტემპით წარიმართა. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნავსადგურისა და ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. სულ

მოკლე დროში ბათუმი თვალშისაცემად შეიცვალა და იგი ყველა მნახველს აკვირვებდა. ქალაქში არნახული გამოცოცხლება შეიმჩნნეოდა. სერგი მესხი, რომელმაც 1878-1882 წწ სამჯერ მოინახულა ბათუმი „დროებაში“ გამოქვეყვენულ წერილში ‘ბათუმი და ბათუმელები“ აღნიშნავდა: მაშინდელი ბათომი (საუბარია 1878 წელზე) ახლანდელს გორზე უფრო პატარა და უშნო ქალაქი იყო.. დიდი განსხვავებაა მაშინდელს და ახლანდელს ბათუმს შუა. სად ახლანდელი ორ-სამ და ოთხეტაჟიანი უზარმაზარი ქვითკირით სახლები და სასტუმროები და სად მაშინდელი მინგრეულ-მონგრეული ხის ქოხები და უწმინდური ყავახანები. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპიული, მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი ჩიტის რძესაც კი იშოვის კაცი და სად მაშინდელი დუქნები, რომელშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდე თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა... საცა არ გაიხედავთ, ყველგან ახალი შენობები გაუშენებიათ ან აშენებენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი „გაპლანულია“, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთსადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინიგზა გაჰყავთ და სხვა და სხვა (დროება;1882; N257).

1883 წელს გახსნილი ბათუმი-სამტრედიის რკინიგზით ბათუმი ბაქოს დაუკავშირდა. „ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ბათუმი გადაიქცა მთავარ არტერიად... ამან უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების, როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს კაპიტალისტურ ეკონომიკასთან დაკავშირების საქმეში. რკინიგზის გაყვანამ და სრულყოფილი ნავსადგურის აგებამ სერიოზული ბიძგი მისცა ბათუმის განვითარებას. „გუშინწინ თავისთვის მივარდნილი, მიყუჩებული ბათუმი, „აზიური ქალაქი“, დღეს ევროპის ქალაქად იქცა, გაევროპელდა! მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნელ-ნელა ხორცს ისხამს“ წერდა „ივერია“ (ივერია;1886;N24)

ამ მცირედი მონაკვეთითაც შეგვიაძლია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად სწრაფად მოხდა ბათუმის ტრანსფორმაცია, რაშიც უმთავრესად გავლენა იქონია მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ.

თავი II

ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის 80-იან წლებში, თვითმმართველობის გამოცხადება

&1.სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 80-იან წლებში

ვაჭრობა ისტორიულად აჭარაში მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა. „აჭარელნი ძველთაგანვე მუშაობასა და ვაჭრობას იყვნენ შეჩვეულნი. ვაჭრობაში ზღვის ნაპირები და ლაზისტანი უწყობდა ხელს“ (ივერია; 1894;N68) ოსმალეთის ხანგრძლივმა ბატონობამ საერთო დაღი დაასვა აჭარის ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ უგზოობის გამო, მხარის სასოფლო-სამეურნეო რაიონები ფაქტიურად მოწყვეტილი იყო ძირითად სავაჭრო ცენტრს-ბათუმს, სადაც დიმიტრი ბაქრაძის ცნობით 800 დუქანი ყოფილა (ბაქრაძე;1987;24). ვაჭართა უმრავლესობა უცხოელები იყვნენ (Френкель;1879;117-118). ადგილობრივი მოსახლეობა ვაჭრობასა და მრეწველობის განვითარებისადმი დიდ ინტერესს არ იჩენდა. „ქართველობამ ვერ შეძლო დროისათვის ალღოს აღება, მრეწველობა, აღებ-მიცემობა მან სათაკილო საქმედ მიიჩნია და სომხებსა და ებრაელებს დაუტოვა ეს დაბალი ხელობა“ (ბათუმის გაზეთი; 1911;N22). ქვემო აჭარის მცხოვრებთათვის მნიშვნელოვან ცენტრს ქედა წარმოადგენდა, სადაც ყოველ პარასკევს ბაზრობა იმართებოდა(მურიე;1962;14). აქ ასაღებდა ადგილობრივი მოსახლეობა ხელოვნურ ნაკეთობებს, მეცხოველეობის პორდუქტებს, ხილს.

აჭარის რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმში ვაჭრობის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა, როგორც თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური პორტო-ფრანკო. მკაცრი კონტროლის მიუხედავად, ბათუმიდან ევროპული საქონელი კონტრაბანდული წესით ვრცელდებოდა არა მარტო დასავლეთ საქართველოში, არამედ თვით რუსეთშიც. რუსულ სამრეწველო საქონელს არ შეეძლო კონკურენცია გაეწია მაღალხარისხოვანი და შედარებით იაფი ევროპული (განსაკუტრებით ინგლისური) საქონლისათის. რუსეთის ხელისუფლება საკუთარი მრეწველ-

კაპიტალისტების ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდა პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებას ბათუმში, რასაც 1886 წლის 27 ივნისს მიაღწია კიდეც. პორტო-ფრანკოს გაუქმება ბათუმში ვაჭრობის განვითარებისათვის უდავოდ უარყოფითი მოვლენა იყო. ოსმალეთიდან ბათუმში მრავალი მუშა, ხელოსანი და მათხოვარა სომეხი მოდის სარჩოს მოსაპოვებლად. ქუჩები სავსეა მოსულებით... საშოვარი, სამუშაო კი ვერ მოუპოვებიათ, რადგან პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ სამუშაო საქმე, ხელოსნობა და ვაჭრობა შემცირდა (ივერია;1887;N24).

ბათუმს შესანიშნავი ბუნებრივი ყურე გააჩნდა „ბათუმის, როგორც ბრწყინვალე პორტის რეპუტაცია განმტკიცებულია ყველა მოგზაურს შორის. ეს სრულად ცხადია ყველასთვის, ვისაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ უცურავს, შეუწუხებია ზღვის ავადმყოფობას და უგრძვნია მისი შეწყვეტა, როცა ხომალდი შედიოდა ბათუმის წყნარ ყურეში“(Обзоръ;1878; N 24). ბათუმის პორტი ძალზე მოხერხებული და ღრმაა.. წყლის სიღრმე შესანიშნავია 26-40 საჟენამდე. დიდ ნავმისადგომთან, ნაპირიდან 20 საჟენზე, შეუძლია მიადგეს ყველაზე დიდ სამხედრო ხომალდებს- წერდა ფრენკელი (80;89). ბათუმის პორტი დაცული იყო ქარებისაგან, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა შესაფერისი ნავსადგურის უქონლობის გამო არ იყო გამოყენებული. აჭარის ვაჭრობის განვითარებას ძლიერ აფერხებდა გამართული კომუნიკაციების არარსებობა. ყოველივე ამის შედეგად მცირე იყო პორტის ტვირთბრუნვა. 1878 წლის 29 ოქტომბრიდან 1879 წლის 1 იანვრამდე ბათუმში სულ შემოუტანიათ 226.782 მანეთისა და 40 კაპიკის საქონელი (მათ შორის უცხოეთიდან 7.200 მანეთისა და 50 კაპიკის, ხოლო რუსეთიდან 219.581 მანეთისა და 90 კაპიკის) (დროება;1879;N44) შესაბამის პერიოდში გაუტანიათ 32.300 მანეთის საქონელი (Кавказский календар;1879;37).

ბათუმის, როგორც მომავალი დიდი სავაჭრო ცენტრის როლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობა ზღვის სანაპიროსთან, შესაძლებლობა დაუკავშირდეს თბილისსა და ბაქოს ერთის მხრივ, ხოლო ყარსს მეორე მხრივ, საშუალებას მისცემს ბათუმს გახდეს ტრაპეზუნის ძლიერი მეტოქე საქონლის ტრანსპორტის საკითხში (Френкелъ;1879;92-93).მაგრამ, არ არსებობდა რკინიგზა, რომლითაც აჭარა ამიერკავკასიის თუ რუსეთის ეკონომიკურ

ცენტრებს დაუკავშირდებოდა. ის კი არა, ნორმალური შიდა გზების უქონლობის გამო ბათუმი თვით ოლქის მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონებს იყო მოწყვეტილი. ოსმალთა ბატონობის დროინდელ აჭარაში გზების მოუწესრიგებლობას საგანგებოდ ეხებოდა პ.უმიკაშვილი „ივერიაში“ 1877 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ოსმალოს საქართველო“: „ეს ლამაზი კუთხე (იგულისხმება აჭარა) საქართველოსი საკმაოდ გამდიდრდებოდა, ცოტაოდენი რიგიანი გზები რომ ჰქონოდა, მაგრამ გზები ისეთი საძაგელი აქვს, რომ მარტო ცხენით თუ ივლის, თორემ ურმის ხსენება არ არის. მმართველობა ამაზე არ ფიქრობს, წყლებზე თუ სადმე ხიდია, ისიც ძველის-ძველად აშენებული, საქართველოს მეფეების დროინდელია. ამის გამო ვაჭრობა და მიმოსვლა ძნელდება“(ივერია;1877;N15) ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს წარმოადგენდა მდინარე ჭოროხი, როგორც საგზაო მაგისტრალი. „ჭოროხზე ნაოსნობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული. იგი მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (უზუნაძე;2001;211) ადგილობრივ მოსახლეობას ამ მდინარის საშუალებით შეეძლო ევაჭრა (საქ. ისტორია;1996;14). „ლივანისა და ბათუმის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა მდინარე ჭოროხი. ნაოსნობა ხდება კაიკუებით... რომლებიც 200 ფუტამდე ტვირთის ეზიდებოდა“(Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака ;1976;22) აჭარის მკვიდრნი გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ . „შავი ზღისა და ჭოროხის სანაპიროებზე მცხოვრებნი ითვლებიან საუკეთესო მცურავებად და ზღვაოსნებად“(Френкелъ;1879;101) ჭოროხზე სამი სახის ნაოსნობა წარმოებდა: სატვირთო, სამგზავრო და შიდასამეურნეო. ართვინიდან ბათუმისაკენ მომავალი ნავები აღვამდე იშვიათად ჩამოდიოდნენ და ძირითადად კაპანდიდთან ჩერდებოდნენ. აქედან ბათუმამდე დიდი მანძილი აღარ იყო, დახლოებით 10 კილომეტრი. ამ გზას კი ართვინამდე მომავალი ნავი მცირე წყლიანობის დროს 6-7 საათში ფარავდა, ხოლო აპრილსა და მაისში, როცა ჭოროხი ადიდდებოდა, ზოგიერთი გამოცდილი მენავე ერთნახევარ საათში გადიოდა ამ გზით მოჰქონდათ ბათუმში უცხოეთში გასატანი ხე-ტყე, ხილი და სხვა.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა აღმოეფხვრა ეს პრობლემა. გზების მოწესრიგება არა მარტო, ეკონომიკური მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი, არამედ ამას მოითხოვდა სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებაც. „ბათუმის მაზრის

შემოერთებისთანავე მთავრობამ დაიწყო გზების გაყვანა ბათუმიდან სამი მხრით: არტაანისაკენ, ახალციხისაკენ და ოზურგეთისაკენ. არტაანისაკენ ბათუმიდან 103 ვერსი გზა ამჟამად არის გაკეთებული ერთი საჟენი სიგანით : ახალციხისაკენ -110 ვერსი, აგრეთვე 1 საჟენი სიგანისა და ბათუმიდან ოზურგეთისაკენ 46 ვერსი, სიგანე 2 საჟენი. სულ ამ გზებზე გასაეთებლად, ხიდებისა და თოფის წამლის ხარჯით, დახარჯულია 442.000 მანეთი“ (დროება;1880;N99).

ბათუმის რუსეთთან შეერთების შემდეგ, მისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის განვითარებისათვის აუცილებელი იყო რკინიგზის გაყვანა და სრულფასოვანი ნავსადგურის მშენებლობა. ამ საკითხების შედარებით სწრაფად გადაჭრას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: ამ დროისათვის რუსეთს მსოფლიო ბაზარზე დიდი რაოდენობით გაჰქონდა ბაქოს ნავთობი, რომლის გატანა ფოთის და ბალტიისპირეთის ნავსადგურებიდან ხდებოდა. ბალტიისპირეთიდან ნავთობის გატანას ბევრი დრო სჭირდებოდა და ძვირიც ჯდებოდა. ნავთობის ექსპორტიორები გამოსავალს ეძებდნენ. ბათუმის განთავისუფლებისთანავე ყურადღება მასზე გაჩერდა, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურზე.

ამიერიდან, აშკარა გახდა ის უპირატესობა, რაც ბათუმს, როგორც საპორტო ქალაქს ფოთთან შედარებით გააჩნდა. „ომამდე (იგულისხმება 1877-1878 წლების ომის) სავაჭრო ადგილი მომატებულად მოხერხებული ჩვენის მხარისათვის მხოლოდ ფოთი იყო. ბევრი ლაპარაკი იმის გაკეთებაზე, იმის ნავსადგურზე, ფულიც ბევრი დაიხარჯა და დღესაც იხარჯება ამ ნავთსადგურის გაკეთებისათვის... ყველაზე მომეტებული მიზეზი ფოთის უკუგდებისა ახლა ის არის, რომ ბათუმს საუკეთესო ნავსადგური აქვს თვით ბუნებისაგან გაკეთებული, რომელსაც გროშის დახარჯვა არც კი მოუნდება... ამგვარად დღეს ფოთი ვეღარ შეეჯიბრება თითქმის გადაწყვეტით უნდა ვთქვათ, რომ არც დღეის შემდეგ დაიჭერს ის ადგილს, რაც აქამდე ეჭირა. ბათომი უპირველეს ადგილად უნდა გადაიქცეს შავ ზღვაზე, ვაჭრებმა დიდი ხანია კარგად გაიგეს და დაესივნენ ბათომს. ბათუმიდან ინგლისის კონსული თავის მთავრობას ატყობინებდა , რომ ბათომი ისეთი წარმატებით ვითარდებოდა, რომ მალე ის „დიდ ზარალს მისცემს და დაამცირებს ფოთისა და ტრაპიზონის ვაჭრობასო“(დროება;1882;N195). მართლაც, 80-იანი წლებიდან ბათუმის

ამიერკავკასიის რკინიგზასთან დაკავშირების შემდეგ, ფოთი დაეცა, ბათუმის სახით მას სერიოზული კონკურენტი გაუჩნდა. რუსეთთან შეერთებამდე ბათუმი უმნიშვნელო ეკონომიკური ცენტრი იყო. ნ.პეტროვსკი, რომელმაც 1878 წელს ინახულა ბათუმი, წერდა: ბათუმში კარგია მხოლოდ ყურე. სხვა მხრივ იგი მოგვაგონებს განაპირა სავაჭრო სოფელს. (Петровский;1879;N3). უმნიშვნელოვანესი იყო ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა, 1,25 მლნ. მანეთი წელიწადში. მაგ:1878 წლის ბოლო სამი თვის მანძილზე საკუთრივ ბათუმისთვის შემოტანილ იქნა მხოლოდ 7.444 ფუტი საქონელი(Батумь и его окрестности;1906;257). მთავარი საქონელი, რომელიც ბათუმიდან გაჰქონდათ ევროპაში იყო: კაკლის ხე, ხე-ტყე, ბრინჯი, ზეთისხილი, ლიმონი, აბრეშუმი, თევზის ქონი, სიმინდი. შემოჰქონდათ: ალეპოსა და დამასკოს აბრეშუმის ქსოვილი, ფოლადის ნაწარმი ინგლისიდან, რკინის ნაწარმი რუსეთიდან, პური, შაქარი, ყავა, პიმპილი, მარილი, ღვინო და სხვადასხვა სასმელები (Френкель;1879;44-45). ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებისათის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ნავთობის ექსპორტს. ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა (აცსა;ფ.6ა.1,ს252;34). ნავთობის მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მასშტაბის ექსპორტირებას ბაქო უმთავრესად ბათუმის მეშვეობით აწარმოებდა (სიჭინავა;1958;119).

1878 წლის 19 თებერვალს(3 მარტს) სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელსეკრულება, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს. ომში მიყენებული ზარალისთვის რუსეთმა მოითხოვა ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი. ვინაიდან ოსმალეთს არ შეეძლო ასეთი თანხის გადახდა, მხარეებიშეთანხმდნენ, რომ გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანსაცვლოს რუსეთი მიიღებდა ტერიტორიულ დათმობებს. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს, ბაიაზეთს და ბათუმს (Сборник договорол с другими государствами;1952;170). სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში, რასაც ვერ შეურიგდებოდნენ ევროპის სახელმწიფოები. ამ მხრივ განსაკუთრებიბით აქტიურობდა ინგლისი, რომელსაც მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი.

აღნიშნულ საკითხებში ევროპისი დიდი სახელმწიფოებისპოზიცია მხოლოდ პროტესტით არ სემოიფარგლებოდა. მათ ფაქტიურად ომისათვის დაიწყეს მზადება. 1878 წლის მარტის ბოლოს პრენიერ-მინისტრ ბიკონსფილდის შუამდგომლობით დედოფალმა ვიქოტრიამ თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისის გემები დარდანელისკენ დაიძრნენ (Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака;1976;226). რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის გამო იძულებული გახდა დათანხმებოდა სან-სპეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე, რომელიც 1878 წლის 1 (13) ივნისს გაიხსნა ბერლინში. მას ესწრებოდნენ რუსეთისა და თურქეთის გარდა ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაცები. კონგრესისი მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ რუსეთი ფაქტიუურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. უპირველესად ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა. რუსეთის დელეგაციაც პრინციპულად წინააღმდეგი იყო ბათუმის დათმობისა. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ბათუმი რუსეთს გადაეცემოდა პორტო-ფრანკოს სტატუსით. ინგლისის დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პრონტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში იგი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისთვის გამოეყენებინა(სიჭინავა;1958;70).

1878 წლის 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარმა ბათუმის დაიკავა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდიმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე III დეპეშით აცნობა:“მაქვს ბედნიერება მოვულოცო თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას ბათუმის დაკავება“ (Троцкий;1999;100).

ბერლინისი კონფერრენციის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა,როგორც პორტო-ფრანკო. მაინც რას გულისხმობდა პორტო-ფრანკოს სტატუსი და როგორი იქნებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის მომავალი. ერთის მხრივ, იქნებოდა დადებითი და მეორეს მხრივ უარყოფითი. დადებითი იმ მხრივ, რომ პრონტო-ფრანკოს პერიოდში ბათუმში ძალიან გაიზარდა

კონტრაბანდული პროდუქციის შემოდინება, რაამც გაზარდა დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელიც, სათავისოდ დაიწყეს დიდმა ქვეყნებმა ბათუმის სათავისოდ გამოყენება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დადებით შედეგი, რაც მივიღეთ, ქალაქის განვითარების მიმართულებით.

„პორტო-ფრანკო“ იტალიური სიტყვაა და ეწოდება ისეთ ნავსადგურს, სადაც როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი საქონლის თავისუფალი, უბაჟო ვაჭრობა ხდება, ასეთი თავისუფალი გაცვლა ხდება ნავსადგურის გარკვეულ, განსაზღვრულ ნაწილში, რომელიც დანარჩენი ტერიტორიისსაგან საბაჟო საზღვრითაა გამოყოფილი. სწორედ ამ ნაწილში არსებულ საწყობებში ხდება საქონლის თავმოყრა, დახარისხება, შეფუთვა და სარეალიზაციოდ დანიშნულების ადგილზე გაგზავნა. პორტო-ფრანკოს რეჟიმის შექმნა გამოიწვია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ გაცხოველებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ევროპის დიდი საზღვაო სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვდა რაც შეძლება დიდი რაოდენობით საქონელი თუ ნედლეული მიეზიდთ. საბაჟო ბარიერები ვაჭრებისაგან როგორც დროს, ისე გარკვეულ ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა, მაშინ როცა საქონლის მფლობელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბაზარზე არსებული პირობები დაზუსტებული. ყოველივე ეს აბრკოლებდა საქონლის იმპრტის პროცესს ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება თავად იყო დაინტერესებული ვაჭრობის განვითარებისა და უცხოური საქონლის მიზიდვის მიზნით შეექმნა საბაჟო ბარიერებისაგან თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის ზონები. პირველად პორტო-ფრანკო შეიქმნა 1547 წელს იტალიის ქალაქ ლივორნოში და მალე მიაღწია საოცარ წარმატებებს. ამის შემდეგ მე-16, მე-18 საუკუნეებში არაერთი პორტო-ფრანკო დაარსდა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. რუსეთში პირველი პორტო-ფრანკო დაარსდა ოდესაში 1817 წელს და ფაქტიურად განსაზღვრა მისი, როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ჩამოყალიბება(Энциклопедический словар изд. Брокгауз;1998;604-605).

„ბათუმი იყო მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში, სადაც 1878 წლის 20 ოქტომბერს ქალაქში შევიდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი და მან იარსება 1886 წლის 27 ივნისამდე, ვიდრე იგი არ გაუქმდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდთე III

სპეციალური ბრძანებით(სიორიძე; 2003;53).პორტო-ფრანკოს რეჟიმმა ბათუმში გააძვირა ცხოვრება.

ფასი აეწია უძრავ ქონებას, დაიწყო დუქნების, საცხოვრებელი სახლების, სასტუმროებისა და საწყობების მშენებლობა. 1883 წლის 21 მარტს ექსპოატაციაში შევიდა ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზი. ამით ბათუმი ბაქოს დაუკავშირდა, რამაც მის შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ბათუმი გადაიქცა მთავარ არტერიად... მან უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების როგორც რუსეთის, ისე მსოფლოს კაპიტალისტურ ეკონომიკათან დაკავშირების საქმეში (ტატიშვილი;1948;7). ბაქოსთან რკინიგზის დაკავშირების შემდეგ ბათუმი უნდა გამხდარიყო ნავთობის ექსპორტის ძირითადი ცენტრი, რამაც დღის წესრიგში დააყენა გამტარუნარიანი ნავსადგურის მშენებლობის საკითხი. ბათუმს ხომ საუკეთესო ყურე გააჩნდა, სადაც ცუდი ამინდის დროს 50 მდე გემს შეეძლო შესვლა. ამ თვალსაზრისით, ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობა მართლაც დიდი იყო. 1879 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ნავსადგურის მშენებლობის პროექტის მომზადება. 1882 წელს კომისიამ პროექტი კავკასიის მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა დასამტკიცებლად. ა.გრევეს პროექტი სიძვირის გამო (8 მილ.მანეთი) მთავრობა არ მიიღო, მაგრამ მის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომელიც უფრო იაფი (5 მილ.მანეთი ჯდებოდა) (სიორიძე;2003;93). 1884 წელს სამშენებლო სამუშაოები, რომელიც ძირითადად 1885 წელს დასრულდა. მაგრამ პორტო-ფრანკოს სტატუსი უარყოფითად მოქმედებდა საკუთრივ რუსეთის ეკონომიკურ განვითარებაზე. პირველი პირდაპირი შედეგი, რაც მოჰყვა ოდესის პორტო-ფრანკოს, ეს იყო შევიწროება არა მარტო ოდესის, არამედ მეთელი უკრაინის სამამულო მრეწველობისა, რომლის ნაწარმსაც არ შეეძლო კონკურენცია გაეწია ევროპის იაფი უბაჟოდ შემოტანილი საქონლისათვის. ამან დიდი დარტყმა მიაყენა საერთოდ რუსეთის სამრეწველო განვითარებას.ხელისუფლებამ მალე დაიწყო ოდესის პორტო-ფრანკოს შევიწროვება და 1882 წელს პირველი შეზღუდვები დააწესა, მაგრამ ამ შეზღუდვებს არ შეეძლო რუსეთის ხელისუფლებისათვის სასურველი მიზნის მიღწევა.

1884 წელს გერმანელმა დორნერმა ააგო ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი აბანო. პორტო-ფრანკოს რეჟიმმა ასევე გაზარდა ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა–1882 წელს ბათუმში იყო ორი მართლმადიდებლური, ერთი კათოლიკური ეკლესია, სამი მეჩეთი, თამბაქოს სამი ფაბრიკა, 8 სასტუმრო, 240 სავაჭრო დაწესებულება. 1885 წელს აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია, რომელიც რუსეთის იმპერიის გამარჯვების სიმბოლო იყო და ამასთან რუსებისა და სხვა აქ მცხოვრები ხალხების გაქართველებისთვის უნდა შეეშალა ხელი.

ორმოცი წელიწადი იარსება პორტო-ფრანკომ, ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ინტერესის დამცველი ძალები ძეუჩერებლად იბრძოდნენ პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ. ეს ბრძოლა თითქმის მისი გამოცხადების დღიდან დაიწყი“ (სიჭინავა; 1976;54-55). მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა მაინც ვერ აღკვეთა ოდესის პორტი-ფრანკოს მეშვეობით რუსეთის ბაზარზე იაფი ევროპული, კონტრაბანდული საქონლის შეღწევა. სწორედ კონტრაბანდის ფართო მასშტაბების გამო რუსეთის ხელისუფლებამ 1859 წლის 19 აპრილს იგი გააუქმა. 1862 წელს პორტო-ფრანკო გამოცხადდა ვლადივასტოკშიც, ოღონდ გარკვეული შეზღუდვებით: სპირტი, ღვინო და თამბაქო ბაჟით იბეგრებოდა. მიუხედავდ იმისა პორტო-ფრანკომ დააჩქარა არამარტო ქ.ვლადივასტოკის, არამედ მთელი მხარის ეკონომიკური განვითარება(სიჭინავა;1976;604-605).

რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დააავალა შეემუშავებინა ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შესაბამისი წესდება. არსებული გამოცდილების საფუძველზე(ქ.ოდესის პორტო-ფრანკოს წესდების მიხედვით) კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ შეიმუშავა ბათუმის პორტო-ფრანკოს წესების პროექტი. იგი შედგებოდა 30 პარაგრაფისაგან, რომელიც იყოფოდა სამ განყოფილებად: 1. საერთო დებულებები, 2.პორტში შემოსული გემებისა და შემოტანილი საქონლის კონტროლის წესები, 3.ბათუმიდან საქონლის გატანის პირობების სესახებ, წესდების მიხედვით ბათუმსა და მის ნავსადგურში ნებადართული იყო უცხო საქონლის თავისუფალი და უბაჟო შემოტანა. ეს შეღავათი არ ვრცელდებოდა საექსპორტო რუსულ საქონელზე.რომლისთვისაც უნდა გადაეხადათ გატანისათვის დაწესებული ბაჟი.

წესდების მიხედვით პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. იქმნებოდა საბაჟო საგუშაგოები, რომელთაც უნდა გაეკონტროლებინათ ქალაქში როგორც საქონლის შემოტანა, ისე განსაკუთრებით მისი გატანა. ამ მიზნით ქალაქს დაუწესდა ოთხი საბაჟო კარი:ოზურგეთის (ქობულეთ-გურიისაკენ), კახაბრის(ქედა-ხულოსკენ), ჭოროხისა(ბორჩხა-ართვინისაკენ) და ჭოროხის ბოლოში (გონია-სარფის გზით ყარს-ტრაპიზონისაკენ) ამ კარებში გატანილ ნნებისმიერ საქონელზე მეპატრონეს უნდა გადაეხადა ბაჟი დაწესებული ნიხრით.

საბაჟო საგუშაგოებისა და მკაცრი საკარანტინო წესების შემოღებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ცარიზმის რეჟიმის დამყარებით ისედაც შეწუხებული მოსახლეობა. ბათუმი ხომ მთელი რეგიონისათვის ერთადერთ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. პორტო-ფრანკოს შემოღების შემდეგ კი ისინი ბათუმისაგან ფაქტიურად მოწყვეტილი აღმოჩნდა. გლეხი ვეღარ ახერხებდა ბაზარზე გაეტანა მის მიერ მოწეული პროდუქტი და ასევე შეიძინა მისთვის აუცილებელი სამრეწველო საქონელი. საბაჟო საგუშაგოების თანამშრომლები უხეშად ჩხრეკდნენ ყველა გამვლელს, მათ შორის ქალებსაც. ამის შესახებ არაერთგზის იუწყებოდა არა მარტო ქართული, არამედ თვით რუსული პრესაც. მებაჟეები ზედმეტი მონდომებით ხანდახან თავს სასაცილო მდგომარეობაშიც იგდებდნენ. „ერთი დედაკაცი მიდოდა ბათუმიდან ქუთაისს, ეს მანდილოსანი საკმაოდ სქელი, რომ იტყვიან, ფაშფაშა დედაკაცი იყო, როცა მივიდა დამოჟნიის(საბაჟოს) მოხელეებთან, ამ უკანასკნელთ იფიქრეს, ეს დედაკაცი ბუნებით სქელი არ იქნებაო, ხელოვნურად გასქელებულა, უთუოდ ტანისამოსის ქვეშ კონტრაბანდა ექნებაო. წაიყვანეს გასასინჯად და რომ ვერც ჯიბეებში, ვერც ტანზედ ვერა უპოვეს რა, დარჩნენ სახტად მეტად ერთგული მოსამსახურეები“(დროება;1884;N77). უფრო კურიოზული ფაქტის შესახებ წერდა „კავკაზი“: ადრე მოსახლეობა მიდოდა ქალაქში (იგულისხმება ბათუმი-ავტ), ყიდულობდა თურქულ ან ფრანგულ საქონელს და მშვიდად ბრუნდებოდა სახლში, არ ეშინოდა, რომ ყარაულები გააჩერებდნენ და აიძულებდნენ მთელი საათობით გაჩერებულიყო საბაჟოზე. ცოტა ხნის წინათ ერთი გლეხი მოვიდა ბათუმში და იყიდა გარდაცვლილებისთვის რამდენიმე არშინი ნაჭერი. იყიდა და წავიდა სახლში, არ შეუვლია საბაჟოზე. არც უფიქრია, რომ ასეთი უმნიშვნელო ნივთისათვის პასუხს

მოსთხოვდნენ, მით უფრო, რომ ნაჭერი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი. მაგრამ, ასე არ გამოვიდა. გზაში ის გააჩერეს ყარაულებმა და ნაყიდი წაართვეს. გლეხი დაბრუნდა ქალაქში, მთელი დღე დადიოდა და ტიროდა, რომ მას მიცვალებული დარჩებოდა დაუმარხავი, რადგან მას აღარ ჰქონდა ფული, რომ ეყიდა სხვა ნაჭერი. მას შეუგროვეს 5 მანეთი და უყიდეს რუსული ჩითის ნაჭერი და გაუშვეს სახლში. რუსულ საქონელზე გადასახადი არ არის, მაგრამ ხალხი შეეჩვია ფრანგულ და თურქულ საქონელს, მით უფრო, რომ რუსული საქონელი უფრო ძვირია (Кавказъ;1879;N48).

სწორედ, ასეთმა არაკონკურენტულმა ეკონომიკურმა გარემომ დააფიქრა რუსული ხელისუფლება, ხვდებოდნენ რამდენად დიდი ზიანის მომტანი ხდებოდა დღითიდღე უცხოური პროდუქციის დიდი შემოდინება მათ კონტროლირებად ტერიტორიუებზე, რაც პირდაპირ აისახებოდა მათ სამრეწველო, თუ ეკონომიკურ რეგრესზე.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა საბაჟოს თანამშრომლები წესდებით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობის საქონლის გატანის უფლებასაც არ აძლევდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, აწვალებდნენ მათ. „მიუხედავად იმისა, რომ დამოჟნიის პოსტები ნახევარ გირვანქა ბრინჯს, ნაჭერ ჩითს და ნაჭერ საპონს არ ატანენ, როგორც დაწესებულია მაზრის მცხოვრებთათვის, უზრდელადაც ექცევიან მგზავრებს, განსაკუთრებით ქურთის და ბოშის დედაკაცებს, რომელთაც ძალიან უზრდელად და ბრიყვად სინჯავენ... ნუთუ ესენი კი ადამიანები არ არიან?!“(დროება;1885;N193). საბაჟოს მოხელეები, გარდა კონტრაბანდული საქონლის ჩამორთმევისა ადგილობრივ მცხოვრებლებს პირად ნივთებს, ხანდახან თვით ცხენსაც კი ართმევდნენ. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ „დროება“ წერდა: „ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის ტამოჟნიის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმქონი. ტამოჟნიის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს, საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს. კანონით ყველაფერი გადახდა მეკონტრაბანდეს. ცხენი რაღა

შუაში იყო, ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?!“ ასეთი ფაქტებით შეწუხებული და მოთმინებადაკარგული მოსახლეობა ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმებას ითხოვდა. „ბათუმის მაზრის მცხოვრებნი სთხოვდნენ გუბერნატორს უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობას, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ აღარ იყოს, რადგანაც დიდი, ძალიან დიდი შევიწროვება ადგიათ ტამოჟნიის მხრით. ერთი არშინი ჩითის წაღება არ შეუძლია ბათუმის მაზრის მაცხოვრებელს, მაშინ, როცა სავაჭრო ცენტრი მთელის მაზრისა ბათუმია“(დროება;1884;N245). ასეთი ფაქტები ძაბავდა და ამწვავებდა ადგილობრივ მოსახლეობას და რუსულ ადმინისტრაციას შორის ისედაც რთულ ურთიერთობას. სხვა ფაქტებთან ერთად, სწორედ პორტო-ფრანკოს შედეგად შექმნილი ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება უნდა მივიჩნიოთ აჭარელთა მუჰაჯირად წასვლის ერთ-ერთ არსებით მიზეზად. „პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი სტოვებდა თავის მშობლიურ საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა“(სიჭინავა; 1958;100).

ცარიზმის ხელისუფლება თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებისა. ასეთი სტატუსი რუსეთს არ აწყობდა, არც ეკონომიკურად და არც სტრატეგიული თვალსაზრისით. მაგრამ, ბერლინის კონგრესზე ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობები ბათუმის საკითხთან დაკავშირებითაც იჩინა თავი. ინგლისს არ სურდა რუსეთისათვის დაეთმო ასეთი ძალზე მოხერხებული ნავსადგური შავ ზღვაზე. იმისათვის, რომ ერთი მხრივ, აეკრძალა რუსეთისათვის სამხედრო სიმაგრეების მშენებლობა ბათუმში, ხოლო მეორე მხრივ, თავად აქცია იგი რუსეთზე ეკონომიკური ზემოქმედების საშუალებად, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლორდმა ბიკონსფილდმა ბათუმში პორტო-ფრანკოს შექმნა მოითხოვა. „ხანგრძლივი დიპლომატიური დაპირისპირებების შემდეგ რუსეთი დათანხმდა, ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებაზე. ასეთი თანხმობა ევროპის სახელმწიფოთა დაწოლის შედეგად მოხდა და იგი არ გამოხატავდა რუსეთის ინტერესებს“ (Кавказъ;1881;N34)

ჩემი აზრით, სწორედ ამიტომაც ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან გაუსაძლისი პირობების შექმნა ადგილობრივ ბაზარზე უცხოური საქონლის მიმართ, რამაც განაპირობა, შემდეგ ბათუმის მაზრის მოსახლეობის უკმაყოფილება და მათი

მოთხოვნა პორტო-ფრანკოს გაუქმების შესახებ. ბათუმის პორტო-ფრანკო მიუღებელი იყო ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი რუსეთის ბურჟუაზიისათვის, რადგან იგი პორტო-ფრანკოს მდგომარეობაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის (განსაკუთრებით ინგლისისათვის) ღია ბაზარს წარმოადგენდა. ცხადია, რუსეთის მრეწველ-კაპიტალისტებს თავისუფალი კონკურენციის პირობებში არ შეეძლო უცხოური (ევროპული) საქონლის მოძალებისათვის. „ოდესის მსგავსად პორტო-ფრანკო ბათუმში საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიისა და თვით რუსეთის მრეწველობის განვითარებას. იგი აბრკოლებდა ბათუმის ეკონომიკურ წინსვლას, ხელს უშლიდა ბათუმში ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნების გახსნას... პორტო-ფრანკოს წყალობით კონტრაბანდულ ვაჭრობას დიდი გასაქანი ეძლეოდა“ (სიჭინავა;1976;59). ამიტომ ისინი დახმარებას ხელისუფლებას სთხოვდნენ, რომელიც ყველა ზომას მიმართავდა, რათა ბათუმის პორტო-ფრანკოს რუსეთის მრეწველობისათვის დარტყმა არ მიეყენებინა. ცხადია, რუსეთს ნაკლებად აშინებდა თურქული ნაწარმის კონკურენცია. მას უფრო აფიქრებდა იაფი, ინგლისური (საერთოდ ევროპული) საქონელი, რომელიც დაუბრკოლებლად იბყრობდა ბათუმის ბაზარს და ადვილად ვრცელდებოდა ქვეყანაში. ამიტომ, მოძალებულ კონტრაბანდას ხელისუფლებამ გარე სამყაროსაგან პორტო-ფრანკოს სრული იზოლირება დაუპირისპირა და საბაჟო-კარანტირების მეშვეობით უმკაცრესი პოლიციური რეჟიმი დააწესა (სურგულაძე;1996;33). ხელოვნური ბარიერების შექმნამ კიდევ უფრო გაართულა ქ.ბათუმთან მისი მიმდებარე რაიონების სავაჭრო ურთიერთობა. ამას ხელისუფლების ზოგიერთი წარმოამდგენელიც აღიარებდა და ცდილობდა გამოსავალი ეპოვნა. ერთ-ერთი ასეთთაგანი ყოფილა ბათუმის ნავსადგურის მაშინდელი უფროსი კონტრ-ადმირალი გრევე, რომელიც 1800 წლის ივლისში კავკასიის ხელისუფლებას მოახსენებდა: „საჭიროა კარგად იქნეს შესწავლილი ხალხის მიერ (იგულისხმება აჭარის მკვიდრთა მოსახლეობა) სამშობლოს დატოვების მიზეზი... გადასახლებაში მიმავალი პირადად დავკითხე, თუ რა არის ამის მთავარი მიზეზი. უმრავლესობამ თითქმის სიტყვა-სიტყვით მიპასუხა: როდესაც, ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენს სოფლიდან მივდიოდით იქ და ვყიდდით კვერცხს, რძეს, ყველს, თაფლს და ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა, ხოლო ვყიდულობდით ქალაქში რაც გვჭირდებოდა და ვბრუნდებოდით სახლში. არავინ ჩვენ არ გვეხებოდა, მაგრამ

ახლა ყველას ისე გვჩხრეკენ, როგორც ქურდებს და რაც ყველაზე უფრო შეურაცმყოფელია, ამოწმებდნენ ჩვენს ქალებს. ყველაფერი ეს იმდენად აუტანელია, რომ ჩვენ უნდა გავეცალოთ აქაურობას“(სიჭინავა;1958;100-101). ძალიან მარტივი წარმოსადგენია არსებული სურათი, თუ რამდენად დამამცირებელი იყო ყოველივე აჭარელი ხალხისთვის, რამაც მიიყვანა ის უმძიმეს გადაწყვეტილებამდე. შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გადაესენიჯა პორტო-ფრანკოს საზღვრები. წინასწარი განზრახვა იყო, რომ იგი შეემცირებინათ. მაგრამ მოხდა პირიქით. კომისიამ ეს საკითხსი ვერ გადაწყვიტა, ხოლო კავკასიის მთავრმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი 1884 წელს ბათუმის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, შუამდგომლობას აღძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ბათუმის პორტო-ფრანკოს საზღვრები გაფართოვდეს. „კავკასიის მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი შუამდგომლობის წინაშე ფინანსთა მინისტრისა და ბათუმის პორტო-ფრანკოს გადიდების შესახებ. ამ შუამავლობის საფუძვლად თავადს მოჰყავს ის გარემოება, რომ საჭიროა დახმარება ნავთის მრეწველობისა ამიერკავკასიაში, რადგან რკინიგზის შეერთების შემდეგ ბათუმის პორტო-ფრანკოს სივიროვე შეადგენს ერთს უმთავრესს შემაფერხებელ ნავთის მრეწველობის წარმატებისათვის„ (დროება;1884;N74). მართლაც, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები ხელისუფლებას ნაკლებად აღელვებდა პორტო-ფრანკოს საზღვრების გაფართოება საშუალებას მისცემდა რუსეთის ნავთის მრეწველებს, აქ აეგოთ ქარხნები და ეწარმოებინათ სამეწარმეო საქმიანობა, მით უფრო, რომ ყოველგვარი დაბეგვრისაგან თავისუფალი იქნებოდნენ. „რათა არ გადაეხადათ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანების, ჩარხების და თუნუქის ბაჟი, მექარხნეები გრძნობდნენ რა პორტო-ფრანკოს საზღვრების სივიწროვეს, აღძრეს შუამდგომლობა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ადგილების ქალაქის ფარგლებში მოსაქცევად, რათა იქ აეგოთ ქარხნები“(ქცსა,ფ.130,ა.1,ს.180;12).

პორტო-ფრანკოს რეჟიმისათვის თანმხლები უარყოფითი მოვლენებისა (განსაზღვრული ტერიტორიის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც თავისთავად აფერხებდა დანაერჩენი ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას, გარკვეული შეზღუდვები აფერხებდა დანარჩენი ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას, გარკვეული საზღვრები და სხვა) და რუსეთის ხელისუფლების მიერ მკაცრი

საკარანტინო პოლიტიკის მიუხედავად, ბათუმის პორტო-ფრანკომ უდავოდ დიდი როლი ითამაშა, როგორც ქალაქ ბათუმის, ისე მთელი მხარის ეკონომიკური დაწინაურების საქმეში“. პორტო-ფრანკოს რეჟიმი სასარგებლოა განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ქვეყნებისათვის, რადგან იგი ქმნის საგარეო სავაჭრო ურთიერთობის ახალ არტერიებს, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალის დაგროვებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის“ (სიორიძე;200;;53).

რუსეთთან შეერთებამდე ბათუმი მართლაც უმნიშვნელო ქალაქი იყო. მოგზაურ ადრიან დიუპრეს სიტყვებით, რომელმაც ინახულა ბათუმი 1807 წელს, ამ ქალქს ყოფილი სოფლის სახე უფრო ჰქონდა, ვიდრე ქალაქური დასახლების. ბათუმის განვითარების მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ინგლისის კონსული პალგრევი თავის 1872 წლის ანგარიშში: „ოცი წლის წინათ ბათუმი იყო მხოლოდ პატარა დაბა, მაგრამ შავ ზღვაზე რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ფოთთან მეზობლობის წყალობით, მან შეიძინა სავაჭრო მნიშვნელობა და მალე გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ამ სანაპიროს სხვა პორტები. ამ დროის ბათუმში სულ 246 სახლი იყო. ქალაქის მუდმივი მაცხოვრებლების რიცხვი 1383. დაახლოებით 400 სული არამუდმივად ცხოვრობდა. მას აქვს ქარებისაგან საიმედოდ დაცული ბრწყინვალე და ღრმა ყურე. გზების უქონლობის გამო ბათუმში ვაჭრობა უმნიშვნელოა“(Батумь и его окрестности;1906;351-352).

XIX საუკუნის 50-70-იან წლებში, თურქეთის მმართველობის ბოლო პერიოდში, ბათუმის ზრდა-განვითარებას ორი მომენტი განაპირობებდა: ბრწყინვალე ბუნებრივი ყურე და 50-იან წლებში დაფუძნებული რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების სააგენტო თავისი საწყობებითა და სხვა ნაგებობებით. ბათუმი გახდა ყირიმ-კავკასიისა და ანატოლიის სავაჭრო ხაზინის ბოლო პუნქტი. მიუხედავად ამისა, ბათუმის სავაჭრო მნიშვნელობა კვლავ შედარებით უმნიშვნელო იყო. შემოჰქონდათ ძირითადად ქვანახშირი და სხვადასხვა საქონელი, გაჰქონდათ სამშენებლო ხე-ტყე და მარცვლეული. იმპორტი სჭარბობდა ექსპორტზე. საშუალოდ წელიწადში შემოჰქონდათ 199.000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების საქონელი,

ხოლო გაჰქონდათ 179.000 ფუნტის ღირებულების საქონელი(Батумь и его окрестности;1906;354).

რუსეთის მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ, ერთხანს გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. შიშობდნენ, რომ გაზაფხულზე კვლავ ომი განახლდებოდა. ბუნდოვანი პოლიტიკური ვითარება ბევრს აიძულებდა ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში კაპიტალდაბანდებებისაგან თავის შეეკავებინა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ბათუმისმ დგომარეობაზე. ბევრი, ვინც ახლადშემოერთებული ბათუმი ნახა, აცხადებდა, რომ ბათუმში ვაჭრობა კიდევ უფრო დაეცა. თუმცა ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ბათუმში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაიწყო. 1878-1882 წლებში ბათუმში მომხდარ ცვლილებებზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს სერგი მესხის მიერ 1882 წლის 8 დეკემბერს „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ბათომი და ბათომელები“:პირველად მე ვნახე ბათომი იმ დღეს, რა დღესაც რუსებმა დაიჭირეს(26 მარიამობისთვეს 1878 წლის) ეს იყო ის დღე, როდესაც ოსმალოს მთავრობა და ჯარი თავის დერვიშ-ფაშით სტოვებდა ამ ქვეყანას და მაგივრად, შიგ რუსის ჯარი და მთავრობა შედიოდა. მთელი ქალაქი, მთელი ეს მხარე არეული იყო მაშინ... მაშინდელი ბათომი ახლანდელს გორზე უფრო პატარა და უშნო ქალქი იყო. ორ-სამ რიგიან სახლს ვერ ნახავდით, ტალახიანი, ოღროჩოღროიანი, ბნელი ქუჩები, აზიური ბაზარი და სხვა...

ერთი წლის შემდეგ კიდევ მომეცა შემთხვევა ბათომის ნახვისა... ქ.ბათომში უჩვეულო მოძრაობა გაჩნდა, გაჩენილიყვნენ უანგარიშო პირნი, უცხო ქვეყნებიდამ მოსულნი, რომელნიც ამ ახლად დაპყრობილ ქვეყნებში ხელის მოთბობას, ჯიბის გავსებას ჰლამობდნენ. ვინც არ გინდა მამულს იძენდა, სახლების აშენებას ჰფიქრობდა.

დღეს მესამედ ვიყავი ბათუმში. „პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო, რომ ის „გავსილა“, „გაზრდილა“, გარეგანის შეხედულებით დიდი გასხვავებაა, მაშინდელს და ახლანდელს ბათომს შუა. სად ახლანდელი ნამდვილი ევროპული მდიდარი მაღაზიები, რომლებშიც მგონი ჩიტის რძესაც კი იშოვის კაცი, და სად მაშინდელი დუქნები, რომლებშიაც მუხლმოკეცილი ბათომელი ორიოდ თოფ ტრაპიზონის ჩითეულობით ვაჭრობდა... საცა არ გაიხედავდით, ყველგან ახალი შენობები

გაეშენებინათ ან აშენებდნენ. მთელი ახალი უბნები გაკეთებულან, ქალაქის ბაღს ჰმართავენ, ქალაქი „გაპლანულია“, ტბებს აშრობენ, წყალი გამოჰყავთ, ნავთ-სადგურის გაფართოებას აპირებენ, რკინიგზა გაჰყავთ და სხვა და სხვა“(დროება;1882;N257).

განთავისუფლების შემდეგ ბათუმს აუარებელი ბედის მაძიებელი მოაწყდა, ვისაც სურდა რაიმე ხერხით მოგება ენახა. „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ, ყველა აქ მოელის გაკეთბას. დარბიან, დაცმაცუნობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ, დილიდან-საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ყიდულობენ, „საქმეს“ ეძებენ“-წერდა სერგეი მესხი(მესხი;1964;36). ასეთ ვითარებაში ძალზე სწარაფად იზრდებოდა ფასები მიწაზე. „კავკაზი“ იუწყებოდა: „უეჭველად მდიდარი მომავლის გამო, რომელიც გააჩნდა ბათუმს, დიდძალი ფულიანი ხალხი ცდილობს აქ საცხოვრებლად გადმოსვლას. ქალაქში მიწა დასწრებაზეა ზღაპრულად მაღალ ფასებში, სახლები იზრდება, როგორც სოკოები. რუსული სავაჭრო ფირმები ითხოვდნენ სასაწყობედ ბათუმის ნავსადგურში მიწების გამოყოფას (აცსა,ფ.6,ა.1,ს.1;12). ბევრი ცხდილობდა ამ მხრივ ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვებას. თუ რამდენად იყო დაინტერესებული რუსეთის კაპიტალისტური წრეები, ბათუმით გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების დირექტორის კონტრ-ადმირალ პ.ჩიხაჩევის N 232-ე მიმართვა, გაგაზავნილი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში 1878 წლის 28 სექტემბერს. წერილის ავტორი მადლობას მოახსენებს მეფისნაცვალს ბათუმ-ყირიმის საზღვაო ხაზის გახსნის საკითხში მხარდაჭერისათვი. „რომ საზოგადოება დაუყონებლივ შეუდგა ყირიმ-კავკასიის რეისების, როგორც წლიური, ისე პირდაპირის, ბათომამდე გაგარძელებას,რომელიც იქნება ამ ხალხის ბოლო პუნქტი. ეს უდავოდ მოუტანს სარგებლობას მხარის გამოცოცხლებას და ხელს შეუწყობს სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას... ამჟამად საზოგადოების მთავრი საზრუნავია დროულად უზრუნველყოს თავი სანაპიროზე მოხერხებული ადგილით სააგენტოს მოწყობისათვის და საწყობებისათვის. ასეთი ადგილის შეძენა ამჟამად კერძო ხელიდან, ბათუმში არსებული სპეკულაციური ციებ-ცხელების გამო შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია საზოგადოებამ მიაღწიოს მთავრობის მხარდაჭერას“ (აცსა,ფ.6,ა.1,ს.1;14-15). ხელისუფლება მართლაც ცდილობდა ფოთის

მიმდებარე მიწების გამოთავისუფლებას. კერძო მიწათმფლობელებისაგან ცდილობდა გამოესყიდა მათი ნაკვეთები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მიწის მეპატრონეები დაზარალებულნი რჩებოდნენ, მას ან საბაზრო ღირებულების შესაბამისად არ აძლევდნენ მიწის საფასურს, ან საერთოდ მეპატრონეს მიწის საფასურის მისაღებად წლობით უწევდა საჩივრის წერა. მაგ:1885 წელს ბათუმში ფერად-ბეგ ბეჟანიძეს და მის ძმებს ჩამოაჭრეს და პორტს გადასცეს 28 კვ.საჟენი მიწა. მათ საფასური დიდხანს არ გადაუხადეს. ბევრი დავიდარაბის შემდეგ 1895 წლის 30 ნოემბერს კავკასიის სამოქალაქო მმართველის 10836-ე ბრძანებით ბეჟანიძეები პორტისათვის გადაცემული მიწის საფასურად მიიღებდნენ (განვლილი წლების პროცენტს დარიცხვით) სულ 1400 მანეთს, ოღონდ მიწისმფლობელის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში“(სცსსა,ფ.12, ა.1, ს.156;9-12).

XIX საუკუნის 80- იანი წლებიდან ბათუმი სწრაფად ვითარდებოდა. ამას უმთავრესად მოხერხებული ნავსადგური განაპირობებდა. განვითარების ტემპები უფრო თვალსაჩინო გახდა 1883 წლიდან, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი. ამ ზრდის საილუსტრაციოდ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაც მეტყველებს. თუ 1878 წელს ბათუმში სულ შემოვიდა 29.776 ფუთი საქონელი, 1883 წელს შემოვიდა 922.423 ფუთი, ხოლო 1886 წელს-2.732.746 ფუთი. თუ ადრე შემოტანა აჭარბებდა გატანას, ეხლა ვითარება საპირისპიროდ შეიცვლება. მაგ:1878 წელს შემოიტანეს 906.330 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს 365.712 მანეთის, 1886 წელს სულ შემოიტანეს 2.732.746 ფუთი, ხოლო გაიტანეს-19.667.885 ფუთი (Батумь и его окрестности;1906;357-375).

ასეთი წარმატებებით ბათუმი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა შავი ზღვის სხვა მეზობელ პორტებს. „დროება“ წერდა: „ინგლისი ბათუმელი კონსული თავისი მთავრობისადმი მოხსენებაში ამბობს, რომ ბათუმი თანდათან ისეთს წარმატებაში მიდის, რომ იმის ნავსადგური, უეჭველია დიდ ზარალს მისცემს და დაამცირებს ფოთისა და ტრაპზონის ვაჭრობასაო“ (დროება;1882;N195). „დიდი ხანია, შავ ზღვაზედ გამოჩენილ ქალაქებში იხსენიება ბათუმი... ბათუმს საუკეთესო ნავსადგური აქვს თვით ბუნებისგან გაკეთებული, რომელსაც გროშის დახარჯვა არც კი მოუნდება.. დღეს ფოთი ვეღარ შეეჯიბრება და თითქმის გადაწყვეტით უნდა

ვსთქვათ, რომ არც დღეს შემდეგ დაიწერს იმ ადგილს, რაც აქამდის აწერია. ბათომი უპირველეს ადგილად უნდა გადაიქცეს შავ ზღვაზე, ვაჭრებმა დიდი ხანია კარგად გაიგეს და დაესივნენ ბათომს“(დროება;1882;N110).

ვაჭრების გამოცოცხლება გახდა მთელი ქალქის განვითარების საფუძველი. შემოსავლების ზრდამ ქაალქის იერსახეზე დადებითი გავლენა იქონია. „ივერია“ წერდა: „გუშინწინ თავისთვის მივარდნილი, მიყუჩებული ბათუმი, „აზიური ქალაქი“, დღეს ევროპის ქალაქად გადაიქცა, გაევროპელდა!.. მოქალაქეობრივი ცხოვრება ბათუმში ნელნელა ხორცს ისხამს... ბათუმს აქვს წლიური შემოსავალი 80.000 მანეთზე მეტი. ამ შემოსავლის რაოდენობა ყოველს წელს ჰმატულობს“ (ივერია;1886;N24).

80-იანი წლებიდან ბათუმის, როგორც მნიშვნელობანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის განვითარებაში დიდი იყო პორტო-ფრანკოს როლი. ამას თვით რუსეთის ოფიციალური პირებიც აღიარედნენ:„რა თქმა უდნა პორტო-ფრანკომ, დაფუძნებულმა ისეთ ნაკლებად კულტურულ პუნქტში, როგორიც ბათუმია, გარკვეული გავლენა მოახდინა მის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაზე“ (Батумь и его окрестности;1906;357). ე.ი. მეფის მოხელეები ბათუმის წარმატებებს მისი თავდაპირველი ჩამორჩენილობით უფრო ხსნიან, ვიდრე პორტო-ფრანკოს დამსახურებად მიიჩნევდნენ.

ეკონომიკური წარმატებების კვალობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის შემოსავლები. ქალაქის ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) ზრდის დინამიკა 1879-1887 წლებში ასეთ სურათს გვაძლევს (Батумь и его окрестности;1906;482).

წელი	შემოსავალი	გასავალი
1879	21.010 მან	12.600 მან
1880	27.466 მან. 02 კაპ.	17.158 მან. 22 კაპ.
1881	29.971 მან. 99 კაპ.	23. 109 მან. 67 კაპ.
1882	68.094 მან. 07კაპ.	75. 017 მან. 81 კაპ.

1883	68.471 მან. 26 კაპ.	68. 163 მან. 71 კაპ.
1884	75.690 მან. 98 კაპ.	75. 647 მან. 34 კაპ.
1885	85.994 მან. 84 კაპ.	92. 864 მან. 94 კაპ.
1886	90.444 მან. 30 კაპ.	110.699 მან.. 98 კაპ..
1887	116.394 მან. 82 კაპ.	107.178 მან. 14 კაპ.

რუსეთის ხელისუფლება, რომელიც თავიდანვე წინააღმდეგი იყო ბათუმში პორტო-ფრანკოს შემოღებისა, სარგებლობს რა 80-იან წლებში ევროპის სახელმწიფოთა შორის გადაჯგუფებით, თანდათან იწყებს პორტო-ფრანკოს შეზღუდვას. 1886 წლის 27 ივლისს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III ბრძანებით ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოცხადდა. ამ ფაქტმა უდავოდ უარყოფითად იმოქმედა ბათუმის განვითარების პროცესზე. „ივერია“ წერდა : „პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ სამუშაო საქმე, ხელოსნობა და ვაჭრობა შემცირდა“ (ივერია;1887;N84).

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებას. ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო შექმნილი საბაჟო-საკარანტინო უმსგავსობით, ბიუროკრატიზმით და ძალადობით. ილია წერდა : „ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გაჭირვებასა და შეწუხებას, რაც მის გამო ხალხს ედგა, ვგონებ საბუთი გვქონდეს სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათომმა იქნება მაგით ცოტად თუ ბევრად იხეირა, მაგრამ ეს ხეირი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოღებული (ჭავჭავაძე;1887;296).

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ნაკლოვანება ახლდა თან ზემოთ აღნიშნულს, ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად შექმნილიც, ვინაიდან ამ რეჟიმის გაგრძელება რუსეთის იმპერიის მიზნებში სულაც არ შედიოდა, არ შეიძლება იმისი უგულველჰყოფა, რა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც გვაქვს რეგიონის განვითარების საქმეში.

ვფიქრობ, რომ პორტო-ფრანკოს რეჟიმის დიდი დამსახურებაა, ბათუმის ფორმირებისა და პროგრესის თვალსაჩინო ცვლილება.

$ 2.საქალაქო თვითმმართველობის გამოცხადება ბათუმში

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოსთვის გარდამტეხი პერიოდია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით დატვითული. ბათუმისთვისაც ვერ ჩაივლიდა ეს ყევლაფერი უმნიშვნელოდ, პირველი, ის რომ საკამოდ რთული პერიოდი ედგათ მეზობელ სახელმწიფოებს და მეორე, საქართველოს ბევრ ქალაქს უკვე ჰქონდა თვითმმართველის სტატუსი. შეიძლება ითქვას, რომ ბათუმი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა პროცესებს, ვინაიდან ნიადანი საკმაოდ ნოყიერი იყო.

საკმაოდ საინტერესო გზა გამოაირა ბათუმმა, მანამ სანამ თვითმმართველობის საკითხი დადგებოდა, ჯერ იყო ბათუმის ოლქად გამოცხადების პრცესი, შემდგომ ქალაქის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება, რომელმაც ვერ იარსება დიდხანს. ამ მოვლენება გავლენა იქონია ბათუმის, როგორც ეკონომიკურურ, ასევე სხვა მხრივ განვითარების პროცესზე, საზოგადოებისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა, ვინაიდან სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ქართველები დიდად განსხვავდებოდნე ცხოვრების სტილით დანარჩენი ქართველებისაგან, ოსმალეთის საუკუნოვანმა ბატონობამ თავისი ნიშა დაატყო საქართველოს ამ ნაწილს. ამიტომ არის განსაკუთრებულად საინტერესო პროცესი, თუ როგორ გარდაიქმნა იმ რეალობიდან, იქამდე, რომ დამდგარიყო დღის წესრიგში თვითმმართველობის საკითხი.

საქართველოში თვითმართველობის ისტორია, თბილისიდან იწყებს სათავეს, სწორედ თბილისი გახდა პირველი ქალაქი, რომელმაც მოიპოვა სტატუსი თვითმმართველი ქალაქისა, ხოლო თბილისი გახდა ბიძგი და მოტივატორი სხვა ქალაქებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი უფრო ადრე იწყებს ბრძოლას თვითმმართველი ქალქის სტატუსის მისაღებად, ეს ძალიან გაიწელა დროში. რუსეთის იმპერიის მხრიდან რამოდენიმეჯერ უგულველყოფილი იქნა ეს საკითხი. პასუხი კი თუ რატომ არ ეძლეოდათ აღნიშნული სტატუსი, პასუხად ვიღებთ შემდეგს: „რომ ბათუმი, არ არის მზად, თვითმმართველი ქალქის მისაღებად, რომ აქ არ არის შესაბამისად გაანთლებული მოსახლეობა“, ეს აზრი, ნამდვილად არ არის რეაოლობას მოკლებული, ვინაიდან ოსმალეთის საუკუნოვანმა მართველობამ, მართლაც რომ ამ მხრივ ძალიან დიდი დაღი დაასვა აქ მაცხოვრებელ ხალხს, ვინაიდან , თვით

ოსმალეთშიც საკმაოდ მძიმე ვითარება იყო ამ მიმართულებით. საყურადღეობა ერთი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმმა 1888 წელს მიიღო თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, ქალაქის თავი არა არჩევითი არამედ დანიშვნითი იყო, რაც სხვა თვითმმართველ ქალქებში არ გვხვდება, ეს კი ახსნილია, ზემოთხსენებულით.

1875 წ. თბილისისი საშემოსავლო ბიუჯეტი უდრიდა279 037 მან., 1883 წ. – 531 733 მან., 1894 წ. – 1 059 815 მან., 1900 წ. – 1 361 636 მანეთს. ქუთაისის თვითმმართველობის შემოსავალი შეადგენდა: 1881 წ. – 61 577 მან., 1884 წ. – 105 000 მან., 1900 წ. – 236 654 მანეთის. ფოთის საშემორსავლო ბიუჯეტი1885 წ. უდრიდა 35 856 მან., 1890 წ. – 40 592 მან., 1895 წ. – 555 589 მან., 1990 წ. – 174 163 მანეთს. ქ. ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტიXIX ს-ის80-იან წლებში50 –100 ათას მანეთს არ აჭარბებდა, 90-იან წლებში კი500 – 600 ათას მანეთს მიაღწია. საკმაოდ სწრაფად მატულობდა ქ. სოხუმის შემოსავალიც. ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, ახალქალაქის, ოზურგეთისა და დუშეთის საშემოსავლო ბიუჯეტი კი მეტად ნელა იზრდებოდა. (საქ. ისტ. ნარკვ;1970; Vტ;,706)

1887 წელს ბათუმის საქალქო მეურნეობის რევიზიის შედეგად საპოლიციო მმართველობის მხრიდან სერიოზული ფინანსური დარღვევები და გაფლანგვები გამოვლინდა. უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებიც დარწმუნდნენ ბათუმში არსებული მმართველობის უსარგებლობაში და თვითმმართველობის შემოღებაზე დაიწყო ფიქრი. 1887 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა გროსმანმა აღძრა შუამდგომლობა ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოსაღებად. „საკვირველმა ზრდა-წარმატებამ ვაჭრობისა, მრეწველობისა და სამოქალაქო ცხოვრებისამ, ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ გროსმანი და გააბედვინა ეთხოვნა უმაღლესი მთავრობისათის საქალაქო თვითმმართველობის დაწესება ბათუმში, მითუმეტეს, რომ ახალი მდგომარეობა ქალაქისა, მისი გაცხოველებული ცოხვრება და ახალი რთული ასპარეზი საშინლად უძნელდება თავის მოვალეობას ადგილობრივ პოლიციას“(კვალი;1891;N23).

1887 წლის ნოემბერში მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოსაღებად მოსამზადებელი სამუშაოების

გასატარებლად შექმნა განსაკუთრებული კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ.სევერინი(კომისიის თავმჯდომარე), ახმედ-ბეგ აბაშიძე, ჰუსეინ ეფენდი ყარა ზადე, სთ.ზროდლოვსკი, ა.კოიანდერი, ხ.სიმეონიდი, ა.ციმერმანი, ი.შადინოვი, ს.შიპოვი (Батумь и его окрестности;1906;485-486)

მალე გამოირკვა, რომ დარღვეული იყო საკანონმდებლო პროცედურა (არ იყო უმაღლესი განკარგულება ბათუმში საქალაქო რეფორმის გატარების თაობაზე). 1888 წლის მარტში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ გროსმანის განკარგულებით კომისიის მუშაობა შეაჩერეს და ყველა მისი საქმეების პოლიციის მმართველობას გადასცეს. ამის შემდეგ პეტერბურგში გაიგზავნა შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც, 1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი განკარგულება 1870 წლის 16 ივნისის დებულების საფუძველზე ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის, საქალაქო თვითმმართველობის ძირითად ფუნქციებში შედიოდა კომუნალური საკითხების გადაჭრა, ასევე უნდა შეეწყო საჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელი, უნდა ეზრუნა საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნაზე, აქ იგულისხმება, სკოლების, ბიბლიოთეკები და ა.შ. ასეევე მის პრეროგატივაში შედიოდა არა მარტო საგანმანათლებლო და სამრეწველო საქმიანობის მოწესრიგება, არამედ საავადმყოფოების გახსნა და საქველმოქმედო დაწესებულებების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის მთავარი ამომავალი წერტილი სწორედ, რომ ქმედებათა თავისუფლება იყო, ძალიან მკაცრად კონტროლდებოდა მისი მხრიდან თითოეული ნაბიჯი. თვითმმართველობის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს აკონტროლებდა დებულებით განსაზღვრული ჩარჩო. ყველა დოკუმენტის ასლი, რომელიც თვითმმართველობის მიერ იქნებოდა გაცემული, აუცილებლად ეგზავნებოდა გუბერნატორს, ეს ქმედება ნათელს ხდის თუ რამდენად კონტროლდებოდა არსებული ვითარება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. რაც შეეხება ხმის მიცემას მკაცრი ცენზი იყო დაწესებული და გარკვეულ მოთხოვნებს უდან აკმაყოფილებდეს ადამიანი რომელსაც უფლება ექნებდო ხმის მიცემის, კერძოდ კი:

1.რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი

2.25 წელი ზემოთ

3.ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას და იხდიდა შესაფერის გადასახადებს, ან ფლობდა სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულებას და იღებდა ფასიან სანებართვომმოწმობას.

4.მასზე არ ითვლებოდა გადასახადთა ნაღჩენები.

ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამის თანრიგის 36 ხმოსანი (თითო თანრიგის მიხედვით 12-12 ხმოსანი) ეროვნული ნიშნის მიხედვით სათათბიროს შემადგენლობა შემდეგნაირი იყო:

ქართველი	11 კაცი
სომეხი	10 კაცი
რუსი	8 კაცი
ბერძენი	2 კაცი
ებრაელი	2 კაცი
პოლონელი	2 კაცი
გერმანელი	1 კაცი

აღმსარებლობის მიხედვით ხმოსანთა შემადგენლობაასე გამოიყურებოდა:

მართმადიდებელი	10 კაცი
სომეხი გრიგორიანელი	9 კაცი
კათოლიკე	6კაცი
ქართველი მაჰმადიანი	4 კაცი
სომეხი კათოლიკე	1 კაცი
პროტესტანტი	1 კაცი

(Батумь и его окрестности;1906;486-487).

ბათუმის საქალაქო თვითმართველობის საზეიმო გახსნა შედგა 1888 წლის 1 ოქტომბერს. ქალაქის თავად დაინიშნა კ.დ. გავრონსკი. გამგეობაში შევიდნენ : დ.ი.ბიკოვი(ქალაქის თავის მოადგილე), ა.ი. კოიანდერი, ი.ს.შადინოვი. ქალაქის მდივანი გახდა ი.ს.მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას თან დაჰყვა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გააჩნდათ რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებს: არჩევნების შეზღუდულობა, ადმინისტრაციის მხრიდან სათათბიროს საქმეებში ჩარევის შემთხვევები და სხვა მრავალი.

მიუხედადვად ამ ნაკლოვანებებისა, საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში უდავოდ იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა ქალაქის (და არა მარტო ბათუმის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგავ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო. ხმოსანთა რაოდენობა კი დამოკიდებული იყო ქალაქის სიდიდეზე, ხმოსანთა რაოდენობა 42 და 150 კაცამდე მერყეობდა. ქალაქების ზრდის პარალელურად იზრდებოდა თვითმმართველობათა ბიუჯეტებიც.

უმაღლესი განკარგულების მიხედვით გარკვეულ დრომდე სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის განკარგულებაში, ქალაქის თავის მოვალეობას პირველი 4 წლის განმავლობაში შეასრულებდა არა სათათბიროსგან არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირი. აღნიშნული ბრძანების განხორციელება დაევალა ახალ კომისიას, რომელსაც კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ.დ.გავრონსკი თავმჯდომარეობდა.

კომისიამ შეისწავლა ბათუმის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა, დააზუსტა ამომრჩეველთა სიები. ქონებრივი ცენზის გათვალისწინებით ამომრჩეველთა სიებში შევიდა 525 კაცი. ქალაქის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არჩევნების მიღმა დარჩა. ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძირითად ნაწილს ღარიბი მოსახლეობა შეადგენდა

XIX საუკუნის 80- იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა“(კლდიაშვილი;1984;86).

თავი III

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1914 წლებში

&1.თვითმმართველობის არჩევნები და სათათბიროს შემადგენლობა

1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი განკარგულება 1870 წლის 16 ივნისის დებულების საფუძველზე ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ.

ბათუმის საქალაქო თვითმართველობის საზეიმო გახსნა შედგა 1888 წლის 1 ოქტომბერს. ქალაქის თავად კი დაინიშნა კ.დ. გავრონსკი. გამგეობაში შევიდნენ : დ.ი.ბიკოვი(ქალაქის თავის მოადგილე), ა.ი. კოიანდერი, ი.ს.შადინოვი. ქალაქის მდივანი გახდა ი.ს.მესხი. გავრონსკის, მისი თავმჯდომარედ დანიშვნის შემდგომ, იწყებს ბათუმის მოსახლეობის მდგომარეობის განსაზღვრა. მოსახლეობის შესწავლა მოხდა და დახარისხება მათი გადახდისუნარიანობის მიხედვით. სწორედ, ამ პრინციპის გათვალისწინებით ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდა სულ ბათუმის 525 მოქალაქე. აგვისტო-სექტემბრის თვეში საკმაოდ მწვავედ ჩატარდა თანრიგის ამომრჩეველთა კრებები, მიუხედავად პოლიტიკური ტემპერატურისა, ჩატარდა თანრიგის კერბები და შედეგად, ბათუმის საქალაქო სათათბირო დარბაზში სულ 36 ხმოსანი აღმოჩნდა. გამგეობაში კი შედიოდა 3 კაცი. 1 ოქტომბერს საზეიმოდ მოხდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის გახსნა, სადაც გამოვიდა სიტყვით გავრონსკი, მან გამოთქვა იმედი და მოლოდინი იმისა, რომ სათათბირო გაამართლებდა მოლოდინებს და რომ ის გაამართლებდა ამომრჩეველთა იმედებს.

თვითმმართველობის მიღება, წლების მიხედვით, ასე გამოიყურებოდქა:

ქალაქი	თვითმმართველობის შემოღების წელი	ქალაქი	თვითმმართველობის შემოღების წელი
თბილისი	1874	თელავი	1892
ქუთაისი	1875	სიღნაღი	1892
გორი	1876	ახალქალაქი	1892
ახალციხე	1876	ოზურგეთი	1892
ფოთი	1882	სოხუმი	1892
ბათუმი	1888		

1870 წ. დებულების 128-ე მუხლის თანახმად, ქალაქის თვითმმართველობებს

უფლება ჰქონდათ დაეწესებინათ გადასახადები: უძრავ ქონებაზე (მიწა, სახლები, დუქან-მაღაზია-საწყობთა შენობები და სხვ.),სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, ტრანსპორტზე და სხვ.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა მეორე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. წინასააარჩევნო სამზადისი დაიწყო კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცენზიან მოქალაქეთა ქონების მესამედი ეკუთვნოდა როტშილდის კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას. ე.ი. მხოლოდ როტშილდი უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანრიგში და მასვე უნდა აერჩია ხმოსანთა მესამედი. ასეთ ვითარებაში ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციამ შესაძლებლად ჩათვალა ბათუმის ამომრჩეველები დაეყოთ ორ თანრიგად. თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. ახალი დაყოფით პირველ თანრიგში მოხვდა ექვსი მესაკუთრე, რომლებიც ფლობდნენ ბათუმელთა მთელი ქონების ნახევარს და მათვე უნდა აერჩიათ ხმოსანთა ნახევარი (18 ხმოსანი), როცა დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500 კაცს) შეეძლო აერჩიათ ასევე 18 ხმოსანი. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებული სიით ჩატარების უფლება. მაგრამ ამაზე კავკასიის ადმინისტრაციამ ნება არ დართო იმ მიზეზით, რომ ეს გამოიწვევდა 1870 წლის დებულების დარღვევას. ამიტომ ახალი დებულების მიღებამდე უფლებამოსილება ძველ ხმოსნებს გაუგრძელა, სანამ არ გაუქმდებოდა თანრიგები და ყველა ცენზიანისთვის საერთო-საარჩევნო კრება ჩამოყალიბდებოდა (Батумь и его окрестности;1906;492-493).

ბათუმის საქალაქო ხმოსანთა არჩევნები უნდა ჩატარებულიყო წესის შესაბამისად 1892 წელს. აქ იჩინა უამრავმა პრობლემამ თავი. ვინაიდან ცენზის მიხედვით ხდებოდა არჩევნებში ხმის უფლების მოპოვება, პირველი თანრიგის სიაში შედიოდნენ „კასპია შავი ზღვის საზოგადოება“, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელიც როტშილდის ხელში იყო, სწორედ მათი მხრიდან უნდა მომხდარიყო ერთი მესამედის არჩევა, ასეთი შემთხვევის გამო საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიომ მიზანშეწონილად ჩათვალა ბათუმის ამომრჩეველთა ორ თანრიგად გაყოფა. მაგრამ დიდი გარდამტეხი შედეგი ამასაც არ გამოუღია, ვინაიდან შედეგად პირველ თანრიგში მხოლოდ 6 მსხვილი მესაკუთრე შევიდა. ახალი დებულება

იმპერატორმა დაამტკიცა 1891 წლის 11 ივნისს. ამ დებულების თანახმად კი ცენზი უფრო მეტად გამკაცრდა, ვიდრე წინა პერიოდში.

ახალი დებულება 1892 წლის 11 ივნისს დამტკიცდა, ახალი დებულების შესაბამისად ბათუმში ხმის მიცემის უფლება ეძლეოდათ 1000 მანეთზე მეტი ქონების მფლობელ მოქალაქეებს. ამით საარჩევნო სიაში შედიოდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო მესაკუთრეები. ფაქტიურად მესამე თანრიგის ამომრჩეველმა (წვრილმა მესაკუთრეებმა) დაჰკარგეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ასეთმა კანონმა მნიშვნელოვნად შეამცირა ამომრჩეველთა რაოდენობა ბათუმში. თუ 1888 წლის არჩევნებში ბათუმის 14000 მცხოვრებიდან მონაწილებდა 525 კაცი, 1894 წელს 25 000 მცხოვრებიდა მხოლოდ 318 კაცი (ბენდიაშვილი;1982;234).

მიუხედავად არასაკმარისი უფლებებისა, რაც თვითმმართველობას დასაწყისში ქონდა, უნდა ითქვას ის დადებითი შედეგი, რაც იქნა მიღებული, მიმდინარე პროცესებისების შესაბამისად. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ჯგუფი დაუპირისპირდა სახელმწიფო ბიუროკრატიულ მანქანას. ამ ყველაფრის ფონზე, საკმაოდ შემცირდა იმ მოხელეთა რაოდენობა, რომლებიც თვითნებურად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რამაც მისცა ბიძგი ასპარეზობისათვის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების არსებობას.

მაგალითად თუ 1888 წლისათვის ბათუმში მაცხოვრებელი 14 000 მცხოვრებლიდან ხმის მიცემის უფლება ქონდა 525 კაცს, დებულების თანახმად, 1894 წლის მონაცემებით, 25 000 მოქალქიდან ხმის მიცემის უფლება მხოლოდ 318 კაცს მიეცა. აქედან შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ მოსახლეობა თითქმის 55% გაიზარდა, ხოლო ამომრჩეველთა რაოდენობა თითქმის არც შეცვლილა.

1894 წ მარტში „ივერიის“ ბათუმის კორესპოდენტი იუწყებოდა: „ჯერჯერობით ბათუმლე კენჭოსნებისას კაცი ვერას გაიგებს. ისეა არეული მათი აზრები და სურვილები, რომ გარკვევით, ვერ ითქმის, ვინ რა მიმართულებას მიემხრობა“, მაგრამ ბევრი მოქალაქის უკმაყოფილებას საადგილმამულო საკითხის მოუგვარებლობა იწვევსო. ბოლოში კი ვკითხულობთ: „სამდურავი დღევანდელისა და სურვილი უკეთესისა, ისეა არეული ერთმანეთში, რომ შეუძლებელია ყველაფრის აღნუსხვა, ვნახოთ რა გამოირკვევა“ (ივერია;1894;N54)

ისევ იგივე კორესპოდენტთან ვკითხულობთ შემდეგ მოსაზრებებს, რომ ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა დასების, ეს კი იმის მომასწავებელი, იყო რომ შემდეგინ არჩევნები საკმაოდ დიდი ბრძოლების ფონზე ჩაივლიდა. ასპარეზზე აქტიურად ჩანს სხვადასხვა დასი, სხვადასხვა მიზნებით, აი მაგალითად: „დასი სამთა კავშირისა“, მოიაზრებიან:ქართველები, რუსები, ბერძნები.

მეორენი: „დასი განდეგილნი“, აქ შედიოდნენ მაჰმადიანები, ხოლო „მდევნელი დევნილათ“ აქ იგულისხმება სომხცები. ყველას თავისი მიზანი ქონდა, მაგალითად სომხების შიში იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არ განდევნილიყვნენ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობიდან, როგორც თავის დროზე თბილისი თვითმმართველობიდან, ქართველები. მაჰმადიანებს რაც შეეხება, ისინი თავს ყველგან უმცირესობაში და დაჩაგრულად გრძნობდნენ, ამიტომ ისინი უფრო ნეიტრალიტეტს ირჩევდნენ. მაჰმადიანების ეს მდგომარობა კი ქრისტიანებსა და სხვა დასის წარმომადგენლებს აძლევდა იმის საფუძველს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ გადაიბირებდნე. (ივერია; 1894;N63)

ძალიან მარტივია საერთო სურათის დანახვა, ვინაიდან ყველა ცალკეული მსხვილი თუ წვრილი ჯგუფები ცდილობდა, როგორმე სათავისოდ გამოეყენებინათ არსებული მდგომარეობა.

ილია ჭავჭავაძეც ძალიან აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში, ვინაიიდან მას კარგად ესმოდა, ქალაქის თვითმმართველობის როლი და მნიშვნელობა ქალაქის განვითარების საკითხში, მნიშვნელოვანია მისი როლი ბათუმის ქალაქისათვის კანდიდატურის შერჩევის საკითხში, სწორედ მისი ინიციატივით მოხდად ლუკა ასათიანის მოწვევა ბათუმში, რომელსაც ვერ გამოუჩნდა კონკურენტი, ვინაიდან მისი ამ კუთხით გამოცდილება ნამდვილად უდიდესი იყო.

1894 წ. 12 ოქტომბერს ბათუმის საქალქო თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნები გაიმართა, სულ არჩეული იქნა 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი, 3 სომეხი. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველთა დასის უმრავლესობით გამარჯვება, მათ ხმოსანთა 55% მოიპოვეს. მეორე მოწვევის სათათბიროში ქართველების სია ასე გამოიყურებოდა: დ.ბარათაშვილი, მ.ბარკალაია, ე.ბერძენიშვილი, მ.ბეთანიშვილი,

ა.გუგუშვილი, გ.ელიავა, ო.ლომინაძე, კ.მგელაძე, ი.მესხი, ს.მხეიძე, ნ.საბაშვილი, ს.საბაშვილი, ი.საბახტარაშვილი, ა.შარვაშიძე. ქალაქის თავად ლუკა ასათიანი იქნა არჩეული. ქალაქის მდივნად კი არჩეულ იქნა - ი.მესხი, გამგეობის წევრად-გ.ვოლსკი. გამგეობის მეორე წევრად კი არჩეულ იქნა- ი.ივანოვი (ივერია;1895;N26)

ქალაქის სათათბიროს მესამე შემადგენლობის არჩევნები 1898 წელს გაიმართა. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 332 ცენზიანი მოქალაქე. აქედან 147 იყო ქართველი, ხოლო 110 სომეხი. ხმოსნობაზე კი კენჭი იყარა 39 ქართველმა, 35 სომეხმა, 25 რუსმა და 7 ბერძენმა. პირველ დღეს დადგა შემდეგი შედეგი, არჩეულ იქნა: 7 ქართველი, 6 ბერძენი, 8 რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ქალაქის თავად კვლავ ლუკა ასათიანი აირჩიეს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ბათუმის განაშენიანებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე კანალიზაციის არხები (მათ შორის ჟილინსკისა და ივანოვის არხები), რომლებმაც მთელი ქალაქი გადაკვეთეს. პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით მოზვინვა. ყოველივე ამან განაპირობა ქალაქში ჭაობიანი ადგილების დაშრობა და მეტად საშიში ავადმყოფობის მალარიის მოსპობა. შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ქუჩების გაყვანა და ნაწილის კეთილმოწყობა.

ლუკა ასათიანის პირადი ინიციატივით დაიწყო ბათუმის საბჭოს შენობის აგება, რომელიც დღესაც ამშვენებს ქალაქს. მისივე მმართველობის პერიოდშია აშენებული ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფო, (რომელსაც ჩაუტარდა 2020 წელს სარემონტო სამუშაოები) რომელიც აჭარის მოსახლეობას დღესაც ემსახურება. ლუკა ასათიანი დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმში განათლების აღმავლობის საქმეს. მისი ინიციატივით ქალაქში უმოკლეს ვადაში ყველა ეროვნებისათვის, მათ ენაზე დაწყებითი კლასები გაიხსნა. ბათუმის, როგორც ქალაქის განვითარებისათვის ამ პროცესს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ქოდნა, ვინაიდან ქალაქი ბიუჯეტს მართავდა ინტერესების მიხედვით.

1901 წ 25 იანვარს ჩატარდა ბათუმის სათათბიროში ქალაქისათვის მოადგილის არჩევნები. კენჭი უყარეს გრ.ვოლსკისა და ი.ივანოვის კანდიდატურას. ვოლსკიმ მიიღო 17 თეთრი და 3 შავი, ივანოვმა 3 თეთრი და 17 შავი (კვალი;1901;N26)

შედეგით აშკარა ხდება რომ, უპირატესობა ენიჭებოდა ეროვნულ მოღვაწეებს და არ ენდობოდნენ ივანოვის კანდიდატურას, რომელიც მიღებული იყო მთვარობის წრეებში. ამასობაში კი მოდიოდა 1902 წელი, როცა უკვე ვადა გასდიოდა მესამე მოწვევის სათათბიროს. შესაბამისად უნდა დაეწყოთბ მზადება არჩევნებისათვის. ვადა სათათბიროს ოქტომბრის თვეში უწყდებოდა, მაგრამ არჩევნებისათვის მზადება აგვისტოს თვიდან იწყებენ. ამ მოვლენებზე ყურადღებას ამახვილებს გაზეთი „კვალი“: „მოახლოვდა ქალაქის არჩევნები, გამოქვეყნდა ამომრჩეველთა სია და შეიშმუშნა აქამდე მიძინებული ბათუმის საზოგადოება. ...სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში (ქუთაისსა და ფოთის გარდა) ყველგან თავი იჩინა ეროვნულმა შუღლმა და განკერძოებამ ქალაქის თვითმმართველობაში, ...ყოველი განათლებულნი და შეგნებული ადამიანი მომხრე უდნა იყოს სხვადასხვა ეროვნებათა შორის სოლიდარული განწყობილებისა და თანხმობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ისეთ ნიადაგზეა აღმოცენებული და გამყარებული, რომ ეს შეუძლებელი ხდება“. (კვალი;1902;N39)

ლუკა ასათიანის მოულოდნელმა გარდაცვალებამ 1901 წელის 9 ნოემბერს, გააჩინა ახალი საფიქრა, ვინ უნდა ყოფილიყო ქალაქის ახალი თავი? აქ სხვადასხვა მოსაზრებამ იჩინა თავი, როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე ქართულ წრეებში. ლოგიკური მოლოდინი იმისა, თუ ვინ იქნებოდა ქალაქის თავი, იყო გრიგოლ ვოლსკი, ვინაიდან მას ქონდა შესაბამისი გამოცდილებაც და ავტორიტეტიც, მაგრამ ვინაიდან ის არ იყო სასურველი კანდიდატი რუსეთის ხელისუფლებისათის , მისი კანდიდატურა ვერ აირჩეოდა აღნიშნულ თანამდებობაზე.

ვინაიდან გრიგოლ ვოლსკი არ აღმოჩნდა მისაღები კანდიდატურა, ამიტომ დაიწყეს ფიქრი ვინ შეიძლება ყოფილიყო შერჩეული, ვინც იქნებოდა ქალაქისათვის განვითარების პროცესის ხელშემწყობი და მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლების მხრიდანაც იქნებოდა მისაღები თავისი პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების გათვალისწინებით.

ილია ჭავჭავაძე აქტიურად იყო ჩართული კანდიდატურის წამოყენების საქმეში, რომელსაც დახმარება სთხოვა სათათბიროს „ქართულმა პარტიამ“. ილიას აზრით, აღნიშნულ თანამდებობაზე ივანე ანდრონიკაშვილი იქნებოდა შესაბამისი

კანდიდატურა, ვინაიდან ის უკვე მოქმედი სახელმწიფო მოხელე იყო, რაც წინა პირობა იყო იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან იქნებოდა დადებითი დამოკიდებულება მისი კანდიდატურის მიმართ, მეორეს მხრივ, ის აღწერს მას, როგორც ენერგიულ, მიზანმიმართულ და შრომისმოყვარე ადამიანად, რაც აუცილებელი იყო ქალაქის თავისათვის, მისი საქმიანობისათვის. გარკვეული ყოყმანის შემდგომ ივანე ანდრონიკაშვილი დათანხმდა შემოთავაზებას, მისი კანდიდატურის წამოყენების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ აქ იჩინა თავი შემდეგმა გარემოებამ. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უმთავრეს პირობას წარმოადგენდა ქონებრივი ცენზი, ივანე ანდრონიკაშვილი ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ეს გარემოება პრორუსულ ძალებს, ქუთაისი სამხედრო გუბერნატორის მხარდაჭერით სურდთ სათავისოდ გამოეყენებინათ და რაც შეიძლება მოკლე დროში ჩატარებულიყო არჩევნები, რომ ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურისათვის ეს გამხდარიყო წინაპირობა არჩევნებში ვერ მონაწილეობის. სწორედ, იმ მიზნით, რომ ანდრონიკაშვილისთვის საჭირო გახდა სპონსორის მოძიება, მანამდე ქართველმა ხმოსნებმა სათათბიროს რამდენიმე სხდომა ჩაშალეს, ეს იყო დროის მოგების მიზნით. შემდგომ მოხდა სპონსორის მოძიება ივანე ანდრონიკაშვილისთვის, რამაც აღნიშნული პრობლემა გადაჭრა.

1902 წლის 4 იანვარს გაიმართა არჩევნები, ივანე ანდრონიკაშვილის ოპონენტი იყო ივანე ზაქარიაძე, მაგრამ ხმათა დიდი უპირატესობით ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობა ერგო ივანე ანდრონიკაშვილს, რომელმაც 14 წლის მანძილზე ემსახურებოდა ქალაქის წინსვლასა და განვითარებას.

რთულ პირობებში უხდებოდა ქალაქის გამგეობას საქმიანობა. 1902 წლის 10 ნოემბერსა და პირველ დეკემბერს, ორ ეტაპად ჩატარდა ბათუმის სათათბიროს რიგირთ მეოთხე არჩევნები. 706 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 492 ამომრჩეველმა(Батумь и его окрестности;1906;500-501)

ახალი სათათბიროს მიერ, ივანე ანდრონიკაშვილი იქნა კვლავ არჩეული, ქალაქის თავის თანამდებობაზე. მაგრამ გამოიკვეთა ადმინისტრაციის მხრიდან უხეში ჩარევის, ფაქტი, რომელიც არც ყოფილა პირველი და ხშირად ხდებოდა

მსგავსი, გრიგოლ ვოლსკი რომელიც წლების განმავლობაში გამგეობის წევრი იყო, რომელსაც ძალიან დიდი გამოცდილება და რესურსი გააჩნდა, არ იქნა გამგეობის წევრად დამტკიცებული. მის ნაცვლად დაამტკიცეს აღნიშნულ თანამდებობაზე გ.ჟურული.

ივანე ანდრონიკაშვილი აქტიურად იყო ჩართული ქალაქის პრობლემებში, მიუხედავად მისი შედეგებისა. მაგალითად, ის აქტიურად იყო ჩართული ვაჟთა გიმნაზიის გამოსვლების პროცესში მოლაპარაკებებით, შედეგად კი გიმნაზიაში სასწავლო პროცესი აღსდგა. გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებისა, ის აქტიურად იყო ჩართული ქართულ-ეროვნული საკითხების ხელსეწყობით. სწორედ, მისი ინიციატივით მოხდა, თბილისში გამგზავრება, შედგა სპეციალური დეპუტაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმისთან.

ის იყო ძალიან ენერგიული, პროგრესულად მოაზროვენე ადამიანი, კარგად ხედავდა ბათუმში არსებულ მდგომარეობას. საჭიროება უფრო დიდი იყო ქალაქის განვითარების პროცესის ხელშეწყობისათვის, ვიდრე ამას არსებული ბიუჯეტი იძლეოდა, ამიტომ დაიწყო ახალი რესურსების მოძიება. კარგად ხედავდა, რომ ბათუმის ეკონომიკის მთავარ საყრდეს, ბათუმის ნავსადგური წარმოადგენდა, ამიტომ, მისი ძალისხმევა იყო ძალიან მიზანმიმართული, როცა ბათუმის ნავსადგურიდან გასული ტვირთიდან შემოსავლის ნაწილი ბათუმის თითმმართველობის ბიუჯეტში შესულიყო. ეს იყო ძალიან დიდი საქმე , რამაც თვითმმართველობის ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა შეიტანა, ეს კი იყო იმის წინა პირობა, რომ ქალაქის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსების არეალი გაიზრდებოდა, რამაც ძალიან დიდი შედეგიც გამოიღო. მას ძალიან კარგად ესმოდა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბათუმის განვითარებისათვის სარკინიგზო ხაზი, სწორე ამიტომ, ის ძალიან აქტიურად იყო ჩართული ბათუმი-ყარსის სარკინიგზო პროექტის განხორციელებაში, სამწუხაროს პირველმა მსოფლიო ომმა აღნისნული პროექტის იდეის სისრულეში მოყვანას შეუშალა ხელი.

მისი დამოკიდებულება ბათუმის მიმართ განსაკუთრებული იყო, ის ყოველგვარ ძალისხმევას იყენებდა, თუ ეს ქალაქის კეთილდღეობისათვის საჭირო

იყო. მაგრამ არ შეიძლება ამასთან, არ აღვნიშნოთ მისი პიროვნული თვისებებიც, ვინაიდან მან უარი თქვა სამივლინებო ხარჯებზე, მიუხედავად მისი არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობისა. აქ ძალიან კარგად ჩანს მისი, როგორც ადამიანის, და მისი როგორც, პროფესიონალის დამოკიდებულება ქალაქის და ქალაქის მცხოვრებთა მიმართ, სწორედ ამიტომაც იყო ის უპირობოდ 4 ჯერ ზედიზედ არჩეული, ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე. სწორედ, მისი დამოკიდებულება გახდა, დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მიზეზი, არა მარტო ბათუმში, არამედ ბათუმს გარეთაც. იმით, რომ მან უარი თქვა სამივლინებო ხარჯებზე ჯამში 6400 მანეთს შეადგენდა, წლიური 800 მანეთი, რაც არც თუ ისე მწირი იყო ქალაქის ბიუჯეტის რეალობიდან გამომდინარე.

ქართველთა პარტიის ბათუმის თვითმმართველობაში დაწინაურების რამოდენიმე ფაქტს ეხება გაზეთი „კვალის“ რედაქტორი: 1. ამომრჩეველთა სიების შესწორება-შევსება, 2.გადასახადთა ნარჩენების გადახდა, რამაც გაზარდა ამომრჩეველთა რიცხვი, 3.ქართველთა გაერთიანება, მიუხედავად მათი რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა.

ბათუმის თვითმმართველობის არსებობის ისტორიაში სულ გვხვდება. 113 ქართველი ხმოსანი, 45 რუსი, 38 სომეხი, 26 ბერძენი, 13 პოლონელი, 4 გერმანელი და 2 ებრაელი. რაც შეეხება მის სოციალ-პროფესიოუ შემადგენლობს, შემდეგნაირ სურათს ვღებულობთ: 15 ინჟინერი, 16 ექიმი, 10 იურისტი, 28 სამხედრო პირი, 7 აფთიაქარი, 54 სახლთმფლობელი, 76 ვაჭარ-მრეწველი, 11 ბანკირი, 3 პედაგოგი, 20 თავისუფალი პროფესისის მქონე ადამაინი.

Iსაქალქო თვითმმართველობის არჩევნები	1888 წელი	525 ამომრჩეველი	36 ხმოსანი	ქალაქის თავი კ.დ.გავრონსკი
IIსაქალქო თვითმმართველობის	1894 წელი	318 ამომრჩეველი	36 ხმოსანი	ქალაქის თავი ლ.ასათიანი

არჩევნები				
IIIსაქალქო თვითმმართველობის არჩევნები	1898 წელი	332 ამომრჩეველი	36ხმოსანი	ქალაქის თავი ლ.ასათიანი
IVსაქალქო თვითმმართველობის არჩევნები	1902 წელი	492 ამომრჩეველი	36 ხმოსანი	ქალაქის თავი ივ.ანდრონიკა შვილი

განსაკუთრებით საინტერესოა 1902-1903 წწ მოვლენები, ვინაიდან ეს არის პერიოდი, როცა განსაკუთრებით მომწიფდა რევოლუციური მუხტი. არც სათათბირო ორგანო გამხდარა გულგრილი მიმდინარე პროცესების მიმართ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული მიმდინარე პროცესებში და მოითხოვდნენ მუშების გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც.

1903 წლის მონაცემებით შეფასდა ბათუმის მაცხოვრებელთა ქონება: 19.2 მლნ რუბლად. აქედა 8.2 მლნ შეადგინა საცხოვრებელმა სახლებმა, 4.8 მლნ ქარხნებმა, მიწის ნაკვეთებმა კი 6.2 მლნ რუბლი შეადგინა. ბიუჯეტში თანხა ძირითადად შედიოდა ვაჭარ-მრეწველთა მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის შემოსავალი წლიდან წლამდე საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებლით იზრდებოდა, მაინც ვერ აკმაყოფილებდა სრულად ახალ განვითარებული ქალაქის მოთხოვნებს, ვინაიდან საჭიროებდა ბათუმის საფინანსო-საბიუჯეტო უფლებების გაფართოებას. 1903 წლიდან საქალაქო ბიუჯეტის გასავალი ჭარბობდა შემოსავალს. საკმაოდ დიდი იყო ბიუჯეტის დანაკლისი. 1904 წლისათვის დანაკლისი შეადგენდა :2227270 რუბლს, 1905 წლისათვის: 214313 რუბლს, 1906 წლისათვის: 57228 რუბლს, 1907 წლისათვის: 213656 რუბლს, 1908 წლისათვის: 60452 რუბლს, ამ დეფიციტის გადაფარვა ხდებობა ძირითდად კრედიტის მეშვეობით, აქედან გამომდინარე 1910 წლის 1 ივლისის

მონაცემებზე დაყრდნობით თვითმმართველობას ჰქონდა სულ მილიონ რუბლზე მეტი ვალი.

1908 წელს ქალაქის სკოლებისათვის გაიხსნა სამასწავლებლო მუზეუმი, რომელიც 1912 წ გადაკეთდა ბათუმის საქალაქო მუზეუმად. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ პერიოდიდან იზრდება ბათუმის თვითმმათველობის მიერ გაწეული ხარჯი საგანმანათლებლო მიზნებისათვის. ეს კი ცხადყოფს მის როლსა და მიღწევებს წლიდან წლამდე, ვინაიდან მისი ბიუჯეტიც იზრდებოდა შემოსავლების შესაბამისად. გარდა განათლებისა საინტერესოა თვითმმართველობის მიერ გაწეული ხარჯი მისი არსებობის მანძილზე სამედიცინო მიმართულებით, ბიუჯეტიდან ის გამოყოფს 11-14 %. სწორედ, ამ კუთხით დაფინანსების სიმწირის გამო იყო გამოწვეული რიგი პრობლემები, ვერ ხერხდებოდა სანიტარული თუ სხვა ტიპის ხარვეზების აღმოფხვრა, ვინაიდან ის თანხა, რაც მათი მხრიდან იყო გაღებული, ვერ შეძლებდა სასურველი შედეგის მოტანას.

1909 წ ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტი დამტკიცდა 639 149 რუბლის ოდენობით, ხოლო გასავალში გათვალისწინებული იყო: საზოგადოებრივი მმართველობის შენახვაზე- 51931, ჯარზე-13380, პოლიციაზე-24445,სახანძრო რაზმზე-13729, ქალაქის კეთილმოწყობაზე-104257, სახალხო განათლებაზე-76885,სამედიცინო მომსახურებაზე-58322, უძრავი ქონების მოვლა-პატრონობაზე-20805, ვალების დაფარვაზე -207410 რუბლი. (სამ.დას.ისტორიის ნარკ. III ტ,2008 წ, 253-154) ბიუჯეტის გადანაწილებით აშკარა ის პრიორიტეტები, რომელიც ქალაქს ქონდა. ძირითადი მისი აქცენტი იყო ქალქის კეთილმოწყობაზე მიმართული.

თვითმმართველობის როლი და ფუნქცია კარგად ჩანს 1911 წლის 28 მარტის ვაჭრობა მრეწველობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების დადგენილებაში, სადაც წერია: პირველი, რომ ბათუმის თვითმმართვრთველობას დამატებითი მოსაკრებელი მიეღო ბათუმის ნავსადგურში შემოსული ტვირთიდან, ერთი ფუთიდან არაუმეტეს 0.5 კაპიკისა, მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის თუ როგორ უნდა მომხდარიყო არსებული შემოსავლის რაციონალურად გადანაწილება. შემოსული თანხის 80%

უნდა მოხმარებოდა ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობას, ხოლო დანარჩენი 20% ბათუმის თვითმმართველობას უნდა განეკარგა ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე.

1912 წლის ბათუმის ბიუჯეტი შეადგენდა 639 180 რუბლს, ხოლო 1913 წლისათვის ეს რიცხვი შემცირდა 548 504 რუბლამდე (სამ.დას.ისტორიის ნარკ. III ტ,2008 წ, 254) აქედან ჩანს , რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად უფრო მცირდებოდა, ხოლო ხარჯების და საჭიროებები ქალაქში იზრდებოდა, რაც თავისთავად ქმნიდა დიდ დავალიანებებს.

1913 წლის 6 ოქტომბერს, ბათუმის საქალქო თვითმმართველობის 25 წლისთვაისადმი მიძღვნილი იუბინე გაიმართა, სადაც სიტყვით გამოვიდა მღვდელი ნ.კალისტოვი, რომლის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, თვითმმართველობის როლი ბათუმის განვითარების საქმეში. ის თავის მიმართვაში ამბობს შემდეგ სიტყვებს: თვითმმართველობის მიღებით შესრულებულ იქნა საუკუნის მეოთხედი საქმე. მადლობას უხდის უფალს და ყველა იმ მუნიციპალურ მოღვაწეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ პროცესებში. მადლობას უხდის იმისთვის, რომ ბათუმი შეუერთდა ევროპულ ქალაქთა პლიადას.

საზეიმო იუბილე ოფიციალურად გახსნა ივ. ანდრონიკაშვილმა, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ოლქის უფროსი და სხვა სახელმწიფო მოხელეები.

ცოტა თითქოს გამოსწორდა ვითარება და უკეთესობისაკენ შეიცვალა ვითარება 1914 წლისათის, მას შემდეგ რაც უფლება მიეცა ბათუმის თვითმმართველობას დამატებითი შემოსავალი მიეღო ბათუმის ნავსადგურიდან გატანილ ყოველ ფუთაზე, რამაც ბიუჯეტში თანხის შემოდინება გამოიწვია. 1914 წლის 24 თებერვლიდან 1 მაისამდე პერიოდში, ბათუმის თვითმმართველობის ხაზინაში შევიდა 31458 რუბლი, რამაც გააჩინა დამატებითი თანხები, რაც უკვე წინა პირობა გახდა, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად. სამწუხაროდ ეს ვითარება დიდხანს ვერ შენარჩუნდა, ვინაიდან დაიწყო მსოფლი ომი, რამაც გავლენა იქონია არსებულ მდგომარეობაზე . ფაქტიურად შეწყდა ექსპორტ-იმპორტი, რაც წარმოადგენდა ძირითად შემოსლის წყაროს ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტისათვის. აქედან გამომდინარე, საქალქო თვითმმართველობის საქმიანობა რეგრეს განიცდის, ვინაიდან გარემო ფაქტორებმა უდიდესი გავლენა იქონია, მითუმეტეს, რომ საქართველო

საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული მსოფლიო ომის პროცესებში, ის რუსეთის იმპერიის პოლიტიკის გამტარებლად გვევლინება.

საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის შედეგიანობა კომუნალური მეურნეობის, სწავლა-განათლების, სამედიცინო მომსახურების, სანიტარიისა და სხვ.

ქალაქთა ფულადი სახსრები იხარჯებოდა თვითმმართველობების არჩეულ თუ მოწვეულ მოსამსახურეთა ჯამაგირებზე, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, საზოგადოებრივ დაწესებულებათა საჭიროებაზე, სწავლა-განათლებაზე და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე. ქალაქების ბიუჯეტიდან დიდი თანხები გამოიყოფოდა აგრეთვე ჯარისა და პოლიციის შესანახად.

&2.თვითმმართველობის როლი ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში

საზოგადოებრივი მზაობა ბათუმის თვითმმართველობის მიღებისა ძალიან დიდი იყო, ვინაიდან საკმაოდ დიდი გამოცდილება ამ კუთხით საქართველოს სხვა ქალაქებს უკვე ქონდათ. მიუხედავად წინააღმდეგობებისა და წინაპირობებისა ბათუმმა 1888 წელს მიიღო თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. იყო მთელი რიგი შეზღუდვებისა, მაგრამ შედეგი მაინც მარტივად შესამჩნევი ხდებოდა ყოველდღიურად.

გამომდინარე ბათუმის სტრატეგიული მდებარეობისა და რუსეთის ხელშეწყობისა, რომელიც ძირითადად საკუთარ ინტერესებსა და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, ბათუმი ძალიან მალე გახდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი. სწორედ ქალაქის სწრაფი ტემპით ზრდამ და განვითარებამ, მოთხოვნადი გახადა მუშა ხელის არსებობაც. „ქარხნები სავსე იყო მუშებით, რომლებც საცოდავ პირობებში იყვნენ, მეტისმეტად იჩაგრებოდნენ, ნამეტურ ჩაგვრას განცდიდნენ ქართველი მუშები, რომლებიც ახლად გამოდიოდნენ თავიანთი სოფლებიდან და ახლად ეჩვეოდნენ მათთვის უჩვეულო მუშაობას, გაზეთი „კვალი“ კი ასე ეხმიანება ბათუმში არსებულ მუშათა მდგომარეობას: „პაპანაქება სიცხე, უსაშველო ჯაფა-ტანჯვა-შრომა, საძაგელი სადგომი ფეხ-ქვეშ აცლის ჯანმრტელობას (ივერია;1895;N26). განსაკუთრებულად მძიმე იყო მუშათა სამუშაო საათები, დღისით 11,5, ხოლო ღამით 10 სამუშაო საათისაგან შემდგარი გრაფიკი.

XX საუკუნიდან რუსეთის ტერიოტორიასა და მის შემადგენლობაში მყოფ ქვეყნებში საპროტესტო ტალღებმა დაიწყეს აფეტქება, რამაც რათქმაუნდა ბათუმშიც იჩინა თავი და არ ჩაუვლია ჩვეულებრივ. 1901 წლიდან ბათუმში არაერთი საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყო. „ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის შემდეგ , მალე დაიწყო მუშაობა მასორივი გაფიცვების მოსამზადებლად „ 1901 წელს შეიქმა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი. ამავე წელს ეწვია სტალინი ბათუმს, რაზეც ცნობებს თავისი მოგონებებიდან მანთაშევის ქარხნის ყოფილი მუშა კოტე კალანდაროვი გვაწვდის, ის წერს: „1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი. ის

დროებით ჩემთან დაბინავდა. ჩამოსვლის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო რევოლუციური მუშაობა ბათუმში. სტალინის ხელმძღვანელობით დაიწყო სოციალ-დემოკრატიული წრეების ჩამოყალიბება, რომელმაც მოწინავე მუშების გაერთიანებას შეუწყო ხელი, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა 1901 წელს მიანიშნებდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ აღმავლობაზე საქართველოში.

XX საუკუნის დამდეგისათვის ქალქი ბათუმი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დიდ ცენტრად იქცა.

საყურადღებოა 1902 წლის 9 მარტი ვინაიდან, აქედან იწყება უკვე აქტიური გამოსვლები. გაფიცვებს თითქმის ყოველდღიური ხასიათი მიეცა. ამ პროცესებმა კი გამოიწვია ვაჭრობის და ვაჭრების დაზარალება. ვაჭრობის რეგრესმა დაგვიხატა ქალაქში შემდეგი სურათი, დაცარიელდა მაღაზიის ვიტრინები, აღარ ხდებოდა ნავთობის ხშირი ექსპორტი ბათუმის პორტიდან. ნავთობი ბათუმის პორტიდან იშვიათად გადიოდა, ისიც უხოური გემების საშუალებით. შეწყდა, სამგზავრო-სატვირთო რეისები, მოიშალა მთლიანად სარკინიგზო სისტემა. ამ ყველაფრის ფონზე ქალაქში იმატა ბანდიტიზზმა, ადამიანების მკვლელობის ამბავი თითქმის ყოველდღიურობად იქცა. ამ უკიდურესად რთული მდგომარეობის აღმოსაფხვრელად პოლიცია და ქალაქის ადმინისტრაცია უძლური იყო თუნდაც რამდენიმე დამნაშავე დაესაჯა (სცსსა, ფ.11,ა.1, ს.65;110)

გარდა იმისა, რომ ამ გამოსვლებს ახლდა თან ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, ნელ-ნელა ემატებოდა პოლიტიკური მოთხოვნებიც. ყოველდღე იმატებდა მუშათა კლასში პროტესტის ნიშნული, ერთ-ერთი ასეთი იყო 1902 წლის 31 იანვარს, როდესაც მუშები გაიფიცნენ, რომლებიც აპროტესტებდნენ ერთ-ერთი მუშის ხაჩი კაზაროვის დათხოვნას სამსახურიდან. ფაქტიურად პარალიზირებული გახდა ქარხანა, რის გამოც ქარხნის მმართველი იძულებული გახდა პოლიციის ძალით გამკლავებოდა არსებული პროცესებს. საპროტესტო პროცესში 112 მუშა დააკავა პოლიციამ, მიუხედავად მასობრივი დაკავებისა მუშები მაინც არ აპირებდნენ უკან დახევას და მათი პროტესტის შეწყვეტას.

ამავე წლის, 17 თებერვალს პატიმრები გაანთავისუფლეს, მხოლოდ ორი მათგანი რჩებოდა პატიმრობაში, გარდა პატიმრების განთავისუფლებისა ქარხნის მმართველი იძულებული გახდა შეესრულებინა მუშების სხვა მოთხოვნებიც.

მუშების მოთხოვნები იყო შემდეგნაირი:

1.სადილობის შესვენების გაზრდა 1.5 მდე, 1 საათიდან;

2.მმართველი იძულებულუ გახდა დაეთხოვა ყველა ის თანამშრომელი, რომელიც გამოირჩეოდა სიუხეშით, ერთ-ერთი ასეთი იყო ტერ აკოფოვი;

3. ასე მიიღეს იმ დარჩენილი ორი პატიმრის განთავისუფლების პირობა;

4.მუშებს აუნაზღაურდათ გაცდენილი დღეების საფასური 31 იანვრიდან 18 თებერვლის ჩათვლით.

მუშაობა განახლდა ჩვეულებრივ ამავე წლის, 18 თებერვლიდან , ამ გაფიცვამ კი ხელსაყრელ პოზიციაზე დააყენა სხვა ქარხნების მუშებიც. დაიწყო მუშათა გაფიცვების ერთგვარი სერია. თებერვალში გაიფიცა როტშილდის ქარხანაც, მას კი შეუერთდა მანთაშევის, სიდერიდისის და სხვა ქარხნების მუშები. საკმაოდ დიდი ენთუზიაზმითა და იმედის მოლოდინით იბრძოდნენ მუშები მათი უფლებების დასაცავად, არ უშინდებოდნენ ქარხნის მმართველებსა და პოლიციის მუქარებსა თუ მოთხოვნებს, ისინი დიდ სიმტკიცეს იჩენდნენ თავიანთი პრინციპებისა და მიზნისათვის. მუშები არანაირ მოთხოვნებს არ დაემორჩილნენ, პირიქით „საშინელი ქვის სროლა აუტეხეს სალდათებს, ზოგიერთმა რევოლვერიც დაცალა (კვალი;1902;N39).

მუშებზე ასეთ ქმედება კაპიტან ანთაძის ბრძანებით განხორციელდ,ა სროლა იყო მუშებუის მიმართულებით. ამ მოვლენებს ემსხვერპლა 15 ადამიანის სიცოცხლე, დაიჭრა 54 ადამიანი, ხოლო ისინი ვინც მსუბუქად იყვნენ დაჭრილები შეძლეს მიმალვა.

გარდაცვლილები 12 მარტ დაკრძალეს, პროცესიას კი 5000 მეტი ადამიანი მიაცილებდა. ამ მოვლენებმა 9 მარტი ბათუმელი მუშების სოციალური ბრძოლის სიმბოლოდ აქცია.

1903 წლის მოხსენებაში მიხეილ ნიკოლოზის ძე დრიაგინი წერს: „მიხაილოვსკის ციხის გარნიზონის, პოლიციისა და ჟანდარმერიის შეთანხმებული და დროული მოქმედების წყალობით შესაძლებელი გახდა საანგარიშო წლის ზაფხულში დაწყებული უწესრიგობის დათრგუნვა და ბოროტგამზრახველ პირთა ისე პარალიზება, რომ ქუჩის უწესრიგობები კარგა ხანია არ მომხდარა. გატარებული მუშაობის შედეგად ბევრი მუშა გონს მოეგო და პროტესტი გამოუცხადა საკუთარ მეთაურებს. ასეთი გათიშვა მუშებისა, ასევე არაკეთილსაიმედოთა უმრავლესობის გადასახლება მხარიდა, ჩანს მოგვცემს სასურველ შედეგებს.

1904 წლის 12 აპრილის წერილში, რომელიც გაგზავნილია ბათუმის გუბერნატორის მიერ, აშკარას ხდის მიმდინარე პროცესს. კერძოდ კი, წერილში ვკითხულობთ: „1903 წლის 20 ივნისს უმაღლესი განკარგულებით ქალაქ ბათუმში შემოღებული გაძლიერებული დაცვის მდგომარეობა გაგრძელდა კიდევ ერთი წლით. ამ ვადის დროის გასვლისთვის პროპაგანდა ქალაქ ბათუმში არა თუ შეწყდა, პირიქით (აცსა,ფ.6,ა.1,ს.1;71) აქედან, თვალნათლივ ჩანს, რომ მუშები აგრძელებდნენ დღითიღე თავის გამოსვლებს. ისინი დასაწყისში ბათუმით შემოიფარგლებოდნენ, შემდეგ კი მათი საპროტესტო არიალი უფრო გაფართოვდა, ისინი აქტიურ საპროტესტო პროპაგანდას ეწეოდნენ აჭარის მაღალმთიან ნაწილშიც. მიუხედავად ბათუმის სამრეწველო ქალაქად გადაქცევისა, ამან მუშათა მძიმე მდგომარეობა ვერ გამოასწორა.ეს გამოწვეული იყო იქედანაც, რომ ქარხნის მმართველების ძირითად ნაწილს უცხოელები წარმოადგენდნენ , მოგების მიზნით კი უფრო ამძიმებდნე არსებულ ვითარებას და ხშირ შემთხვევაში მოგების ზრდის მიზნით ზრდიდნენ სამუშაო საათების რაოდენობას, რაც პირდაპირ აისახებოდა მუშათა მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე. ამ ყევლაფრის გათვალისწინებით კი შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის სწორედ ბათუმი იყო რუსეთის იმპერიის მასშტაბით, რევოლუციური გამოსვლების ცენტრი.

მუშები ერთიანდებოდნენ, როგორც თბილისსა და ქუთაისში, ასეევ ბათუმშიც. მათი გაერთიანება არ გულისხმობდა მხოლოდ მუშების გაერთიანებას, არამედ აქ ინტელიგენციაც ერთვებოდა. ძირითადად წრეების დანიშნულება იყო საგანმანათლებლო ხასიათის. მათი მიზანი იყო ზოგადი განათლების მიღება. ისინი

იკრიბებოდნენ დათქმულ დღეებში, ისინი ეცნობოდნენ როგორც მხატვრულ, ასევე სხვა ჟანრის ლიტერატურას გაცნობოდნენ, აქცენტი იყო ასევე რევოლუციორი მიმართულების პროპაგანდაზეც. საგანმანათელებლო მუშაობას ეწეოდნენ „მესამე დასის“ წევრები კ.ჩხეიძე და ი. რამიშვილი. საკვირაო სკოლა გაიხსნა ბარცხანაში, ხოლო სკოლის მართველობის პასუხისმგებლობა დაეკისრა მღვდელ თოფაძეს, ის იქნა დანიშნული სკოლის გამგედ. საკვირაო სკოლამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მუშათა გათვითცნობიერების საკითხში. ბათუმში არსებულმა სოციალურ- დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა მოსახლეობაში მარქსისტული იდეების გავრცელებაში, სწორედ ამ მიზნით, ფულის მოსაგროვებლად, ბათუმში კ.მარქსის პორტრეტი გაამრავლეს (სიჭინავა;1958;210) დიდი როლი ქონდა პროპაგანდის გაწევის საკითხში პრესას : აჭარაში ათასს აღწევდა გაზეთ „ივერიის“ ტირაჟი. მიუხედავად ყველა აღნისნულისა, ყველაზე ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ზრდასა და გაღრმავებაში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა. მიუხედავად სირთულეებისა და დაბრკოლებებისა,რაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეხვდა ბათუმში რუსული ხელისუფლების მხრიდან, ისინი მაინც აგრძელებდნე თავის საქმიანობას.

დასაწყისში რუსული მმართველობა ღიად ებრძოდა მათ, მაგრამ ისინი იძულებულნი იყვნენ, რომ ეღიარებინათ მათი ძალა. ეს საზოგადოება ძალიან დიდ ნდობას იმსახურებდა ბათუმის მოსახლეობაში და არა მარტო. ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ცდილობდა თავისი ნაციონალისტური მიზნების განხორციელებას...

მათ მიერ გაწეული პროპაგანდა მოსახლეობას შორის წმინდა ნაციონალისტურ-პატრიოტული და რუსეთის იმპერიისათვის სახიფათო იყო. ბათუმის წერა-კითხვის შემსწავლელმა სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ბათუმს.

1904 წელს ჩამოყალიბდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის ბიურო, რომლის ხელმძღვანელი მემედ აბაშიძე გახდა. ამავე წელს შეიქმა ბათუმში

სოციალისტურ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია, რომელსაც ასევე ქონდა სტამბა არალეგალურად.

პარტიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა გავლენის მოპოვება გლეხობაზე, მაგრამ მათი სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა, ვინაიდან მათი გავლენა გლეხობაზე სუსტი იყო. მნიშვნელოვანი იყო მენშევიკების გავლენა და ავტორიტეტი. განსაკუთრებული პოპულარობით კი ნოე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე სარგებლობდა. ბათუმში მოქმედი მენშევიკების პროგრამა თავისი შინაარსით ინტერნაციონალისტური იყო. ის იცავდა ერთიანი რუსეთის მუშათა ინტერესებს, მაგრამ არსებობდა გამონაკლისი შემთხვევებიც, ისინი ყურადღებას ეროვნულს საკითხებსაც აქცევდნენ. ამ პერიოდში გახშირდა თავდასხმები ეკლესიებზე, იტაცებდნე ძვირფას ხატებს.

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა დასაწყისშივე უარყოფითად განეწყო ეკლესიის მიმართ. ხშირად ეკლესიის თემის ირგვლივ იყო კამათი სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს შორის.

1904 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დეკემბრის პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლით დასრულდა. ყველა ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა რუსეთში, გავლენა იქონია საქართველოში და ბათუმის ოლქშიც, 1905 წლის პირველ ნახევარში, ფაქტიურად საქალაქო ცხოვრება პარალიზირებული იყო, ჩაკვდა ვაჭრობა, დაცარიელდა ნავსადგურები და მაღაზიები, ნავთობი კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გაჰქონდათ, ისიც უხოური გეემბით, შეწყდა სამგზავრო-სატვირთო რეისები, ასეევ მოიშალა სარკინიგზო სისტემაც. რთული მდგომარეობა იყო აჭარაში, თავს ესხმოდნენ ბანკებს, ძარცვავდნენ, გარდა იმისა რომ ეს ნაძარცვი ძირითად შემთხვევაში ხმარდებოდა იარაღის შეძენას, რიგ შემთხვევაში ეს თანხა რევოლუციური მიზნებისათვისაც გამოიყენებოდა. გარდა ბანკებისა, მასიურად იძარცვებოდა ნავსადგურში შემოსული გემები და რკინიგზის სადგურები, ძარცვავდნენ ვაგონებს. ამ პერიოდში ფაქტიურად ბათუმის ქუჩებში სიარულიც კი სახიფათო ხდებოდა, ეს უფრო მეტად რთულდებოდა იმის ფონზე, რომ ოფიცრები პირდაპირ გამოდიოდნენ ანტიქართული მოქმედებებით, მათი პროვოცირებით

ხდებოდა კაზაკების მხრიდან ძარცვა-გლეჯა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ არაყის გამო ჩადიოდნენ. ასევე ვკითხულობთ გაზეთ „სხივი“-ს სექტემბრის ნომერში „მიდიხარ ქუჩაზე აქეთ-იქეთ იყურები რომელიმე კუთხიდან მთვრალამ კაზაკმა ხიშტზე არ ააგოს... მთავრობამ კაზაკები წააქეზა, ქართველები რუსების წინააღმდეგ ომობენ, საჭიროა შური იძიოთო... მცხოვრებელნი მეტად დამფრთხალნი არიან.(სხივი;1905;მარტი)

რუსული გავლენა და შოვინისტური სასწავლო სისტემით უკმაყოფილო გიმნაზიის მოსწავლეების გამოსვლებმა მასიური ხასიათი მიიღო იანვრის ბოლოდან, მაგრამ 9 თებერვლს დაარბიეს ძალისმიერი მეთოდებით მოსწავლეები, რაშიც რუსეთის ხელისუფლებას დახმარებას უწევდა კაზაკები. სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ მოსწავლეებს, ურტყამდნენ გონების დაკარგვამდეც კი. ამ პროცესების ლოგიკური გაგრძელება იყო ბათუმის ქალთა გიმნაზიაში მომხდარი მოვლენები. მათი პროტესტი განსაკუთრებით გაძლიერდა მარტის თვეში. საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო ბარცხანასა და გოროდოკსი, ეს ტერიტორია მთლიანად „ბარცხანის გუბერნატორის“ ხელსი იყო, პოლიცია მისვლასაც კი ვერ ბედავდა აღნისნულ ტერიტორიაზე.

რუსეთის ხელისუფლება ხშირად ცდილობდა სათავისოდ და ინტრიგნულად გამოეწვია სენსიტიურ თემებზე ქვეყნის შიგნით არეულობა და დაპირისპირებები. ეს რუსული პოლიტიკისაგან არც ისე შორსაა, ვინაიდან ეს მეთოდი მისთვის საკმაოდ მარტივი განსახორციელებელია, არაერთხელ მიუმართავს აღნიშნული მეთოდისათვის, თუნდაც სომხეთ-თათართა შორის დაპირისპირება რომ გავიხსენოთ. სწორედ, ამ ნაცადი მეთოდის გამოყენებას ცდილობდა ბათუმში ორ სარწმუნოებას შორის, რომ მოეხდინა. „ბათუმში სცადეს ორი სარწმუნოების ხალხის ქართველი მაჰმადიანებისა და ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ თუმცა სარწმუნოებით მაჰმადიანები ვართ და მაშასადამე სხვა მაჰმადიანებთან კავშირი გვაქვს, მაგარმ ეროვნებით ქართველები ვართ. ქართული სისხლი გვიდუღს, სულით და გულით ქართველები ვართ, ამიტომ ჩვენში ვერასდროს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენ ჩვენს ძმებს ქრისტიან ქართველენბს გადაგვეკიდოს და ჩენს შორის მტრობა გააჩაღოს“, მემედ აბაშიძის ამ

სიტყვებს დარბაზში დიდი ოვაციები და მხურვალე ტაში მოყოლია, სწორედ დაახლოებისა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის საერთო ენის გამონახვის იდეა დაისახეს მიზნად, ამ ყევლაფერს კი ქართველების მხრიდან, ამ ორგანოში შევიდნენ ილია ჭავჭავაძე, მემედ აბაშიძე, ვასილ ყიფიანი.

მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა ბათუმის ოლქში, მთელი სიმწვავით დგას ეროვნული საკითი, ამ პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველი მუსლიმებიც, სწორედ ამ ყველაფერს მოყვა შემდეგი განცხადება: „არ არსებობს ქართველი, რომელიც არ იზიარებს თავისი ხალხის უმთავრეს ამოცანას, შეინარჩუნოს თავისი ხალხის ბატონობა, ენა და ავტონომია მომავალში.

ყოველდღიური ძალადობითა და ტერორით შეშინებული მოსახლეობა, იძულებული გახდა დახმარება გაეწია მთავრობისათვის, მკვლელობების, ქურდობებისა და შიშის ასალაგმად. მსგავსი არეულობა და ქაოსი გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში, სწორედ ამიტომაც გამოთქვა ქალაქის თავმა ივანე ანდრონიკაშვილმა შემდეგი მოსაზრება: „მკვლელობებმა, ძარცვამ, ქურდობამ,რომლებმაც ბათუმში მიიღო ყოველდღიური ხასიათი, მკვეთრად შეამცირა სამგზავრო მიმოსვლა ბათუმამდე“(ასმხფ,4,საქ.303;23)

ამან რათქმაუნდა გავლენა იქონია ქალაქის ბიუჯეტზეც, რამაც უკვე გამოიწვია საქალაქო ცხოვრების მოშლა. სამწუხაროდ, ამით არ დასრულებულა ქალაქის პირქუში ცხოვრება, იძარცვებოდა ბანკები, რამაც შეუწყო ხელი ბანდიტებში ფულის არსებობას, ეს ტანხა ძირითადად ხმარდებოდა იარაღის სეძენას, რაც არსებულ სურათს უფრო მეტად მძიმეს ხდიდა. ბანდიტებში არსებული თანხით არ ხდებოდა სიკეთის ან ადამინების სიდუხჭირის სესამცირებლად რაიმე სახის ნაბიჯები, ეს კიდევ უფრო ნათელს ხდიდა მათ მისწრაფებებს, რომ მათი მთავარი ინტერესი იყო სხვა და არა ადამიანების კეთილდღეობისათვის ბრძოლა.

მუშათა მოძრაობის პარალელურად გაძიერდა ბანდიტიზმი, ისინი იყვნენ ამოფარებული მუშათა სახელს. ისინი მუშების სახელით დანაშაულსაც კი არ ერიდებოდნენ. ამ პროცესებმა მიიღო ძალიან მძიმე და მასშტაბური ხასიათი, სწორედ ამის აღმოსაფხვრელად 1905 წლის თებერვალ-მარტში, გამოიცა სპეციალური კანონი:

„ძარცვა-გლეჯამ, ძალმომრეობამ და მკვლელობებმა ბათუმში მიიღო ძალიან სახიფათო ხასიათი“ (ასმხფ, 4,საქ.30;30)

ამ პერიოდშივე შემოვიდა ქალაქში კაზაკთა პოლკი. ისინი სისასტიკით იყვნენ განთქმულნი, მაგრამ მათ სისასტიკეში, არც ადგილობრივი პოლიცია ჩამოუვარდებოდა. არსებულ მდგომარეობას ასე ეხმაურებოდა გაზათი „სხივი“: „ქალაქი ბათუმი ხხელში ჩაუვარდა კაზაკთა ბრბოს კომენდატის მეთაურობით და მოქალაქეებზე გაბატონებულა. ისინი სცემენ კანონებს, ისინი ასრულებენ, თავისი სურვილებისამებრ ცხოვრეებით სვე-ბედს განაგებენ. რატომ ასე დაეჯაბნათ ბათუმი? ცხადია, რომ იქ მუშა ხალხი ცოტაა. მუსები კარგა ხანს სოფლად არის გაფანტული და აი, კაზაკებმა აიშვეს (სხივი;1905;მარტი)

კაზაკობა ძალიან მძიმე აღმოჩნდა ქალაქისთვის, რაც უფრო ამძიმებდა არსებულ ისედაც მძიმე ყოფას მოსახლეობაში. თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი, რომელიც ამ პერიოდში გამოიცემოდა, გვერს ვერ უვლიდა არსებულს და ეხმაურებოდნენ არსებულ მძიმე და რთულ მდგომარეობაზე, რომელსაც კაზაკობა უფრო მეტად ამძიმებდა. სწორედ ამ მდგომარეობას ეხმაურება, დავით კლდიაშვილი,რომელიც იყო არსებულით აღშფოთებული, კაზაკების ქმედებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ასე ეხმაურება: „ კაზაკებს დაუჭრიათ ხალხი და მიუყრ-მოუყრიათ. (46;52) ამ მომაკვეთში ძალიან კარგად ჩანს, საერთო მძიმე სურათი და კაზაკების თავაშვებულობა, მაგრამ ეს როდი იყო მხოლოდ ჩვენი მძიმე ყოფის გამომწვევი მიზეზი, ამ ყველაფერს ემატებოდა ხელისუფლების ანტიქართული პროპაგანდა, რაც სამომავლოდ ქმნიდა წინაპირობას ბათუმის უფრო მძიმე ვითარებაში გადასვლის შესახებ. მიუხედავად მძიმე ვითარებისა, მეორეს მხრივ, ამ ვითარებამ ხელი შეუწყო ეროვნული სულისკვეთების უფრო მეტად წინ წამოწევას, რაც მანამდელ პერიოდში ნაკლებად იგრძნობოდა. ამის ნათელი მაგალითია, ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეთა მასიური გამოსვლები იანვარ-თებერვალში, რაც იყო სწორედ იმისკენ მიმართული, რომ შეწყვეტილიყო რუსული შოვინისტური სასწავლო სისტემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სწავლას არ გააგრძელებდნენ. აქვე ისმოდა ეროვნული ხასიათის შეძახილები და სიმღეები თავისუფლებაზე. აქაც თავს იჩენს კაზაკთა ცხოველი ხასიათი და ბუნება თავს,

გიმნაზიის მოსწავლეთა დასარბევად გასულებმა, 9 თებერვალს, სასტიკი სურათი დახატეს. „ ერთ- ერთი მათგანი, გვარად თავაძე, დაიჭირეს და იმდენი ურტყეს, სანამ ამ უკანასკნელმა გონება არ დაკარგა. მეორეს, გიორგაძეს,თავი კედელზე ახეთქებინეს“(ასმხფ, 4,საქ.31;126) მაგრამ, ამით არ დასრულებულა, გაფიცვები გრძელდებოდა მარტშიც. მიმდინარე პროცესებში განსაკუთრებით აქტიურობით გამოირჩეოდნენ როტშილდისა და მანთაშევის მუშები, მაგრამ მუშათა შორის არ იყო ერთიანი სულისკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის მოსაზრებებს, რომ ერთიანი იყო მუშათა შეხედულებები, ვხვდებით მხოლოდ რუსულ ისტორიოგრაფიულ ნაწილში, რაც ნამდვილად არ შეესაბამებოდა არსებულ რეალობას. საარქივო მასალებით ნათლად ჩანს, რომ მუშათა შორის იყო განსხვავებული მოსაზრებებიც. „ბევრი ჩივის იმის გამო, რომ ხელფასის მიღებისთანავე ართმევდნენ და რიცხხავდნენ კომიტეტის ანგარიშზე“ (ასმხფ, 4,საქ.31;69) მუშათა ძირითადი ნაწილი იყო ბარცხანასა და გოროდოკში დასახლებული, მაგრამ პოლიცია ერიდებოდა ტერიტორიაზე მისვლას, ვინაიდან ძალაუფლება იქ „ბარცხანის გუბერნატორის“ ხელში იყო. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები.

...გლეხებში და ამაზე სოციალ-დემოკრატებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოგვიცხადეს. ქობულეთი, აჭარა ჩვენს ხელთ არის. ქუთაისში ძლიერნი ვართ, ჩვენს პარტიას ყველგან შეიარაღებული ხალხი ჰყავს ცოტა თუ ბევრი“(კვალი;1902;N39) წერილიდან აშკარად იკვეთება პარტიის როლი ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის საქმეში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აქვე, მემედ აბაშიძის როლი და ღვაწლი. მემედ აბაშიძე განსაკუთრებით იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში, სწორედ ის წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელმძღვანელობის პოზიციას, ფედერალისტების პარტიისა. „ახალგაზრდა თურქებს“ , ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ცარიზმის მოხელეები მათ, რელიგიური განსხვავებულობის გამო.

არაერთ წყაროში იკვეთება, „ქართველი მუსლიმების“ აქტიური ბრძოლა რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ. აი მაგალითად: „იმის უფლებას იძლევა, ვთქვათ,

რომ სოციალ-ფედერალისტები აქტიურად იბრძოდნენ რუსეთის პირველ რევოლუციაში.

რუსეთი ხშირად ცდილობდა რელიგიური ფაქტორის სათავისოდ გამოყენებას. ხშირად პროვოკაციებისა და სხვადასხვა მეთოდების საშუალებით, ეს იყო მისი ნაცადი ხერხი, რაც კარგად ესმოდა ქართველთა დიდ ნაწილს, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთები, ვინც წამოეგნენ, მაგრამ არა იმდენი, რომ შეექმნათ რუსეთის ხელისუფლებისათვის სასარგებლო პოლიტიკური ამინდი.

მაჰმადიან ქართველებს, მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით აქტიური ურთიერთობა ქონდა ანტირუსული განწყობის ინტელიგენციასთან. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ 10 ივნისი, თბილისის საადგილმამულო ბანკის თათბირი, სადაც თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძე, მოადგილედ კი მემედ აბაშიძე, აზერბაიჯანელების მხარეს წარმოადგენდა გაზეთ „ბაკუს“ რედაქტორი თოფჩიბაშევი, ხოლო მდივნად დაინიშნა მწერალი ვასილ ყიფიანი.

გარდა რელიგიურისა, რუსეთის ხელისუფლება იყენებდა ეთნიკურ ფაქტორს თავისი ინტრესების გასატარებლად. აქტიურად მიმდონარეობდა ეთნიკური ნიშნით ადამიანების მასიური მკვლელობები. რომლის მთავარი მიზეზიც იყო ეროვნული და ეთნუკური ნიშნით, ადამიანები ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ, რის სათავისოდ გამოყენებასაც გეგმავდა სამომავლოდ. სწორედ ამ მიზნით იქნა მოკლული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გ. შენგელია, რომლის მკვლელობაც სომხებს დააბრალეს. სწორედ ამ შემთხვევაზე წერს მემედ აბაშიძე: „ჩვენ მოგვიწია დიდი შრომის გაწევა, რათა თავიდან აგვეცილებინა ქართველთა და სომეხთა ურთიერთხოცვა. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო.“ (ვანიშვილი ;1989; 83) შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1905-07 წწ ერთ-ერთი მთავარი, საქართველოს ავტონომიის საკითხი წარმოადგენდა. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა და სეფერხებისა, ეროვნული საკითხი ძალიან მწვავედ იდგა ბათუმის ოლქში. მიზნის მისაღწევად უამრავ შეხვედრებსა და პრობაგანდული ტიპის მიმართვებს აკეთებდა სხვადასხვა რელიგიურ ფლანგზე მდგარი ინტელიგენცია, მთელი მონდომებით ცდილობდა მოსახლეობამდე მიეტანათ, რომ რელიგია არ უნდა გამხდარიყო მათი ერთადერთი ინტერესის შემაფერხებელი ფაქტორი, რამაც ძირითად ნაწილში იმუშავა, და იმედი

გაუცრუვდა რუსეთის ხელისუფლებას, მიუხედავად დიდი მონდომებისა, რომ სათავისოდ გამოეყენებინა ქართველთა შორის რელიგია შუღლიასა და დაპირისპირების მიზეზად. სწორედ შუღლის გამძაფრებას ემსახურებოდა 1905 წლის 15 მაისის მოვლენები, სადა მოკლეს მოლა მემედ ეფენდი ყოჩიოღლი ზადე (ვერძაძე).

1906-1907 წწ ბათუმში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ციხეებში პატიმრების ძირითადი ნაწილი პოლიტიკური ნიშნით იყო დაკავებული. ცენზურის ქვეშ მოექცა ჟურნალ-გაზეთები , განსაკუთრებით კი იდევნებოდა ეროვნული მიმართულების მქონე ჟურნალ-გაზეთები. რუსეთის ხელისუფლებას ბათუმის მიმართ განსაკუთრებული შიში ქონდა, ეს არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ეს იყო გამოწვეული, პირველი, მისი მდებარეობით და მეორეც, რელიგიური ფაქტორი, რომელიც აახლოევებდა მუსლიმ ქართველებს ოსმალეთთან. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მათი შიში ნამდივალდ არ იყო საფუძველს მოკლებული. ერთ-ერთი ამის დასტურია სწორედ, მოლა იუნუს იუსუფ ოღლი, რომელიც ხშირად სტუმრობდა უცხოეთს და გრკვეული სახის მითითებებსაც იღებდა მათგან, სწორედ ამ მიზნით იქნა ის დაკავებული და გადასახლებულიც კი, როსტოვის ოლქში. ასევე იყო მოლა რეჯებ ქემალ ოღლიც, რომელიც არამარტო ანტირუსულ პროპაგანდას ეწეოდა, არამედ ანტიქართველურსაც. მისი დაჭერა ვერ მოხერხდა, ის რამოდენიმეჯე დაუსხლტა ხელიდან დაკავებას. ის აგროვებდა ცნობებს ბათუმის ოლქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ, ცდილობდა ზემო აჭარის მოსახლეობა აემხედრებინა ქრისტიანების წინააღმდეგ (ასმხფ, 4,საქ.300;70)

1907 წლიდან აქტიურ ფაზაში შედის მკვლელობები პოლიტიკური ნიშნის გამო. 1907 წ 14 მარტიდან 20 ივნისამდე 8 თავდასხმა განხორციელდა. 1906 წელთან შედარებით, 1907 წლისათვის მოსახლეობა არ იყო ერთნი, თითქოს ყველა სხვადასხვა მიზნისთვის იბრძოდა. ეროვნული ღირებულებებიც რეგრესს განიცდიდა, რაც პირდაპირ ასხამდა წყალს მტრის წისქვილს.

1907 წლის შემდგომ გაგრძელდა დაპატიმრებების სერიები, 1908-1909 წწ ოლქიდან 800-ზე მეტი კაცი იქნა გადასახლებული.

ამ პროცესებმა გამოიწვია საკუთრივ მრეწველობის დონის დაცემა. ის, მუშები რომლებიც ქალაქში ცხოვრობდნე, ნელ-ნელა სოფლებში ბრუნდებოდნენ საცხოვრებლად, ან კიდევ სხვა ქალაქებში ცდილოობდნენ უკეთესი პირობების ძიებას. არსებულ მდგომარეობას ძალიან კარგად ასახავს 1909 წ აპრილში, ოლქის გუბერნატორის მიერ გაგზავნილ წერილში: „ოლქში არ შეიმჩნევა არავითარი რევოლუციური პროპაგანდა. რევოლუციური მოძრაობის მილება გამოიწვია იმანაც, რომ გაძლიერდა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი. ერთიმეორის მიყოლებით დაიხურა ქარხნები. მუშების დიდი ნაწილი უმუშევარია და იძულებულია დაბრუნდეს თავიანთ სოფლებში. ან სამუშაოს საძებრად წავიდეს სხვაგან. იმ მცირე საწარმოებში, რომლებიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ, მუშები უფრთხილდებიან თავიანთ ადგილებს და ხშირად მტრულადაც კი ეკიდებიან სოციალისტების პროპაგანდას“.(3.ასმხფ, 4,საქ.300;60.)

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დღითიდღე უფრო რთულდებოდა და გაუსაძლისი ხდებოდა ნორმალური ცხოვრების გაგრძელება. სწორედ ამიტომ, ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დიდი ცენზის ქვეშ მოექცნენ, თავის საქმიანობას ჩუმად აგრძელებდნენ, პოლიტიკური პარტიები იატაკქვეშეთში გადავიდა, მაგრამ ეს არ უშლიდა მათი საქმიანობის გაგრძელებას. ამ დროისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია ჩანდა: სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები. მათი ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ არასახრბიელო ფაზაში იყო, ისინი კვლავ აგრძელებდნე ერთმანეთში დაპირისპირებას. განსაკუთრებით ჩიხში შევიდა, მათ შორის უთანხმოება 1908 წლის ოქტომბრის თვიდან, ეს გამოწვეული იყო, ბათუმის საპატიმროებიდან პატიმრების გაქცევის გეგმის ჩაშლის მიზეზით, ორივე მხარე ერთმანეთისაკენ იშვერდა ხელს და აბრალებდნე ერთმანეთს. ამ საკითხთან დაკავშირებიკთ სულ 5-ჯერ გაიმართა შეხვედრა-დსიკუსია. ძალიან მკაფიოდ არის გამოსახული არსებული ვნებათა ღელვა ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის ბათუმის ოლქის, სამხედრო გუბერნატორის მიმართ გაგზავნილ დოკუმენტში: “ბათუმში არსებობს სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების პარტიები. მათი საქმიანობა ძირითადად უცხოეთიდან არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანასა და გავრცელებაში მდგომარეობს...

ხშირია მათ შორის დაპირისპირება. მოსახლეობა სიმპათიით უფრო სოციალ-დემოკრატების მიმართ არის განწყობილი“. (ასმხფ,4,საქ.303;81)

1910 წლიდან ვითარება განსაკუთრებით იძაბება, აღარ ექვემდებარება კონტროლს, ყველაფერთან ერთად, განხორციელდა ტერაქტიც, შედეგად დაშავდნენ ადამიანები, მათ ჰქონდათ სხეულის სხვადასხვა მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებები, ასევე ამ ტერაქტისას შეეწირა ერთი პოლიციელის სიცოცხლეც.

1910 წლის 14 სექტემბერს ბათუმის სამხედრო გუბრნატორისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ნათქვამია:“სოციალ-დემოკრატების პარტია ყველაზე უფრო პოპულარულია ხალხში. ამ პარტიას მრავალი მიმდევარი ჰყავს. ამ მხრივ სოციალ-დემოკრატები ბევრად უსწრებენ ბათუმის ოლქში მოქმედ სხვა პოლიტიკურ პარტიებს... ისინი ხშირად იკრიბებიან და მართავენ საიდუმლო კრებებს, სადაც მსჯელობენ პოლიტიკურ საკითხებზე. მათი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისში გამართულ საოლქო კონფერენციაში. ამჟამამდ მიმდინარეობს მუშაობა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის. ამ პარტიის აქტიური პროპაგანდის შედეგად მიმდინარე წელს(1910 წ) მოეწყო რამდენიმე გაფიცვა“. (აცსა,ფ.1,ან.1,ს.51;24.) განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდებოდა სოციალ-დემოკრატების გავლენის ზრდა იმპერიის მასშტაბით, დღითიდღე უფრო მეტად ანგარიშგასაწევი ძალა ხდებოდა:“ სოციალ-დემოკრატებმა მოახდინეს თავისი საქმიანობის ლეგალიზაცია და საქართველოს ყველაზე გავლენიან, პარლამენტური ტიპის დემოკრატიულ პარტიად იქცნენ“. (საქ. ისტორია; 1996; 262)

მიუხედავად იმისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მხოლოდ 1911-1912 წწ მუშების მიერ სულ 6-ჯერ მოხდა გაფიცვის ორგანიზება.

ბათუმის ოლქში მოქმედი პოლიტიკური პარტიები ღიად უპირისპირდებოდნენ ცარიზმის აღსანიშნავ ღონისძიებებს. დაპირისპირებაში ვგულისმობ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებას სურდა რომანოვების დინასტიის 300 წლისათვის საზეიმო ღონისძიების ჩატარება, ღიად დაუპირისპირდნენ არსებულ იდეას. ის კი არადა, მოსახლეობასაც მოუწოდებდნენ, თუ ხელისუფლება მაინც ჩაატარებდა ღონისძიებას, არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად,მაშინ უმალვე გამოეყენებინათ,მათი სახელმწიფოებრივი უფლება და გამოსულიყვნენ დომონსტრაციისა და აქციების

მოსაწყობად ქუჩებში. ამ ინფორმაიამ მიაღწია ხელისუფლების სათავეებშიც, შესაბამისად დაიწყეს სათანადო ზომების მიღება თავიდანვე, ვინაიდან აერიდებინათ მოსახლეობის გამოსვლები მათ წინააღმდეგ, რომ არ გამხდარიყო პროცესები უმართავი. მოსახლეობა გააფრთხილეს, თუ ისინი წავიდოდნენ ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, მაშინ ხელისუფლების მხრიდან იქნებოდა ყველა საჭირო ბერკეტი გამოყენებული არსებული ვითარების გასანეიტრალებლად. 21 თებერვალს რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეთან დაკავშირებული ღონისძიების ექსეების გარეშე ჩავლის გამო, დაკეტეს ფაბრიკა-ქარხნები, სასაუზმეები და დუქნები. 21 თებერვალს არ მომხდარა დაპირისპირებები, თუ არ ჩავთლით ქალაქის რამოდენიმე ადგილს, სადაც მცდელობა ქონდათ დემონსტრაციის მოწყობისა, მაგრამ ეს ფატქი აღმოფხვრილ იქნა უმალვე, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით.

მიუხედავად ცენზისა, მაინც იბეჭდებოდა პრესაში, ხელისუფლების მამხილებელი სტატიები. ამის გამო, ხელისუფლება არბევდა და ჩხრეკდა ყველა იმ ჟურნალ-გაზეთის რედაქციას, რომელიც მათი ნების საწინააღმდეგოდ მუშაობდა. ამ მიზეზით ხშირად აპატიმრებდნენ რედაქტორებსაც, ან კიდევ აძევებდნენ ოლქის საზღვრებიდან, რომ როგორმე ხელი შეეშალათ მათი საქმიანობისათვის.

ერთ-ერთი გამოცემა ბათუმში, რომელიც დიდად არ ეხატებოდა გულზე ხელისუფლებას, იყო „ბათუმის გაზეთი“, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ სპირიდონ ჭელიძე. რათქმაუნდა, გაზეთის და მისი რედაქტორის მუშაობა არ დარჩენულა ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ, ამ მიზნით ის გაჩხრიკეს, ხოლო ჩხრეკის შემდგომ, ჩვენ ვიგებთ შემმდგომ ინფორმაციას: “ ბათუმის გაზეთის“ რედაქტორი ჭელიძე პოლიტიკურად არასაიმედოა. ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების სტატიების უმრავლესობა მისი დაწერილია, აქვს ახლო ურთიერთობა ბათუმში მოქმედ პარტიებთან, რედაქციაში ხშირად იკრიბებიან ამ პარტიების წარმომადგენლები და მართავენ ანტისახელმწიფოებრივ კრებებს, გაზეთი გადაქცეულია ბანდიტური ორგანიზაციების ბუდედ და მისი შემდგომი საქმიანობის გაგრძელება მიზანშეუწონელია, რედაქტორი კი უნდა გადასახლდეს ოლქის საზღვრებიდან“.(გოგოლიშვილი; 2005;50)

ამ მიზეზების გათვალისწინებით რედაქტორი ჭელიძე დაპატიმრებულ იქნა. მოსახლეობის დიდი ნაწილი მშვენივრად გრძნობდა, თუ რატომ იქნა რედაქტორი დაპატიმრებული, ხელისუფლებას ეშინოდა ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისა, რასაც, „ბათუმის გაზეთი“ და მისი რედაქტორი ემსახურებოდა. დაპატიმრება კი იყო ერთგვარი გაფრთხილება, არა მხოლოდ კონკრეტულად ერთი ადამიანის ქმედდდების შესაჩერებლად, არამედ სამომავლოდ ეროვნული სულისკვეთების აღმოფხვრის პრევენციისათვის. ხელისუფლებას კარგად ესმოდა ეროვნული ღირებულებების გაძლიერება რამდენად დააზარალებდა მათ, სწორედ ამის გათვალისწინებით არ ერიდებოდნენ არაფერს, მიმართავდნენ ყოველგვარ უმსგავსო ქცევას, მიზნის მისააღწევად. ვნებათაღელვის მატების გამო, ხხელისუფლება იძულებული გახდა მალევე გამოეშვათ პატიმრობაში მყოფი რედაქტორი ჭელიძე, მაგრამ ეს არ იყო განთავისუფლება ბოლომდე, ვინაიდან მას ეკრძალებოდა პროფესიული საქმიანობის გაგრძელება, ხოლო გაზეთს შეუჩერეს გამომცემლობა 1914 წლამდე, გაურკვეველი მიზეზების გამო.

ცარიზმის მხრიდან, წამოვიდა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ცდილობდა მოსახლეობის კიდევ უფრო გამოყენებას მათი ინტერესების გასატარებლად, ამჟამად მათი იდეა იყო შემდეგში, რომ ყველა მაჰმადიანი ქართველის გაწვევა სამხედრო სამსახურში უდნა გამხდარიყო სავალდებულო. ერთის მხრივ, მართლაც სურდათ მათი ძალიას გამოყენება და მეორეს მხრივ, ეს იყო მიმართული იმისაკენ, რომ რაც შეიძლება ახლოს ყოლოდათ მაჰმადიანი ქართველები, მათი კონტროლი უფრო მარტივად რომ შესძლებოდათ, ვინაიდან სულ ქონდათ შიში და მოლოდინი, მათი ოსმალეთთან დაახლოების, რაც ნამდვილად არ იყო რეალობას მოწყვეტილი.

1912 წლის დეკემბერში გაგაზავნილ წერილში, რომელიც მეფისნაცვლის სახელზეა დაწერილი, ვკითხულობთ: “ჩვენს მიერ დაწყებული ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, თავდაპირველად ჩვენთვის სასურველი შედეგებით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ადგილი აქვს ურჩობის და მიმალვის შემთხვევებს. ჩვენ მიერ მოსყიდული ხოჯების თუ გავლენიანი პირების პროპაგანდის მიუხხედავად, ბევრი ახალგაზრდა ამბობს ჯარში წასვლაზე უარს და ტყეებში იმალება. როგორც ჩანს,

ადგილი აქვს საწინააღმდეგო პროპაგანდასაც, რომელსაც, ჩვენი მონაცემებით, ეწევიან ოსმალო ემისრები და მათი დამქაშები. ჩვენ ყველა ღონეს ვხმაობთ, რათა აღვკვეთოთ მსგავსი შემთხვევები, გამოვააშკარაოთ დამნაშავენი და დავსაჯოთ... შემდგომ გუბერნატორი განაგრძობდა:"სახელმწიფოს ინტერესებისთვის განსაკუთრებით განსაკუთრებით სასურველია ბათუმის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის ოლქიდან წასვლა. ამ ადგილების მდიდარი ბუნებრივი კლიმატური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ ჩამოსახლდეს რუსი მოსახლეობა და გაძლიერდეს რუსული კულრურა და ეს უნდა მოხდეს სწორედ სამხედრო რეფორმების გატარებით.

ბათუმის ოლქში სადაზვერვო ტიპის საქმიანობას ეწეოდნენ არა მარტო ოსმალეთის, არამედ ევროპის სადაზვერვო სამსახურებიც. 1913 წ 14 აგვისტოს წერილში ვკითხულობთ:" ბოლლო დროს მომრავლდა გერმანიის და მისი მოკავშირეების მხრივ რუსეთის იმპერიაში აგენტების დიდი რაოდენობით შემოგზავნა. ისინი ცდილობენ შეაღწიონ მნიშვნელოვან ობიექტებზე და აწარმოონ ფოტოგადაღებები... კავკასიას ამ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან იქ სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებული ობიეტებია განლაგებული. ეს მახარე იმყოფება გერმანიის ერთ-ერთი მოკავშირის, ოსმალეთის მეზობლად. აქედან გამომდინარე, ამ რეგიონით დაინტერესება დიდია...გთხოვთ შეიმუშაოთ საწინააღმდეგო ღონისძიებები ამ მიმართულებით". (სცსსა,ფ.84,ან.1,ს.158;39) განსაკუთრებული ყურადღება იყო მიმართული უცხოელებისაკენ, ეკრძალებოდათ მათ ფოტო-მასალის გადაღება, ვინაიდან ხელისუფლების აზრით, ეს იქნებოდა მათი მხრიდან მცდელობა, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: თვალყური ადევნეთ ყველა უცხოელს, გააფართოვეთ აგენტურის ქსელი, მასში ჩართეთ რაც შეიძლება მეტი ხალხი. ამით ძალიან კარგად ჩანს თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ფაქტს და რამდენად დიდ საშიშროებას ელოდნენ.

1913 წლის 17 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდა ავსტრიის მოქალაქე, ვინმე რიჰარდ ზეელერი. მასზე, როგორც უცხოელზე, მეთვალყურეობა დააწესეს. გამოირკვა, რომ ის მუშაკი და კიდევ რამოდენიმე აგენტი აწარმოებდნენ

მიხაილოვსკის ციხე-სიმაგრის ფოტოგდაღებებს. ციხესიმაგრის კომენტარს ისინი გადაღების მომენტში შეუპყრია. (აცსა,ფ.1,ან.1,ს. 441;44)

1914 წლის 4 მარტს მეფისნაცვალმა ბათუმის ოლქში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით, ადგილზე გამოგზავნა 12 კაციანი ჯგუფი, რომელიც ორი თვის განმავლობაში მუშაობდა, ადგილზე ეცნობოდნე შესაბამის მასალებს.

რის შედეგადაც ისინი ვრცერლ მოხსენებას აკეთებენ რუსეთის მეფისნაცვლის სახელზე. „მოხსენებაში“ საუბარია, აგრეთვე ბათუმის ოლქში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ორიენტაციაზე: „აქტიურობს ქართველთა ნაციონალისტური პარტია „ფედერალისტებისა“. ისინი მოითხოვდნენ ქართველთა ავტონომიას. პარტია ცდილობ ს მხარდაჭერა ჰპოვოს დასავლეთის ქვეყნებში. დაფიქსირებულია რამდენიმე ფაქტი, როდესაც გერმანული ემისრები ბათუმში შეხვდნენ „ფედერალისტების“ წარმომადგენლებს. ოსმალეთისათის კი ეს პარტია მიუღებელი იყო და არც უცდიათ მათთან რაიმე კავშირის დამყარება. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, თუმცა მათი გავლენა მოსახლეობაში ძლიერი იყო, მაინც ოსმალო ემისრები ყოველთვის ცდილობდნენ გვერდის ავლას მათი აშკარა პრორუსული ორიენტაციის გამო. სომხური ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციები კი ყოველთვის წინააღმდეგი იქნებიან კავკასიაში ოსმალური პოლიტიკისა“. (აცსა,ფ.1,ან.1,ს.450;15) აქვე, გამოთქმულია შეშფოთება „საიდუმლო დოკუმენტების“ გადინების გამო, რომელიც ხშირად მტერს უვარდება ხელთ. კომისიის აზრით, ოლქს კანცელარიებში მოკალათებული უცხო სახელმწიფოების აგენტები, რომლებიც დაუყონებლივ უნდა გამოაშკარავდნენ და დაისაჯონ. წინააღმდეგ შემთხვევაში შიტუაციაუმართავი გახდებაო.

მეფისნაცვლის მიერ მოწერილ წერილში კი ვკითხულობთ:“ თქვენდამი რწმუნებული ოლქის სახელისუფლებო ორგანოებში მუშაობენ არასაიმედო პირები, რომლებიც ასრულებენ უცხო სახელმწიფოთა აგენტურულ დაკვეთებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ზოგჯერ უაღრესად დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო დოკუმენტების შინაარსი ცნობილი ხდება მტრებისათის... დაუყონებლივ აღკვეთეთ მსგავსი საქმიანობა, კონკრეტულად, შემოწმდეს ოლქის ორგანოებში მომუშავე

თითოეული პიროვნება, სამსახურში მიიღეთ ისეთი ხალხი, რომლებიც პოლიტიკურად საიმედოა“. (სცსსა,ფ.13,ან.1,ს.257;66)

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბენატორმა მოიწვია თათბირი, რათა გამოეაშკარავებინათ და სათანადოდ დაესაჯათ ყველა ის პირი, ვინც ჯაშუშობდა ან იყო ჯაშუშურ ჯგუფებთან რაიმე სახის კავშირში შემჩნეული.

1914 წლის 27 ივნისის წერილში, რომელიც გაგზავნილ იქნა ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის მიერ, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიმართ:“ ისეთი შთაბედილებაა, რომ ართვინის ოკრუგი მთლიანად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ოკრუგის ხელმძღვანელი, ბატონი ლავროვი, მართალია, ინტელიგენტი, განათლებული კაცია, მაგრამ გააჩნია ბევრი ნაკლი. მაგალითად ამ ოთხი წლის წინათ , ართვინში ნშეიკრიბა 1866 რუბლი, რათა გაერემონტებინათ იქაური რუსული რეალური სასწავლებელი. ეს თანხა ლავროვმა ბანკს არ ჩააბარა და დღესაც გაუგებარია, სადაც გაქრა ეს ფული. ამან ლავროვს მოსახლეობაში სახელი სავსებით გაუფუჭა. ამასთან, ბატონი ლავროვი უნებისყოფოცაა და ამის გამო იგი იოლად მოექცა ართვინის კანცელარიის მდივნის სულეიმან ტაბახიძის გავლენის ქვეშ. ეს კაცი ნამდვილი ოსმალოა, რომელიც განიცდის თავისი მამის, მუხამესის ძლიერ გავლენას. მუხამედი კი აშკარად ოსმალეთის სასარგებლოდ მუშაობს. ასევე, ართვინის პოლიციას ხელმძღვანელობს კასუმ-ბეი. მან ვერ შეძლო გამოეაშკარავებინა ვერც ერთი ოსმალო თუ სხვა აგენტი, რომლებიც აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. მაგ., თითქმის 6 თვეა ართვინის მოსახლეობაში რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციას ატარებდა ორი ჯაშუში. პოლიცმეისტერმა კი ვითომც ვერაფერი შეამჩნია. ჯაშუშების დაკავება მოხერხდა მხოლოდ ართვინის მიხაილოვსკის ბატალიონის უფროსის როსტორგაევის ძალისხმევით. ამჟაქმად, დაკავებულები ბათუმის ციხეში იმყოფებიან... გამომდინარე ზემოთქმულიდან, გასაგებია, თუ რატომ აქტიურობენ ოსმალო ემისრები ართვინში“.(აცსა,ფ.1,ან.1,ს.709;20)

1914 წლის ზაფხულიდან გახშირდა ოროვოკაციები ოსმალეთის მხრიდან, არ ერიდებოდნენ უკანონოდ საზღრის კვეთასაც. 1914 წლის 12 ივლისს სამხედრო

გუბერნატორის სახელზე მიწერილს წერილში ვკითხულობთ:“ ჩვენ შევძელით ოსმალეთის საზღვრებთან მდებარე სოფლების მოსახლეობისაგან ჩამოგვეყალიბებინა „მფრინავი რაზმები“, მათ აღკვეთეს საზღვრის რამდენიმე ფაქტი... კარგი იქნება, თუ ასეთი რაზმები ჩამოყალიბდება კინტრიშის საპოლიციო უბანში... ეს რაზმები ჩვენთან ერთად დაიცავენ რკინიგზას და სხვა ობიექტებს... ასეთი მფრინავი რაზმების მომარაგება იარაღითა და ტყვიებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ჩვენს საწყობებში არსებული მარაგიდან“. (აცსა,ფ.1,ან.1,ს.709;26)

1914 წლის 2 აგვისტოს ბათუმის ვაგზლის ტერიტორიაზე განხორციელდა ძლიერი აფეთქება, შედეგად დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი და დაზიანდა ახლო მდებარე შენობები, ჩაიმსხვა მინები. ამ მოვლენებში ეჭვიტანილები დააპატიმრეს, მაგრამ ამ მოვლენებითვ არ დასრულებულა არსებული რეალობა. ამავე წლის 18 აგვისტოს რევორველიდან გასროლილი ტყვიით მოკლული იქნა პოლიციის თანამშრომელი ზანანიანი და დაჭრეს ასევე, პოლიციელი ეგეროვი. საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო ქალაქში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა სიკვიდილის შიში, შიში უსამართლობისა. ძალიან კარგად ესმოდათ რუსეთის გუბერნიაში არსებული ვითარების ლოგიკური დასასრული, რომ არ იქნებოდა მათთვის სახარბიელო, ამოტომ ყველა ხერხს მიმართავდნენ, რომ აეკრძალათ უცხოელების შემოსვლა, აეკრძალათ ასევე ფორო-მასალის გადინება, რაც სამომავლოდ საფრთხეს შეუქმნიდა მათ. ერთი სიტყვით ძალიან მკაცრად დაიწყეს კონტროლი ბათუმში შემომსვლელთა. თითქმის ყველა უცხოელს უკან აყოლებდნენ ჯაშუშს, რომ ზუსტად ყოფილიყო ხელისუფლება საქმის კურსში. მიუხედავდ ამდენი მცდელობისა, ამდენი რესურსის ხარჯვისა, მაინც ხდებოდა ბათმიდან ინფორმაციის გადინება, როგორც ფოტო-მასალის საშუალებით, ასევე სხვა მეთოდებით.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ მასალაში ბევრი ბრალდებაა ადგილობრივ მოსახლეობასა და ბეგებზე, ისინი ანტირუსულად იყვნენ განწყობილნი და ომის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს მიემხრობოდნენ. 1914 წლის 5 აგვისტოს გუბერნატორს შეატყობინეს, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილში, ოსმალო ემისრების მიერ გაწეული აგიტაციის შედეგად, შეიმჩნეოდა ოსმალეთისადმი ლოაიალური დამოკიდებულება

და ანტირუსული განწყობილება , რაც ომში მოწინააღმდეგის წარმატების პირობებში, მის მხარეზე გადასვლის შესაძლებლობას ქმნიდა; (აცსა,ფ.1,აღ.1.702;3.)

მიუხხედავად უამრავი ღონისძიებებისა, რაც იქნა რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული ანტიჯაშუშური საქმიანობის მოსპობის მიზნით, მაინც ხდებოდა ჯაშუშთა მხრიდან, ანტირუსული პროპაგანდის წარმოება, ეს ძირითადად იყო ოსმალეთიდაან მართული ძალები, ხოლო ამ ადამიანების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა მოლები და ის ადამიანები, რომლებსაც საზოგადოებაში თავისი სიტყვა ეთქმოდა. სწორედ ამის გამო, გუბერნატორი თვითონ ეახლა ართვინსა და ზემო აჭარას, ვინაიდან თავისი თვალით ენახა არსებული მდგომარეობა, ეს ის ადგილები იყო, რომელიც ყველაზე მეტად საშიშად მიაჩნდათ მათი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსაყენებელ ძალად. აქ ყველაზე მეტად და იოლად მიუწვდებოდა ოსმალეთს ხელი , რაც შეიძლება მეტი თავისი პოლიტიკის გამტარი მოეძებნა, რაც არ აყო რუსეთის ხელისუფლებისათვის უცხო. 1914 წლის 12 სექტემბრის წერილში, რომელითაც კავკასიის მეფისნაცვალს გუბერნატორი არსებულ ვითარებას აცნობს, ვკითხულობთ;“ საეჭვოდ მიმაჩნია ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსახლეობა ომის შემთხვევაშიმტრის მხარეზე აღმოჩნდება...ჩემმა მოგზაურობამ ამაში დამარწმუნა“. (აცსა,ფ.1,აღ.1.715;44.)

ამ მონაკვეთით ნათელი ხდება, თუ რა მდომარეობა იყო ზემო აჭარასა და ართვინის ტერიტორიაზე, სწორედ ამის გამო იყო, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან არაერთხელ წამოყენებული ინიციატივა, იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული ტერიტორიებიდან დაესახლებინათ პროოსმალური ორიენტაციის მოსახლეობა, რაც სამომავლოდ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთის პოლიტიკის გატარებას, სანაცვლოდ კი რუსეთის ტერიოტორიიდან ჩამოესახლებინათ მათთვის დასაყრდენი ძალა, მითუმეტეს, რომ ძალიან მოსწონდათ აქ არსებული ბუნება და მიწები, რაც არაერთ წერილშიც იქნა დაფიქსირებული მათი მხრიდან.

XIX-XX საუკუნეები განსაკუთრებით მძიმე და მრავალფეროვანია, გარდამტეხი აღმოჩნდა, ასევე საყურადღებოა, სიძნელეებისა და პოლიტიკური ვნებათაღელვის მიმართულებით. თუ დავაკვირდებით, მარტივად მისახვედრია, რომ საშინაო პოლიტიკა ძირითადად ჩვენს ქვეყანაში, იყო მართული გარე ძალებით.

სწორედ ეს იყო ყველაზე მძიმე ჩვენი კუთხისთვის, ვინაიდან არცერთ ძალას არ ადარდებდა რეალურად ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და წარმატების მიღება, და ეს ლოგიკურიც არის. ხან რუსეთის პოლიტიკის გამტარებლები ვართ და ხანაც ოსმალეთის, მაგრამ საბედნიეროდ ჩვენშიც გამოიძებნა ის ნათელი ძალა, რომელიც გულანთებული იბრძოდა ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. მიუხედავად, იმ სირთულეებისა, რაც ამ პერიოდს უკავშირდება, მაინც უნდა ითქვას რუსეთის იმპერიის როლი ჩვენი რეგიონის განვითარების საკითში. ვინაიდან სწორედ მათი ძალისხმევის საფუძველზე მოხდა უდიდესი გარდატეხა, ფაქტიორად აზიური ქალაქიდან მივიღეთ ევროპული ტიპის ქალაქი. რათქმაუნდა ძალიან ბევრი უარყოფითი ფაქტი ფიქსირდებოდა რუსეთის იმპერიის ჩარევით ადგილობრივი მმართველობის პროცესებში, მაგრამ საბოლოოს შედეგი გვაძლევს იმისი თქმის საშუალებას, რომ მიუხედავად ძალმომრეობითი მმართველობისა, მიუხედავად ცენზისა და ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე ყოფისა, მაინც მოახდინა გარდამტეხი როლი რუსეთის ხელისუფლებამ ჩვენი რეგიონის განვითარების საკითხში. სამწუხაროდ ყოველთვის იყო არის და იქნება, ისეთი პატარა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა გარე ძალებისა, როგორიც არის საქართველო.

&3.თვითმმართველობის როლის ბათუმის ეკონომიკური განვითარების პროცესში

ეკონომიკური წარმატებების კვალობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმის შემოსავლები. ქალაქის ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) ზრდის დინამიკა 1879-1887 წლებში ასეთ სურათს გვაძლევს (Батумь и его окрестности;1906;482).

წელი	შემოსავალი	გასავალი
1879	21.010 მან	12.600 მან
1880	27.466 მან. 02 კაპ.	17.158 მან. 22 კაპ.
1881	29.971 მან. 99 კაპ.	23. 109 მან. 67 კაპ.
1882	68.094 მან. 07კაპ.	75. 017 მან. 81 კაპ.
1883	68.471 მან. 26 კაპ.	68. 163 მან. 71 კაპ.
1884	75.690 მან. 98 კაპ.	75. 647 მან. 34 კაპ.
1885	85.994 მან. 84 კაპ.	92. 864 მან. 94 კაპ.
1886	90.444 მან. 30 კაპ.	110.699 მან.. 98 კაპ..
1887	116.394 მან. 82 კაპ.	107.178 მან. 14 კაპ.

ეკონომიკურად დაწინაურებული და მოსახლეობის რაოდენობით გაზრდილი ქალაქი მოითხოვდა ცვლილებებს მმართველობის სფეროშიც. რუსეთთან შეერთების შემდგომ მთელი ათი წლის მანძილზე ბათუმის სამხედრო-პოლიციური მმართველობა არსებობდა.

1878 წელს ქალაქის პირველ პრისტავად და პოლიცმეისტერად დანიშნა ნადვორნი სავეტნიკი დ.შ. ჟურული. ქალაქის წარჩინებულ მოსახლეობას უფლება ჰქოდნა აერჩია ოთხი დეპუტატი. რომელსაც ადმინისტრაცია მხოლოდ გადასახადების აკრეფის დროს იყენებდა. მეტი უფლებები ამ წარმომადგენლობას არ გააჩნდა. „ბათუმის დაგეგმარების, გაანშენიანების, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და სხვა საკითხებს წყვეტდა პოლიცმეისტერი ბათუმის ოლქის უფროსთან და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით“

(ბენდიაშვილი;1982;227). ასეთი სახის მმართველობა ბათუმის ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებას ვერ უზრუნველყოფდა, პირიქით, საგრძნობლად აბრკოლებდა მის ზრდა-განვითარებას (კარალიძე;2002;127). ამას კარგად გრძნობდნენ ბათუმის მაშინდელი მცხოვრებლები. 1885 წელს ბათუმის 90-მდე მცხოვრებმა თხოვნით მიმართა კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველს, რათა 1870 წლის 16 ივნისი დებულების საფუძველზე ბათუმშიც შემოღებული ყოფილიყო სამოქალაქო თვითმმართველობა. „მხოლოდ თვითმმართველობას, წერდნენ ისინი, შეუძლია მისცეს ქალაქის მმართველობის მანქანას, რომელიც არც თუ სწორად და სწრაფად მოძრაობს, შესამჩნევი ბიძგი. მხოლოდ ქალაქის ნამდვილი მმართველობა, მხოლოდ ენერგიული და გავლენიანი ქალაქის თავი შეძლებს დააყენოს საქალაქო მეურნეობა მტკიცე საფუძველზე და მიაღწიოს წარმატებას ქალაქისათვის საჭირბოროტო გადაჭრისას(Батумь и его окрестности;1906;483). მაგრამ ქალაქის მაშინდელ მესვეურთ ეძნელებოდათ თბილისი, მატერიალურად სასარგებლო თანამდებობების დატოვება. ბათუმელებიც მიიჩნევდნენ, რომ საქალაქო თვითმმართველობის შემოღებით დასრულდებოდა საპოლიციო რეჟიმის უკონტროლო და უანგარიშო მოქმედებები.ბათუმის, როგორც სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა, ბათუმის პრონტო-ფრანკოდ გამოცხადებამ. ამას აღიარებდნენ რუსეთის იმპერიის ოფიციალური პირებიც -„რა თქმა უნდა პრონტო- ფრანკომ, დაფუძნებულმა ისეთ ნაკლებად კულტურულ პუნქტში, როგორიც ბათომია, გარკვეული გავლენა მოახდინა მის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაზე“(Батумь и его окрестности;1906;357).

ვაჭრობა, რომ აჭარაში მეოურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო, ამას ადასტურებს არაერთი წყაროც, ერთ-ერთი ასეთია: „აჭარელნი ძველთაგანვე მუშაობასა და ვაჭრობას იყვნენ შეჩვეულნი.

ვაჭრობაში ზღვის ნაპირები და ლაზისტანი უწყობს ხელს“(ივერია;1894;N68) ოსმალეთის საუკუნოვანმა ბატონობამ აჭარას თავისი დაღი დაასვა, ეს გამოხატული იყო განსაკუთრებით ეკონომიკასა და სავაჭრო ურთიერთობებში. საქმეს განსაკუთრებით ის ამძიმებდა, რომ გზის არარსებობის გამო მხარის სასოფლო-სამეურნეო რაიონები ფაქტიურად მოწყვეტილი იყო ძირითად სავაჭრო ცენტრს-

ბათუმს, სადაც 800 დუქანი ყოფილა, ამ ცნობას ვხვდებით დიმიტრი ბაქრაძესთან(ბენდიაშვილი;1982;24). ვაჭართა უმრავლესობას უცხოელები წარმოადგენდნენ, რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ისინი ვაჭრობის მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენდნენ. „ქართველობამ ვერ შეძლო დროისთვის ალღოს აღება, მრეწველობა, აღებ-მიცემობა მან სათაკილო საქმედ მიიჩნია და სომხებასა და ებრაელებს დაუტოვა ეს დაბალი ხელობა“(ბათუმის გაზეთი;1911;N22).

ქვედა აჭარისათვის კი ცენტრს ქედა წარმოადგენდა, სადაც იმართებოდა ყოველ პარასკევ დღეს ბაზრობა (მურიე;1962;14). ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად აქ ახდენდა ადგილობრივი პროდუქციის გასაღებას, ისინი ძირითადად ვაჭრობდნენ ხელოსნური ნაკეთობებით, მეცხოველეობის პროდუქთებითა და ხილით. მიუხედავად უარყოფითი ფაქტისა, აჭარის შეერთების პროცესმა რუსეთან ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო, ვაჭრობისათვის შეიქმნა ხელსაყრელი პირობები.

ბათუმი იყო ერთგვარი ბაზა, აქედან გადიოდა, როგორც ევროპული, ასევე ადგილობრივი პროდუქცია.. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბათუმში გროვდებოდა ევროპაში გასატანი ხე-ტყე, ხილი და სხვა მრავალი პროდუქტი. რუსეთის ხელისუფლება დააფიქრა არსებულმა პრობლემებმა, რაც ახლა თან პროდუქციის გატანას და ვაჭრობას. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა არსებული პრობლემები, რაც შეიძლება ნაკლებ დროში აღმოეფხრა, გზების მოწესრიგება არა მარტო ეკონომიკური მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი, არამედ ამას მოითხოვდა სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებაც. „ბათუმის მაზრის შემოერთებისთანავე მთავრობამ დაიწყო გზების გაყვანა ბათუმიდან სამი მხრით: არტაანისაკენ, ახალციხისაკენ და ოზურგეთისაკენ. არტაანისაკენ ბათუმიდან 103 ვერსი გზა ამჟამად არის გაკეთებული ერთი საჟენი სიგანით. ახალციხისაკენ: 110 ვერსი, აგრეთვე 1 საჟენი სიგანისა. ბათუმიდან ოზურგეთისაკენ კი 46 ვერსი, სიგანე 2 საჟენი. სულ კი ამ გზების გასაკეთებლად, ხიდებისა და თოფი წამლის ხარჯით, დახარჯულია ჯამში 442.000 მანეთი(დროება;1880;N99).

ცარიზმის რუსეთს კარგად ესმოდა გზების როლი და მნიშვნელობა მათი სტრატეგიული მიზნებისათვის, ამიტომ არც შემდგომ აკლებდა ძალებსა და

ყურადღებას გზების კეთილმოწყობასა და სრულყოფის პროცესს. 1896 წლის ქუთაისი გუბერნიის ანგარიშის მიხედვით, ბათუმი-ახალციხის გზის (147,452 -ვერსი) 106.153 ვერსი იყო მოკირწყლული, ასევე მოკირწყლული იყო ბათუმი-ქობულეთი-ოზურგეთის გზა (88,914 ვერსი) . ბათუმი-არდაგანის გზა (საერთო სიგრძე 158,136 ავტ) მოკირწყლული იყო მხოლოდ 24,842 ვერსი. 1895 წლისათვის ბათუმი-ახალციხის გზის სამუშაოებზე დაიხარჯა 143.871 მანეთი; ბათუმი-არდაგანის გზის სამუშაოებზე - 234.877 მანეთი. ასეევ თანხები იქნა გამოყოფილი ჯებირების გასაკთებლად, რომელიც დაიცავდა ჭოროხის შემოტევებს, სულ გამოყოფილი იყო ამ სამუშაოების შესასრულებლად 57.686 მანეთი (ქცსა,ფ130,ა.1, ს.180;24-25). მაგრამ გატარებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი, პრობლემის თავიდან ასაცილებლად. 1911 წელს ბათუმის ოლქის გზატკეცილებისა და შენობა-ნაგებობების შემოწმება დაევალა მეფისნაცვლის ტექნიკური სამმართველოს თავმჯდომარის, შექმნილ კომისიას ინჟინერ ბუინოვის ხელმძღვანელობით. ოფიციალური ანგარიშიდან ვიგებთ, რომ ამ დროისთვისაც ბათუმში გზების მდგომარეობა კვლავ სავალალო იყო(20;3-8).

ბათუმის რუსეთაან შეერთების შემდეგ, მისი როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის სრულყოფისათვის და პროგრესისათვის აუცილებელი იყო მისი უზრუნველყოფა სარკინიგზო გზითა და ნავსადგურით. დღის წესრიგში დადგა ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობა, მაგარამ პროცესების დაჩქარება გამოწვეული იქნა შემდეგი გარემოებით: გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთს ბაქოში ნავთობი ფოთის პორტიდან და ბალტიისპირეთის ნავსადგურებიდან გაჰქონდა, ეს ქმნიდა დროში შეფერხებას, საკმაოდ დიდი დრო ჭირდებოდა ნავთობის ადგილამდე ჩატანას, რაც რასაკვირველია ერთადერთი პრობლემა არ იყო, ის საკმაოდ დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული, რამაც გადააწყვეტინა რუსეთის ხელისუფლებას დაფიქრებულიყვნენ უფრო იაფი ნავსადგური საკითხთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ აირჩა ბათუმის ნავსადგური, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთ საუკეთესო ნავსადგურზე. ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირების შემდეგ ბათუმი უნდა გამხდარიყო ნავთობის ექსპორტის ძირითადი ცენტრი, რამაც დღისწესრიგში დააყენა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის საკითხი. საყურადღებოა ყველაფერთან ერთად ბათუმის მდებარეობაც, ვინაიდან მათუმის ყურე იძლეოდა იმის საშუალებას,

რომ ცუდი ამიდის შემთხვევასი ნავსადგურში 50- მდე გემი განლაგებულიყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ბათუმის ნავსადგურის მშენებლობა მართლაც მნიშვნერლოვანი იყო. ძალიან დიდი ბიძგი მისცა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობამ და რკინიგზის გაყვანამ ეკონომიკურ პროგრესის პროცესს.

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ნავთობის ექსპორტს. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე უდიდესი მასშტაბის ექსპორტირებას, ბაქო უმთავრესად ბათუმის მეშვეობით აწარმოებდა(სიჭინავა; 1958;119). ბათუმიდან ბაქოს ნავთობის გატანა დღითიდღე იზრდებოდა. ბათუმის ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების საკითხში ნავთობის გატანამ ბათუმის ნავსადგურიდან, უმთავრესი როლი შეასრულა, რამაც შემდგომ ბიძგი მისცა ქალაქის სხვა დარგების განვითარებასც. ვინაიდან, ნავსადგურის არსებობას, მოჰყვა უამრავი საჭიროებაც, რამაც ხელი შეუწყო ქალაქის სწრაფ განვიტარებაში. ეკონომიკური ზრდითა და ქალაქის კეთილმწოყობით იყო სწორედ გამოწვეული ბათუმის მოსახლეობის განსაკუთრებული სისწრაფით ზრდაც, ვინაიდან ბათუმის ძალიან საინტერესო ადგილი გახდა, როგორც ადგილობრივი ასევე უცხო ქვეყნის მოსახლეობისათვის. ამიტომაც იყო თვალშისაცემი ბათუმის სიჭრელე, როგორც რელიგიური თვალსაზრისით, ისე ეთნიკურის მხრივ. 1883-1902 წლებში ბათუმიდან ნავთისა და ნავთობპროდუქტების გატანა.

ასეთ სურათს გვისახავს:

წლები	**ნავთი**	**საცხები ზეთი**	**სხვა ნავთობპროდუქტები**	**სულ**
1883	1.372,5	1.721	2554	3.348,9
1884	3.803,9	1.457,8	9391	6.200,8
1885	7.099,5	2.138,6	1.170,8	10.408,9
1886	8.879	2.228,5	3.289,6	14.397,1
1887	11.191,9	2.739	4.135	18.065,9
1888	22.543,5	1.727,5	4.280,1	28.551,1

1889	33.040,9	1.951,7	5.121,3	40.113,9
1890	36.211,8	3.497,2	2.715,5	42.424,5
1891	42.223	4&062,6	2.586,6	48.872,2
1892	45.439,5	5.178,9	1.709,6	52.328
1893	48.137,4	5.515,3	1.491,5	55.144,2
1894	41.557,1	4.893	2.006,3	48.456,4
1895	47.885,1	5.042,9	1.895,6	54.823,6
1896	37.730,8	3.222,6	1.130,3	42.083,7
1897	48.843,4	6.382,8	2.897,3	57.826,5
1898	51.841,5	7.280,2	2.909,1	62.030,8
1899	56.063,3	8.001,4	2.239,9	66.304,6
1900	50.786,7	8.203,3	1.668,9	60.658,9
1901	65.016	8.268,2	1.087,7	74.371,9
1902	67.560,9	9.270,3	1.507,6	78.338,8

ბათუმიდან უცხოეთში გატანილი ნავთობის მოცულობა(ათასობით ფუთი) მიხედვით ასეთ სურათს გვაძლევს (Батумь и его окрестности;1906;315):

წლები	ქვეყნები					
	ავსტრია	ინგლისი და მალტა	ჰოლანდია და ბელგია	გერმანია	იტალია	თურქეთი და საბერძნეთი
1889	5.642	6.749	2.538	763	2.521	5.550
1890	6.489	7.952	2.657	422	1.740	4.825
1891	6.514	8.412	3.041	-	2.285	6.293
1892	6.216	8.412	2.284	295	2.270	5.743
1893	6.686	7.811	2.044	679	1.411	5.848
1894	6.413	7.346	2.363	120	593	6.629

1895	3.781	7.277	2.907	1.129	1.300	4.102
1896	2.026	8.627	1.041	1.188	1.298	6.527
1897	2.859	7.636	527	1.240	1.564	5.906
1898	2.415	10.083	2.267	1.628	1.475	5.179
1899	2.573	12.875	1.955	2.405	1.163	3.073
1900	342	12.939	1.868	3.100	367	5.397
1901	1.163	13.409	3.206	3.044	1.249	5.004
1902	795	21.045	5.054	4.167	1.291	4.490

XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ბათუმმა არა მარტო ფოთს გაუსწრო საერთო ტვირთბრუნვის მაჩვენებლით, არამედ მთელს ქუთაისის გუბერნიაში მოიპოვა აბსოლუტური უპირატესობა. ამას ცხადყოფს შემდეგი სტატისტიკა. 1993 წელს ბათუმისა და ფოთის პორტების ტვირთბრუნვა ასეთ სურათ გვაძლევს:

პორტისს დასახელება	**გემის სახელი**	**შემოვიდა**		**გავიდა**	
		უცხოეთიდან	**კაბატაჟით**	**უცხოეთში**	**კაბატაჟით**
ბათუმის	ორთქლის	1.071	1.087	1.071	1.087
	იალქნიანი	468	125	468	125
ფოთის	ორთქლის	95	419	94	419
	იალქნიანi	12	64	11	64

ქარხნებისათვის ჩარხები ამერიკიდან იქნა გამოწერილი, ასევე ჩამოიყვანეს ტექნიკოსები, რომლებიც დაამონტაჟებდნენ დანადგარებს. ქარხნის შესაძლო გათვლებით ნაგულისხმები იყო , რომ ქარხანას უნდა გამოემუშავებინა 3.000 ხის და 6.000 თუნუქის ყუთი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არ ყავდათ გამოცდილი მუშახელი, შესაბამისად ვერ მოხედხდა გათვლების სისრულეში მოყვანა. 1886 წლამდე ეს ქარხანა იყო ერთადერთი, რომელიც ხის ყუთებისა და თუნუქის ყუთებს აკეთებდა ქარხნული წესით (ქცსა,ფ.130,ა.1,ს.180;13) შემდეგ კი ეს ქარხანა როტშილდის საკუთრებაში გადავიდა.

1887 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობის პროდუქციამ 5 მილიონ 237 ათას 254 მანეთი შეადგინა. რაც შეეხება, ბათუმის ნავთის ქარხანას და მის საექსპორტო ნავთობს, ის 9-ჯერ აღემატებოდა დანარჩენი გუბერნიების რაოდენობას, ანუ ბათუმი იყო ძირითადი საექსპორტო ფანჯარა ნავთობისა ევროპისათვის, და არა მარტო ნავთობის. (ქცსა,ფ.130, ა.1,ს.170;10)

წლეი	სულ გაიტანეს უცხოეტსა და რუსეთში	ნავთობპროდუქტები	სხვა სახის საქონელი	სულ შემოიტანეს	პროდუქტის სრული ტვირთბრუნვა
1888	35.789,370	30.661,500	5.127,870	5.084,000	41.161,179
1889	46.436,468	41.885,335	4.551,133	7.056,501	53.894,679
1890	50.638,000	47.049,085	3.588,915	8.058,000	59.041,373
1891	57.913,000	54.261,320	3.651,680	10.292,638	68.738,070
1892	61.986,000	57.479,838	4.506,162	8.995,415	71.416,363
1893	67.699,689	62.797,994	4.901,695	12.237,570	80.300,069
1894	61.395,000	57.467,402	3.927,598	14.790,587	76.582,374
1895	65.963,810	62.128,915	3.834,895	13.228,197	79.445,964
1896	51.551,651	48.663,000	2.888,651	14.100,823	65.902,357
1897	68.170,000	65.030,837	3.139,16	15.062,00	83.681,064

			3	2	
1898	71.622,000	68.174,795	3.447,205	14,782,937	86.713,623
1899	77.538,965	73.098,886	4.440,076	15.211,522	93.238,537
1900	74.199,147	67.293,308	6.902,839	16.017,733	90.993,393
1901	84.459,337	78.004,21	5.955,916	16.315,332	101.458,351
1902	92.094,340	82.673,763	9.420,577	14.524,340	107.397.146

1895 წლისათვის ბათუმის ოკრუგში სულ მოქმედებდა 3 ქარხანა: ერთი - სპილენძსადნობი და ორი ტყავის, ასევე ფუნქციონირებდა 35 საწარმო, აქედან:

ერთი თუჯისსასხმელი, ორი თამბაქოს, ოთხი მინერალური წყლის, ერთი ხელონვური ყინულის, ერთი ხისსახერხი, ჩვიდმეტი ტარის დასამზადებელი ქარხანა და ნავთის ჩამოსასხმელი სადგური, შვიდი კასრის, ერთი ფანერის და ერთი ლურსმნის დასამზადებელი. ბათუმის საწარმოებში სულ დასაქმებული იყო 3845 მუშა, პროდუქციის ღირებულება კი 26 541 965 მანეთს შეადგენდა, მაშინ როდესაც მთელი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში 723 საწარმო, საწარმოში დასაქმებული 5474 მუშა და წარმოებული პროდუქცია 27 401 793 მანეთს შეადგენდა (ქცსა,ფ.130,ა.1,ს.180;36) ამ მონაცემებზე დაყრდნობით სულაც არ არის რთული მისახვედრი, თუ რატომ იქცევდა რუსეთის ძალიან დიდი ინტერესს ბათუმის ოკრუგი.

ბათუმის ზრდა მეტწილად დამოკიდებული იყო მისი, როგორც ექსპორტიორის სტატუსთან, რის გამოც დაიწყო ბათუმის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაც, ქალაქის მოწესრიგებას ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ ნავთობის ჩამოსასხმელი სადგურების ძირითადი ნაწილი ქალაქის ტერიტორიაზე იყო გაშენებული.

გამომდინარე იქიდან, რომ ნავთის ქარხნები ქალაქის ტერიტორიაზე იყო, ეს ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა ქალაქს, სამხედრო დაპირისპირების არსებობის შემთხვევაში, სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბა 1891 წელს შესაბამისი კომისია გამგეობაში, რომელსაც უნდა გამოეყო ალტერნატიოლი ტერიტორია ქარხნების ქალქის ტერიტორიიდან გადასატანად. ამ პროცესებში აშკარად გამოიკვეთა სხვადასხვა მხარეები, ძირითადად მენავთეებს არ სურდათ ქარხნების ქალქგარეთ გადატანა, მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა ქალაქის სამხედრო ინტერესებს (აცსა. ფ.7 ა.1, ს.73;117) განხილვის პროცესში მენავთეების მხრიდან განიხილებოდა რამოდენიმე ვარიანტი მენავთობე ქალაქის მოსაწყობად: მდ.ყოროლისწყლის ველი, რომელიც ქალაქიან 2-3 ვერსით იყო დაშორებული, ჩაქვის წყლის შესართავი, რომელიც დაახლოებით ქალაქიდან 12 ვერსით იყო დაშორებული და ასევე მდიანრე ჭოროხის ველზე კაპანდიბი, რომელიც 9 ვერსით იყო ქალაქიდან დაშორებული.

გამომდინარე იქიდან, რომ პირველი ვარიანტი უფრო ხელსაყრელი იყო, ვინადან მეორე და მესამე უფრო ძვირი დაჯდებოდა, მდებარეობის გამო, ვინაიდან ის ქალაქიდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული, სწორედ ამის გათვალისწინებთ კომისიამ დასამტკიცებლად გამგეობას პირველი ვარიანტი წარუდგინა (აცსა. ფ.7 ა.1, ს.73;208-210)

ბათუმიდან ნავთობპროდუქტების გატანის ზრდა პირდაპირ აისახებოდა პორტის საერთო ტვირთბრუნვაზეც. თუ წინა წლებში ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა 500.000 ფუთს შეადგენდა, უკვე 20 წლის შემდეგ , 1899 წლის მონაცემებით ეს ციფრი 90 000 000 ფუთს მიაღწია,ამ ციფრმა კი 1903 წლისათვის 107 000 000 ფუთი შეადგინა.ამ პერიოდისათვის ბათუმის პორტის ძირითად შემოსავალს ექსპორტი შეადგენდა.

ძ ირითად საექსპორტო მადნეულს სწორედ ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, თუ 1892 წლის მონაცემებით საექსპორტო ნავთობპროდუქტების რაოდენობა 51 419 838 ფუთი შეადგინა, 1893 წლისათვის უკვე 55 397 994 ფუთამდე გაიზარდა , ხოლო 1902 წლისათვის მათი ციფრი 78 338 800 ფუთს აღწევდა (Батумь и его окрестности;1906;310-311).

გარდა ნავთობპროდუქტების ექსპორტისა, დიდი ყურადღება ექცეოდა სპილენძის სადნობ ქარხნებსაც. 1890 წელს სოფელ ერგეში, ბათუმიდან 11 ვერსის დაშორებით გერმანელმა მრეწველებმა რობერტ როიხნერმა და ანტონ სალერნიმ სპილენძის სადნობი ქარხანა ააგეს, რომელსაც შეეეძლო წელიწადში 50-60 ფუთი წითელი სპილენძის დამუშავება (Батумь и его окрестности;1906;455). რუსეთში სპილენძის მრეწველობას სამ რეგიონში ახდენდა: კავკასიაში, ურალსა და ყაზახეთში.

რიხნერის საქმიანობაზე ყურადღებას ამახვილებს გაზეთი " ივერია" და იქ ვკითხულობთ შემდეგს: „ ამ რვა წლის წინად სოვდაგარი რ.ა. რიხნერი შემდგომია სპილენძის მადნის დამუშავებას ართვინის ადგილებში და ამ საქმეზე დაუხარჯავს 800 000 მანეთი. მაგრამ მალე ბატონ რიხნერს და მისს ამხანაგს ბატონ სალერნის რაღაც ერთმანეთში დავა ასტეხიათ... ეხლა მარტო ბატონ რიხნერს დარჩენია ეს მადანი, რომელიც ისე მდიდარია თურმე სპილენზით, რომ მას სხვა მადანი რუსეთში არ შეედრებაო. და ხელახლა შესდგომია საქმეს მარტო, უამხანაგოდ და არა მარტო ხოტში, რომელიც ართვინის მაზრაშია, არამედ აჭარაშიც სოფელ მერისშიო. მადნის გადასადნობელი ქარხანა რიხნერს ბათომიდან 12 ვერსზე თურმე სოფელ ერგეში აქვს და მოწყობილი აქვს უკეტესის მანქანებით, საზღვარგარეთიდამ მოტანილებითა. თითონ მადანი გადასადნობად ართვინის მაზრამ ჭოროხის წყლით მოაქვთ და აჭარიდამ კი ჩარვადრები ეზიდებიანო. ბათომიდან ქარხანამდე მშვენიერი გზატკეციალია და ბათომსი მოტანა ხალსის სპილენძისა ბევრი არ ჯდებაო...

ზემოთხსენებული ამბავი აღსანისნავია, როგორც ერთი იმისთანა მაგალითი, რომელიც გვაუწყებს, რომ ჩვენს გამრჯელობას სძინავს , ჩვენ ჩვენშივე ბრმასავით დავიარებით, ვერა ვხედავთ რის მომცემია ჩვენი ქვეყანა" (ივერია;1896;N53)

XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისისათვის სპილენძის სფეროში ახალი ინგლის -ამერიკული კაპიტალი შემოდის, გარდა ამისა აქტიურდება გერმანული კაპიტალიც.

1901წ ლის მონაცემებისათვის სპილენძის დამუშავება სბათუმის ოლქში სულ 14 სამთო-სამრეწველო ორგანიზაცია ეწეოდა, ამათგან ძირითადი ნაწილი უცხოელებზე მოდიოდა(88;21) 1901 წელს „კავკასისი სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ" მურღულის ხეობაში ჩაატარა სპილენძის მადნის საძიებო

საქმიანობა, რის შედეგადაც მოპოვებულ იქნა 400 მილიარდი ფუთი (66 მილიარდი ტონა) სპილენძის მადანი. 1902 წლისათვის კი ფირმამ რუსეთის ხელისუფლებისაგან მიიღო ბათუმის ოლქში სასურველი ტერიტორიების შეძენის , ქარხნების აგების და სპილენძის საბადოების განუსაღვრელი ვადით გადაცემა. 1903 წლისათვის ქარხანამ სულ გამოუშვა 31 000 ფუთი სპილენძი სულ 1901-1914 წლებში „კავკასისი სპილენძის სამრეწველო საზოგადოებამ“ ჭინკათხევის სამრეწველო კომპლექსის აღჭურვისათვის 20 მილიონი მანეთი დააბანდა.

1903 წელი	გაადნეს 31 000 ფუთი სპილენძი
1910 წელი	გაადნეს 101 000 ფუთი სპილენძი
1913 წელი	გაადნეს 206 000 ფუთი სპილენძი

აჭარის სამრეწველო განვითარების გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ბათუმს, გარდა მადნეულისა პერსპექტიული იყო სუბტროპიკული კულტურების, რასაც მოჰყვა შემდგომ ჩაის პლანტაციების გაშენება ჩაქვის ტერიტორიაზე, რომელიც დიდი წარმატებით ვითარდებოდა დღითიდღე.

გილდიის საწარმოები:

ქალაქი, მაზრა	საწარმოების რაოდენობა	საერთო ბრუნვა (მანეთებში)	მოგება	გადასახადის თანხა
ბათუმი	195	32 554 000	733 000	12 000
სოხუმი	50	719 400	68 000	700
ქუთაისის მაზრა და ქ.ქუთაისი	326	4 211 000	375 000	7 200
სულ გუბერნიაში	1 327	44 521 654	1 562 180	35 000

არაგილდიის საწარმოები:

ქალაქი, მაზრა	საწარმოების რაოდენობა	საერთო ბრუნვა (მანეთებში)	მოგება	გადასახადის თანხა
ბათუმი	553	1 429 500	180 120	2 400
სოხუმი	80	365 600	74 400	200
ქუთაისის მაზრა და ქ.ქუთაისი	847	2 212 640	300 000	3 000
სულ გუბერნიაში	2666	5 632 560	760 741	9 000

ბათუმის ეს ტემპი არ შენელებულა შემდეგ წლებშიც, პირიქით ის უფრო და უფრო ვითარდებოდა და იზრდებოდა, 1902 წლისათვის ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა 1026 სავაჭრო და 366 სამრეწველო დაწესებულება(Батумь и его окрестности;1906;416)

საყურადღებოა აგრეთვე ხილის ექსპორტიც, რომელიც საკმაოდ დიდი წარმატებით მიმდინარეობდა: ფაქტიურად XX საუკუნისათვის ბათუმი იყო სიით მესამე სამრეწველო ცენტრი ბაქო და და თბილისის შემდგომ მთელს ამიერკავკასიაში. ბათუმი იქცა ამიერკავკასიაში ერთ-ერთ მნისვნელოვან ეკონომიკურ ზონად, სწორედ მისმა წინსვლამ და როლმა განაპირობა ქალქში დაარსება ბანკისა და ეკონომიკური თვალსაზრისით სტრატეგიული ობიექტების არსებობისა.

1903 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა სხვადასხვა ბანკი:

1. სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის საერთო ბრუნვა 1903 წლის მონაცემებით 84 მლნ 320 049 მანეთი და 90 კაპიკი შეადგინა.
2. თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება,წლიური ბრუნვა 167 მლნ.315 432 მანეთი და 16 კაპიკი.
3. საერთო კრედიტის ბათუმის საზოგადოება, 18 მლნ.676 345 მანეთი და 22 კაპიკი.

4. სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიურმა ბრუნვამ შეადგინა ჯამში 69 მლნ. 537 მანეთი და 90 კაპიკი.
5. რუსეთ-ჩინეთის ბანკის ბათუმის განყოფილება, რომლის წლიური ბრუნვა სეადგენდა 5 მლნ. 554 მანეთი და 87 კაპიკი.
6. ასევე ბათუმში გაიხსნა 1903 წელს სასოფლო ბანკიც, რომლის კაპიტალიც შეადგენდა 300 000 მანეთს.

სწორედ ყევლა მხრივ პროგრესირებამ განაპირობა ბათუმის აზიური ქალაქიდან ევროპულ ქალაქად გადაქცევას, ეს არ იყო გამოწვეული კონკრეტულად ერთი მიმართულებით განვითარებას, არამედ ამ პერიოდში ბათუმში თითქმის ყევლა სფეროში ხდებოდა წინსვლა, განვითარება, რაც ერთმანეთთან იყო ჯაჭვივებურად კავშირში. რათქმაუდან ყველაფერ ამის საფუძვლად მაინც უნდა ვივარაუდოდ ბაქოს ნავთობის ექსპორტის პროცესი.

როდესაც ვსაუბრობთ, ეკონომიკურ ზრდაზე, კუთხის განვითარებაზე, არ შეიძლება არ ვახსენოთ, და არ განვიხილოთ ბათუმის ეკონომიკური განვითარეს საქმეში სოფლის მეურნეობის მიმართულებაც. შეიძლება თამამდ ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა არანაკლებ მნიშვნელოვან, როლს ასრულებდა ეკონომიკური განვითარების საქმეში, თან არა მხოლოდ ბათუმის, არამედ ბათუმის მიმდებარე პერიფიერიბის. ვინაიდან, სოფლის პროდუქციის გამოტანამ სავაჭრო ასპარეზზე, წინაპირობა გახდა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ზრდისა. რაც ლოგიკურია, რომ აისახა ბათუმის ეკონომიკაზეც.

სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება პირდაპირ ბათუმის ეკონომიკის განვითარებაზე აისახებოდა. ნავთობპროდუქტებისა და სხვა წიაღისეულთან ერთად საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო ბათუმის საქალაქო ცხოვრების განივითარებისათვის, სასოფლო მეურნეობის განვითარება. სწორედ მრავალმხრივპროგრესირებამ შეუწყო ხელი ბათუმის სწრაფი ტემპით განვითარებას.

სოფლის მეურნეობის დარგებზე, როცა ვსაუბრობთ მნიშვნელოვანია მარცვლეულის კულტურები, მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა და მეციტრუსეობა.

საყურადღებოა, რომ მემამულეთა დიდ ნაწილს არაადგილობრივები წარმოადგენდნე „1905 წლისათვის ქობულეთამდე გადაჭიმულ რუს მემამულეთა შორის მხოლოდ ქართველი მიწათმფლობელი სევასტი ჭელიძე ყოფილა“ (გოგოლიშვილი; 1996;110)მიუხედავად რუსული კოლონიური პოლიტიკისა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე რუსული მმართველობა ხელს უჭყობდა აჭარაში მეურნეობის დარგების განვითარებას. სწორედ მათი ხელშეწყობთა და ინტერესით მოხდა აჭარისზღვისპირა ზოლში ახალი სუბტროპიკული კულტურების მოშენება.

„აჭარელნი იყვნენ ძველად მხნე მუშა-კაცნი, მხვნელ-მთესველნი (ივერია;1894;N68)მიუხედავად, იმისა რომ მარცვლეული კულტურა აჭარაში ერთ - ერთ მნიშვნელოვან და უძველეს დარგს წარმოადგენდა, რეგიონისთვის წამყვან დარგს მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. მარცვლეული კულტურიდან ძირითადად მოჰყავთ: სიმინდი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ხორბალი, ბრინჯი, ღომი, და სხვა.

ასევე საპატიო ადგილი ეჭირა აჭარაში, ბრინჯის კულტურასაც. „სიმინდისა დაბრინჯის ისეთი უხვი მოსავალი მოდის, რომ მისი დიდი ნაწილი ბაზარზე იყიდება“-წერდა ფრენკელი (80;83)ბრინჯის ორი ჯიში იყო გავრცელებული- მთისა და ჭაობის. „ჭაობის ბრინჯს ამიერკავკასიაში მეტოქეობა ვერ გაუწია მთის ბრინჯმა და პირველმა გავრცელებულობის მხრივ ბოლომდე შეინარჩუნა თავი გაბატონებული მდგომარეობა.

1892 წლის „ივერია“-ში ვკითხულობთ : „ფინანსთა სამინისტროს რამდენიმე თხოვნა მიუღია ფოთიდგან, ბათუმიდგან და ქუთაისიდგან იმისა, რომ აუარებელი სიმინდი გვაქვს, მაგრამ მყიდველი არსად არის, გვილპება და ამიტომ სიმინდის საზღვარგარეთ გაგზავნის ნება მოგვეცითო. ფინანსთა სამინისტროს ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, ხოლო შეუტყობინებია რუსეთის ყველა საერობო დაწესებულებებისათვის, შეგიძლიათ კავკასიაში იაფად შეიძინოთ სიმინდიო“ (ბენდიაშვილი;1892;26)

1903 წლის მონაცემები კი ბათუმის ოკრუგში, ასე გამოიყურებოდა, მარცვლეული კულტურის ნათესების მიხედვით: ხორბალი-628 დესეტიანაზე, ქერი-95, ღომი-66, ლობიო-314, ბრინჯი- 54, ჭვავი-2, სიმინდი-11.545 დესეტიანაზე .

გარდა მარცვლეული კულტურისა, ერთ-ერთ უძველეს კულტურას წარმოადგენს მევენახეობა. ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კულტურათაგანი, რომელიც დადასტურებულია არაერთ წყაროში, ვახუშტი ბატონიშბილთან ვკითხულობთ: „არს აჭარა ვენახოვანი, მოსავლიანი“. მევენახეობის უძველეს კულტურად დასამტკიცებლად შეგვიძლია დავიმოწმოთ არქეოლოგიური მასალებიც, ჭურები,ქვევრები და სხვა მეღვინეობისათვის დამახასიათებელი ნივთები. დიმიტრი ბაქარაზესთან გვხვდება ცნობა, რომ მას აჭარაში მიართვეს ღვინის წვენი, რომელსაც ადგილობრივები მასტიკას უწოდებენ.

გამომდინარე იქედან, რომ აჭარა საუკუნეების მანძილზე თურქული გავლენის ქვეშ იყო, ღვინის კულტურა ძალზე დაკნინდა. ვინაიდან თურქული პოლიტიკა რელიგიური მოტივებით კრძალავდა და განსაკუთრებული სისასტიკით ილაშქრებოდა მეღვინეობის წინააღმდეგ. მიუხედავად ასეთი პოლიტიკისა, ქართველ კაცში ვაზის სიყვარული ვერ ჩაკლეს, აჭარაში მაღლარი ვენახები იყო გაშენებული, ისევე როგორც სხვა დანარჩენ დასავლეთ საქართველოში, ეს გამომდიანრეობდა დასავლეთის კლიმატური პირობებისაგან. მაღალი ვენახები იყო გაშენებული, როგორც ზემო ასევე ქვემო აჭარაში, ძირითადად „ იზაბელა“ , რომელსაც ადგილობრივები „ადესას“ ეძახდა.

გამომდინარე აჭარის კლიმატისა და რელიეფური მდებარეობისა, ხელსაყრელი იყო თამბაქოს კულტურის მოშენებაც. მისი გამოჩენა ძირითადად მე-17 საუკუნიდან იწყება, მაგრამ მისი სამრეწველო საქმიანობად ქცევა უკვე მე-19 საუკინიდან იწყება.

1899 წლისათვის ქვემო აჭარაში თამბაქოს 566 პლანტაცია იყო, აქედან 443 გონიოს უბანზე მოდიოდა, ხოლო 70 ზემო აჭარაზე , 1903 წლისათვის კი თამბაქოს პლანტაციების 130 დესეტიანაზე მეტი ფართობი ეჭირა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დამტკიცებით შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ XX საუკუნის დასაწყისის წინა წლებში შედარებით, თამბაქოს კულტურის განვითარება სწრაფი პემპით პროგრესირებს. მოწეული თამბაქოთი კი მარაგდებოდა, როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვრებს გარეთა ბაზრები, რაც თავისთავში დამატებით შემოსალებს გულისხმოს. ბათუმში ორი თამბაქოს ფაბრიკა არსებობდა. (ქცსა,ფ.130, ა1 ს. 184;38-39)

აჭარა, რომ ძალიან მდიდარი იყო, როგორც მადნეულით, ასევე სხვა პროდუქტებით, ამას არართი წყაროც გვიდასტურებს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ვიგებთ აჭარაზე: „ არს აჭარა ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი“. აქ მოდიოდა სხვადასხვა დასახელების ხილი, ხეხილი იმდენი მოდიოდა, აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარსაც და გაჰქონდათ ექსპორტზეც. გარდა იმისა, რომ ხილი ბევრი ქონდათ გასაყიდი, ხშირად ხდებოდა ხილის გადაცვლა იმ პროდუქტებში რაც აჭარაში ნაკლებად იყო.

ხილის დასახელება	გაყიდვა ბათუმში (ფუთებში)	გატანა რუსეთში (ფუთებში)	ფასი ერთი ფუთის
ვაშლი	1000-1200	20.000-50.000	40 კაპ-1 მან.20 კაპ
მსხალია	2000-4000	5.6000-10.000	24 კაპ-60 კაპ
კაკალი	200 ფუთამდე	15-3000-5000	1 მან.20 კაპ-1 მან. 60 კაპ

წლები	უმთავრესი	ყვლა დანარჩენი ფირმები	სულ გაიტანეს

	ფირმა		
1893	43.432,1	19.142	62.574,1
1894	47.683,3	90.61,8	56.745,1
1895	40.581,1	20.28,95	60.870,6
1896	35.656,2	12.485,4	48.141,6
1897	50.573,6	15.057,7	65.631,3
1898	56.883,8	11.553,9	68.437,7
1899	54.339,6	16.845,4	71.185
1900	48.684,1	16.679,5	65.363,6
1901	54.397,3	24.109,3	77.506,6
1902	57.511,3	26.674,5	84.185,8

„აჭარაში ხარობს საზამთრო და ნესვი, უხვადაა ყურძენი, აქაური მსხალი ძალზე გემრიელია„ (Батумь и его окрестности;1906;54) ასევე ხილისაგან საზამთროდ ამზადებდნენ აჭარაში ჩირს, ხოლო ამ ჩირისაგან ხოშიავს (კომპოტი), ასევე მსხლის მოდუღებით ისინი ბეთმეზს ამზადებდნენ, რომელსაც ძირითადად შაქრის შემცვლელად იყენებდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორიც საშინაო, ისევე საგარეო ბაზარი მარაგდებოდა ბათუმიდან, გაჰქონდათ 20-25 000 ფუთი ვაშლი და 12-15 000 ფუთი მსხალი (Батумь и его окрестности;1906;441) რაც შეეხება ჩაის, ყევლა პირობა იყო აჭარაში, განსაკუთრებით კი შავიზღვისპირა ზოლში მის მოსასენებლად. აჭარას რომ ხელსაყრელი მდებარეობა ქონდა ჩაის კულტურის განვითარებაში, ამას ერთხმად აღიარებდნენ ფრანგი და გერმანელი ნატურალისტები, ისინი ერთხმად აღიარებდნენ აჭარის პერსპექტივას ამ კულტურების განვითარებისათვის (Батумь и его окрестности;1906;16)

რუსეთის მხრიდან დაინტერესება იყო ბათუმი უფრო შემოსავლიან და სტრატეგიულ რეგიონად გადაქცეულიყო, ამიტომ ძალას არ იშურებდა ჩაის კულტურის განვითარების პროცესისათვის შეეწყო ხელი. საქართველოში ჩაის ბუჩქი პირველად 1842 წელს იქნა შემოტანილი იალტიდან, სოხუმის ბოტანიკურ ბაღში, რაც შეეხება ბათუმის ოლქში ჩაის შემოტანას უფრო მოგვიანებით 1884 წელს იქნა, საქართველოში ჩაის და საერთოდ სუბტროპიკული კულტურების გაშენების საქმეში განსაკუთრებით დიდია ჩაქვის საუფლისწულო მამულის როლი. ჩაქვის მამულში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ჩაის გაშენების პროცესი, 1901 წლისათის დამუშავებული მიწის ფართობი შეადგენდა 194 დესეტიანს, რაც წინა წელთან შედარებით 94-ით მეტი იყო.

„კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ეს სანაპირო ზოლი გამოირჩევა რბილი ზამთრით და წვიმიანი ზაფხულით, ამას ემატება ნაყოფიერი და რკინით მდიდარი ნიადაგი... ჩაქვის საუფლისწულო მამულის პლანტაციებმა ჩემს ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე აქ ვნახე გულმოდგინედ მოვლილი და სარეველა ბალახისაგან გაწმენდილი სანერგეები, სადაც დაახლოებით 40-მდე იაპონური და ჩინური სასარგებლო მცენარე ხარობდა ბრწყინვალედ, ყევლა ეს უეჭველად არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ადგილობრივი ნიადაგი და კლიმატი სრულად ხელსაყრელია ამ ჯიშებისათვის“. (Батумь и его окрестности;1906;22)

დღითიდღე უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ხელისუფლება ჩაის კულტურის განვითარების საკითხთან მიმართებაში, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა უცხოური ჯიშების შემოტანა.მზადდებოდა სხვადასხვა ხარისხის ჩაი, როგორც დაბალი, ასევე მაღალი დასაშუალო ხარისხის.

ისინი ერთმანეთისაგან ფასითაც განსხვავდებოდა:

უმაღლესი ხარისხი- 1 ფუნტი -2 მანეთი და 40 კაპიკი;

პირველი ხარისხი-1 ფუნტი -2 მანეთი;

მეორე ხარისხი- 1 ფუნტი -1 მანეთი და 60 კაპიკი;

მესამე ხარისხი- 1 ფუნტი -1 მანეთი და 20 კაპიკი;

დაბალი ხარისხი- 1 ფუნტი -64 კაპიკი.

აჭარაში მეციტრუსეობა ოსმალეთის ბატონობის პერიოდშიც იყო გავრცელებული, განსაკუტრებით კი : მახინჯაურში, ციხისძირში, მწვანეკონცხსა და გონიოში. მაგრამ მეციტრუსეობის განვითარება მაინც იწყება რუსი მოახალშენეების ინიციატივით, სწორედ მათ სახელს უკავშირდება აჭარაში ციტრუსის მეურნეობის განვითარება.

„ჩვენი სანაპირო არის ტიპიური, ნესტიანი სუბტროპიკული ქვეყანა, რომელსაც ანალოგი თითქმის არ აქვს ევროპაში. სამაგიეროდ იგი არაჩვეულებრივად ახლოსაა ისეთ შორეულ, მაგრამ სუბტროპიკული თვალსაზრისით ბრწყინვალე ქვეყნებთან,

როგორებიცაა აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთი, იაპონია, ჰიმალაის სამხრეთი კალთები,

ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ახალი ზელანდია და ჩილე. მხოლოდ კოლხეთში, ბათუმის სანაპიროზე, შეგვიძლია ვნახოთ ჩვენ ისეთივე პირობები და არა შავი ზღვის უფრო ჩრდილოეთ სანაპიროზე სოხუმისა და სოჭის უკრუგებში“, ამ ინფორმაციას ვგებულობთ ჩვენ ა.ნ. კრასნოვთან, ასე ხატავს ის აჭარას, ბათუმს, მის ბუნებასა და მდებარეობას, ხაზგასმით აღნისნავს მის უნიკალურობას.

ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც ბათუმის ოლქის გუბერნატორის მიერს არის გაკეთებული ვკითხულობთ: „თუკი სუბტროპიკული კუტურების განვითარება მომავალში გაგრძელდება იმავე გზით და იმავე ტემპით, რომელიც აქამდე იყო, სავსებით უნდა ველოდოთ მანდარინის, ლიმონის, ჩაის, ბამბუკის იმპორტის მნიშვნელოვნად შემცირებას. XX საუკინისათვის იმდენად გაიზარდა ციტრუსების მოყვანა, რომ თამამად და ღირსეულად გაუსწრო ჩაის კულტურა ფაქტიურად ყოველ დღე იზრდებოდა ბათუმი, როგორც ქალქი ექონომიკურადაც და სოციალურადაც, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მომხდარმა მოვლენებმა საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ბათუმის პროგრესირების საკითხს. ამ პერიოდში აღმოჩენილ იქნა ამერიკაში, ინდოეთსა და ბირმაში ნავთობის ახალი საბადოები, სწორედ ამან დააკარგვინა ბათუმს ძველი დიდება, ვინაიდან აღარ იყო ბათუმი ერთადერთი წყარო აღმოსავლეთისათვის ნავთობის მიწოდების საკითხში, რათქმაუდნა ამ პროცესებმა უარყოფითი გავლენა იქონია ბათუმის სამრეწველო ცხოვრების განვითრებაზე.მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი ვითარდებოდა XIX საუკუნის

ბოლოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით, პროგრესს განიცდიდა ყოველდღიურად, XX დასაწყისისათვის ეს ვითარება რადიკალურად სეიცვალა, ვინაიდა გარემო ფაქტორებმა დიდი გავლენა იქონია ყველაფერ ამაზე, ჯერ იყო ბათუმის ნავსადგურის მეორე ხარისხოვნად გადასვლის საკითხი, რამაც ვაჭრობაზე იქონია უდიდესი გავლენა, ერთგვარი ჯაჭვის დაშლა მოხდა,ბოლოს კი 1914 წლის მოვლენებმა იქონია უმთავრესი როლი, როცა მთელი მსოფლიო ჩაერთო ომში.

& 4.კულტურისა და განათლების განვითარება ბათუმში და თვითმმართველობა

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა „(მურიე;1962;86).

XIX-XX სს კულტურული თვალსაზირისით, ერთ-ერთ გამორჩეული პერიოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც მიმდინარე პროცესების თავისებურებებით, ასევე მისი შედეგებით. ეს არის პერიოდი, როცა აქტიურ ფაზაში შედის მუშაობა, სახალხო სკოლების გახსნის საკითხთან დაკავშირებით. ეს არის პერიოდი, როცა საზოგადოებაში ჩნდებიან „თერგდალეულები“, რომელთა ძირითადი საქმიანობას, სწორედაც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას წარმოადგენდა. ასევე ჩამოყალიდა და მნისვნელოვან საქმიანობას ატარებდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის ძირითადი ფუნქციაც სწორედაც, რომ სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელსეწყობა იყო მისი ფუნქციონირებისათვის, გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ (1868) და „დედა ენა „ (1876).

1880-1885 წწ საქართველოს მასშტაბით სულ 230 სკოლა ფუნქციონირებდა, მაშინ როცა 70-იან წლების აჭარაში მხოლოდ ორი ტიპის სკოლა იყო, რომელიც არც ისე თუ მაღალი დონით გამოირჩეოდა. აქედა, ერთი იყო ბერძნული, ხოლო მეორე, თურქული სკოლა.

ვინაიდან და რადგან, სწავლა-განათლება ძიღითადად არაქართულად მიმდინარეობდა, ეს კიდევ უფრო დრამატურ სურათს იძლეოდა, სწორედ ამიტომ, გაჩნდა საზოგადოებაში მოთხოვნილება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართულად საგანამანათლებლო პროცესის წარმართვისა. მშობლიური ენის წინ წამოწევის საკითხს, სრულებით იზიარებდა საზოგადო მოღვაწე და აქტიურად ჩართული მიმდინარე პროცესებში, მემედ აბაშიძე. მემედ აბაშიძის აზრით, როდესაც ხალხი ივიწყებს მშობლიურ ენას, ეს ნისნავს დაივიწყოს მისი ეროვნული.

უმთავრესია მოსწავლეს მისი მშობლიური ენა ესმოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებულია მისი სხვა საგნების სწავლება (სამ.დას.საქ.ისტ.ნარკ; III ტ; 2008 წ;512)

მემედ აბაშიძე აქტიურად იყო ჩართული ყველა იმ წამოწყებაში, რომელიც უკავშირდებოდა ქართულს, ეროვნულს და იყო მიმართული ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. 1880-იანი წლებიდან ქართულენოვანი სკოლაბეი ამოქმედდა: ბათუმში, ქობულეთსა და შავშეთში.

ბათუმში პირველი ქართული სკოლა 1881 წლის 23 მარტს გაიხსნა, ეს იყო პატარა შენობა, სკოლა განლაგებული იყო 3 ოთახში, სადაც სულ 28 მოსწავლე ირიცხებოდა. მიმდინარე პროცესებში აქტიურად იყო ჩართული ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სიტყვითაც მიმართა დამსწრე საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძე და მემედ აბაშიძე ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები ეროვნული და საგანმანათლებლო პროცესების განვითარების საქმეში.

ვინაიდან ამ პროცესებს წინ უძღვოდა „მუჰაჯირობა“,რათქმაუნდა არ ჩაუვლია უკვალოდ, სკოლები განიცდიდა მოსწავლეთა სიმცირეს, ამ მიზნით დაიწყო აქტიური მუშაობა. აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში, პირველი სკოლის პედაგოგი- მოსე ნათაძე.

1882-1891 წწ სერგეი მესხი აფასებს მოსე ნათაძის საქმიანობას: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავიარებოდი ნათაძის გაკვეთილებზე და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებები გამოვიტანე. ბატონი ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველ ნიადაგზე იქნება დამდგარი...ერთი სასიკეთო თვისებაც შევნიშნე ბ.ნ ნათაძეს: იმას კეთილი განწყობილება გაუმართავს, შეუთვისებია და დაახლოებია ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს და ეს დიდ დამსახურებად ჩაითვლება (დროება;1882;N270)

ბათუმი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული, ვინაიდან აქ რელიგიური განსხვავება არ უნდა გამხდარიყო ანტიეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების მიზეზი. სწორედ, ამიტომაც იყვნენ ძალიან აქტიურად ჩართულები, ყველა ეროვნული მოღვაწე, ვინაიდან პროცესები არ გადასულიყო ქვეყნის

ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათი დიდი დამსახურება, აჭარაში პროცესების სწორად წარმართვისა, მიუხედავად რუსეთის იმპერიის მხრიდან უამრავი მცდელობისა, როგორმე სათავისოდ გამოეყენებინა რელიგიური ფაქტორი, ქართველთა შიდა დაპირისპირების მიზეზად, მაგარამ მცდელობა დარჩა მხოლოდ მცდელობა, თუ არ ჩავთვლით მცირე ექსესებს. რელიგიური ფაქტორის სათავისოდ გამოყენებას ოსმალეთის გულმოდგინედ ცდილობდა, მიუხედავად მომხრეებისა, მათმა მცდელობამაც ვერ გამოღო მათი სასურველი შედეგი.

სწორედ ამიტომ, მოძღვრავდა განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე იმ მასწავლებლებს, რომლებსაც ქონდათ შეხება მუსლიმ მოსწავლეებთან, მათ მთავარ ფუნქციას განათლების მიცემასთან ერთად იყო ეროვნული სულისკვეთების გაღვიძება მათში, მათ უნდა ეგრძნოთ, რომ მხოლოდ რელიაგია იყო განსხვავება და ისეთივე ქართველები იყვნენ ისინი, როგორც დანარჩენი ქართველები (ქრისტიანი ქართველები), ამ მიმართულებით განუსაზღვრელია ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის მიერ გაწეული შრომა.

1881 წელს სკოლა მხოლოდ 3 კლასის ჩათვლით ფუნქციონირებდა, ხოლო სემდგომ 1886 წლისათვის სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება 6 კლასის ჩათვლით. ამავე წელს გაიხსნა ქალთა დაბალი ტიპის რუსული სასწავლებელი, რომელიც შემდგომ გადაკეთდა მარიამის ქალთა სასწავლებლად. ამის პარალელურად, გაიხსნა ბერძნული და სომხური სკოლები. გარდა სახელმწიფო სკოლებისა, ასევე ბათუმში 90-იან წლებში აქტიურად იხსნებოდა კერძო ტიპის სკოლები. 1888 წელი-პალიევა, 1893 წელი-ლუბედივას, 1902 წელი-ჟელტუხინას, 1902 წელი-ბერაიას, 1903 წელი-მეფოსოვის. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის კერძო სკოლა არსებობდა უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის, ისინი ვერ ახდენდნენ დიდ გავლენას საგანმანათლებლო პროცესზე, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ შესაბამისი რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური კუთხით.

გარდა იმისა, რომ სკოლები იხსნებოდ აბათუმში, ასევე 1908 წელს უკვე სკოლა გაიხსნა მაღალმთიან აჭარაში (ხულოში), სადაც წერა-კითხვასთან ერთად, ჭრა-კერვას სწავლობდნენ გოგონები. ქართული ინტელიგენცია აქტიურად იყო

ჩართული სკოლების გახსნის საკითხით, სწორედ მათი დიდი მუშაობის შედეგად გაიხსნა შემდეგი სკოლები:

წელი	**ადგილმდებარეობის დასახელება**
1885	სოფ.ახალშენი
1886	აჭყვა
1890	დაგვა
1892	ხულო
1900	ორთაბათუმი
1905	ქედა
1905	კვირიკე
1908	ყოროლისთავი
1908	ბარცხანა
1910	ჩაქვი
1914	წყავროკა
1914	ანგისა

გამომდინარე იქედან, რომ 1914 წელს მსოფლიო ომი დაიწყო შეფერხდა ახალი სკოლების გახსნა,უკვე არსებული სკოლების ნაწილმა კი შეწყვიტა ფუნქციონირება.

ძალიან დიდი როლი აქვს, ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის გახსნის საქმეში ბათუმის თავ ლუკა ასათიანს, საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავვმჯდომარე გრიგოლ ვოლსკისა და თვითმმართველობის მდივან ივანე მესხს.

გიმნაზიაში მოსწავლეები მიიღებოდნენ 8 წლიდან, სასწავლო საგანთა ჩამონათვალი კი, რასაც ასწავლიდნენ, იყო შემდეგი: საღვთო სჯული, რუსული გრამატიკა, რიტორიკა, პოეტიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ფიზიკა, კანონმდებლობის ისტორია, სოფლის

მეურნეობა, სამოქალაქო არქიტექტურა, უცხო და ლათინური ენები, სუფთა წერა, ხატვა-ხაზვა, ფაკულტეტური წესით სხვა საგნებიც ისწავლებოდა. სწავლება მიმდინარეეობდა რუსულ ენაზე, ხოლო ქართული ენა ისწავლებოდა, როგორც ერთ-ერთი საგანი (სამ.დას.ისტ.ნარკ;ტIII;555)

ასევე, აღსანისნავია ექვთიმე თაყაიშვილის როლი, ბათუმის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში, რომლის თაოსნობითაც 1907 წელს ჩამოყალიბდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელსაც ბათუმში 1908 წლიდან ილია ფერაძე ჩაუდგა სათავეში.

გარდა იმისა, სკოლა არის უმთავრესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არანაკლები დანისნულება აქვს ამ კუთხით ბიბლიოთეკების არსებობას. ბათუმში ბიბლიოთეკა გაიხსნა 1900 წელს. თავდაპირველად ფუნქციონირება დაიწყო, როგორც სახალხო ბიბლიოთეკამ, ხოლო შემდგომ მან შეიცვალა პროფილი და ფუნქციონირება გააგრძელა, როგორც საერო ბიბლიოთეკამ. ამ ყველაფრის სათავეში დგნენ ალ.წულუკიძე და ფ.მახარაძე.

1913 წელს კი ქალაქის თვითმმართველობის დაფინანსებით გაიხსნა კიდევ ერთი ბიბლიოთეკა. ქალაქის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა საგანმანათლებლო პროექტები, ბიუჯეტის შესაბამისად (ვინაიდან, ბიუჯეტში ვერ იქნებოდა განათლებაზე დიდი თანხა გამოყოფილი, რადგან პრიორიტეტი უფრო სხვა მიმართულებები იყო, მაგ:ქალაქის კეთილმოწყობა, ჯარი, პოლიცია და ა.შ)

XX საუკუნის დასაწყისში პუბლიცისტიკა ახალ საფეხურზე აიყვანეს მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა. ქართული მწერლობის წიაღში აღზრდილი მოაზროვნეები, მოვლენებს ეროვნული პოზიციებიდან ხედავდნენ და მკითხველში ქართულს სულს ზრდიდნენ. პუბლიცისტურ წერილებში მემედ აბაშიძე ხშირად მიმართავს , მსჯელობის დიალოგურ ფორმას, რადგან ამ დროს მაქსიმალურად ვლინდება პოლემიკის შინაარსის

სიმდიდრე. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, იგი გამორჩეული ოსტატია ქართულ პუბლიცისტიკაში. მისი წერილი:„ქართველი მაჰმადიანების გამოხმაურება“ ამის დადასტურებაა(სამ.დას.ისტ.ნარკ;ტIII;548). გარდა ამისა, ის აქტიურად იყო დაკავებული თარგმანის კეთებით, ძირითადად თურქულენოვალ ლიტერატურას თარგმნიდა ქართულ ენაზე, რაც ქართველ მკითხველს აძლევდა საშუალებას გაცნობოდა უფრო ახლოს აღმოსავლურ მწერლობას.

ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განათლების მიმართულებით: 1908 წელს შეადგენდა 200 რუბლის, 1911 წელს 300, ხოლო 1914 წლისათვის ისევ 200 რუბლი. ამით კარგად ჩანს, რომ არც თუ ისე დიდი თანხები იყო ბათუმის თვითმმართველობის ბიუჯეტში ამ მიმართულებისათვის გამოყოფილი, მიუხედავად სიმწირისა, მაინც ძალიან დიდი როლი ითამაშა ყოველივე ზემოხსენებულმა ბათუმის კულტურისა თუ განათლების პროგრესირების საქმეში.

ბათუმის თვითმმართველობა და მისი როლი, რეგიონის და ქალქის განვითრების საქმეში უდიდესია, ეს ძალიან კარგად ჩანს ნაშრომში წარმოდგენილ დოკუმენტურ თუ საგაზეთო მასალაში.

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი, მიუხედავად მოკლე მონაკვეთისა განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობას ატარებს, არა მარტო ბათუმის, არამედ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ ეროვნული მიმართულებით მომხდარი მოვლენების თვალსაზრისით.

დასკვნა

ბათუმის თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა თვითმმართველობის შექმნას, საინტერესო და საყურადღებოა, როგორ ვითარდებოდა ბათუმი თვითმმართველობის მიღებამდე და რა როლი შეასრულა მან ბათუმის განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის 70-იან წლები ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. ეს არის პერიოდი, როცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაშია, ხოლო დანარჩენი საქართველო რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ საზღვრებშია მოქცეული. რუსეთ-ოსმალეთს შორის საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო, მაგრამ ამ პროცესების საბოლოოდ ჩიხში შესვლისა და 1877 წელს ომის გამოცხადების მიზეზად იქცა ბოსნია და ჰერცოგოვინის აჯანყება, რომლის ღია მფარველად რუსეთი გვევლინება. ამ ქმედებას მოჰყვა, ოსმალეთის გაღიზიანება რუსეთის მიმართ, რამაც საბოლოოდ ომამდე მიიყვანა. რუსეთ-ოსმალეთის ომის ქართველებისთვის, არ ყოფილა ჩვეულებრივი ომი, ეს იყო მათთვის ერთადერთი ხსნა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედი, სამომავლოდ ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. სწორედ, ამიტომ დიდის ძალისხმევითა და მონდომებით ჩაერთო ქართველები აღნიშნულ ომში, ომში რომელიც ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. რუსეთის გამარჯვება პირდაპირ ნიშნავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლების საკითხს.

რუსეთ-ისმალეთის ომში, აშკარა რუსეთის იმპერიის უპირატესობით მიმდინარეობდა და შედეგიც შესაბამის დადგა. 1877-1877 წწ რუსეთ-თურქეთის ომის, რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

სან-სტეფასონს ზავით, მიღებულ იქნა და დადგინა ის საზღვრები, რაც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან უნდა გადასულიყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, სადაც, რათქმაუნდა შედიოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიც.

სან-სტეფანოს საზავო პირობებზე მუშაობდა 7 სახელმწიფო: რუსეთი, ოსმალეთი, ინგლისი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, საფრანგეთი და იტალია. რუსეთის ეს გამარჯვება ევროპისათვის ვერ გახდა სახარბიელო, ვინაიდან აქ შედიოდა ისეთი სტრატეგიული, ეკონომიკური მნიშვნელობის ადგილი-ბათუმი. ბათუმის საკითხმა გამოიწვია კონფერენციის წევრებს შორის ვნებათა ღელვა, საბოლოოდ კი მივიდნენ კონსესუსამდე, რომლის მიხედვითაც, ბათუმი უნდა გადაცემოდა რუსეთს, როგორც პორტო-ფრანკო. ვინაიდან, ამით მათი ინტერესებიც იქნებოდა გათვალისწინებული და თავიდან აირიდებდნენ რუსეთის უფრო მეტად გაძლიერებას, ვინაიდან ეს მათ დიდი დარტყმას მიაყენებდა.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი დაიკავა ქართველმა და რუსმა მხედრობამ, ოსმალეთმა კი დევრიშ-ფაშას მეთაურობით აჭარა დატოვა. აჭარა დაუბრუნდა დედა სამშობლოს, რაც ძალიან დიდი ვნებათა ღელვისა და სიხარულის მიზეზი გახდა. დიდი სიხარულითა და აღტაცებით შეხვდნე ამ ისტორიულ მოვლენას მოწინავე ქართული საზოგადოება.

1878 წლის 20 ოქტომბერს ქალაქში შევიდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი და მან იარსება 1886 წლის 27 ივნისამდე, ვიდრე იგი არ გაუქმდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სპეციალური ბრძანებულებით.თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის არსებობამ ბათუმში გამოიწვია ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა,რაც გახდა ქალაქის მთელი ეკომიმიკური დაწინაურების საფუძველი. ამას მალე დაემატა ისიც, რომ ბათუმის გახდა ბაქოს ნავთობის ექსპორტის ძირითადი ცენტრი, რამაც განაპირობა სარკინიგზო ხაზის გაყვანა, რომელმაც ბათუმი დააკავშირა ბაქოსთან. რის შემდეგაც, რამდენჯერმე გაიზარდა ბათუმიდან ექსპორტის წილი.ბათუმიდან მსოფლიო ბაზრებზე ექსპორტის მაჩვენებელმა 1884 წელს 3.745.653 ფუთი ნავთობპროდუქტი, ხოლო 1893 წელს 55.397.994 ფუთი შეადგინა. მიუხედავად იმისა,

რომ პორტო-ფრანკოს რეჟიმს თან ახლდა მახინჯი ნაკლოვანებები, უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის განვითარების საქმეში უმთავრესი როლი შეასრულა.

1879 წლის 3 თებერვალს რუსეთ-ოსმალეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა დრო, საკუთარი ადგილებიდან ასახლების და ოსმალეთში გადასახლების. 1879 წლის 3 თებერვლიდან იწყება, მუჰაჯირობის პროცესი. გადასახლების დრო განისაზღვრა 3 წლით, 1882 3 თებერვალი. ეს პროცესი ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთვის და არა მარტო მათთვის. მასიურად დაიწყო მოსახლეობის გადასახლების პროცესი, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა. რუსეთს, სურდა გამოთავისუფლებული მიწების სათავისოდ გამოყენება, ოსმალეთს კი, მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ. მიუხედავად პროპაგანდისა და დიდი ძალისხმევისა, აქ უფრო ოსმალეთი აქტიურობდა, აჭარა არ დაუტოვებია იმდენს ადამიანს, რა მოლოდინიც იყო, ვინაიდან აქტიურად მუშაობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გადასარწმუნებლად, ქართული ინტელიგენცია. სანამ ბათუმის რუსეთის შემადგენლობაში გადავიდოდა, მისი ეკონომიკა ძალიან დაბალ დონეზე იდგა, ბათუმის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ნავსადგურის მშენებლობა და სარკინიგზო გზის გაყვანა, რამაც საკუთრივ შედეგიც გამოიღო.

1879 ქლის 20 სექტემბრს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის ხელმოწერილი დოკუმნეტით, დაადასტურა ბათუმის ოლქის შექმნა. ბათუმის ოლქი სამ ოკრუგად დაიყო:

1.ბათუმის ოკრუგი-ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უბნები.

2. ართვინის ოკრუგი-არტანუჯის, აღთვინისა და შავშეთის უბნები.

3.აჭარის ოკრუგი-ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და მაჭახლის უბნები (Френкелъ;1879;122)

ვინაიდან ბათუმის ოკრუგი ცალკე ერთეულად იქნა გამოყოფილი, ამ ყველაფერს თავისი ახსნა მოუძებნეს შორეულ რუსეთში, ამის მიზდეზად ორი მიმართულება გამოყო, ჯერ ის, რომ ხელს შეუშლიდა აჭარის საქართველოსთან შერწყმისა და მეორე, ამით ხელისუფლება აჭარის კოლონიზაციის პროცესს უფრო დააჩქარებდა.

ნავთობის ექსპორტი ყოველდღიურად იზრდებოდა, რაც პირდაპირ აისახებოდა ეკონომიკურ განვითარებაზე. თუ 1884 წლის მონაცემებით ბათუმის ნავსადგურიდან გატანილი ნავთობპრუდუქტების ხვედრითი წილი 3.745.653 ფუთა იყო, 1893 წლის მონაცემებით ეს ციფრი გაიზარდა 55.397.994 ფუთამდე, ხოლო 1902 წლისათვის მიაღწია 78.338.800 ფუთას.

აჭარის რეგიონის განვითარების საქმეში ძირიტადი წილი სწორედ ბათუმზე მოდიოდა. ამაზე მოწმობს ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა. თუ 1878 წლისათვის ტვირთბრუნვა 500.000 ფუთას არ აღებატებოდა, 1899 წელს ეს ციფრი 90.000.000 ფუთამდე გაიზარდა, ხოლო 1903 წლისათვის ამ ციფრმა 107.700.00 ფუთას მიაღწია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარა არანაკლებ მდიდარი იყო სასოფლო-სამეურნეუ რესურსის კუთხითაც. მიუხედავად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა, რაც ნაწილობრივ აფერხებდა სოფლის-მეურნეობის განვიტარებას, მაინც დიდი იყო მისი როლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში. ძირითადი სოფლის-მეურნების საქმიანობას წარმოადგენდა: მარცვლეული კულტურების მოყვანა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან აჭარის შავიზღვისპირა ზოლში, აქტიურად იწყება სუბტროპიკული კულტურების მოშენება, რითაც განსაკუთრებით დაინტერესებული იყო რუსეთის იმპერია და არც ძალისხმევას იშურებდა, ამ მიმართულებით განვითარების საქმეში. 1895 წლიდან ჩაქვში საუფლისწულო მამულების მოწყობას ჩაეყარა საფუძველი.

1886 წლამდე ბათუმის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენდა 14 408, ხოლო 90-იან წლებში მოსახლეობამ 28 508 მიაღწია. მათ შორის, გაჩნდა ვაჭართა და მრეწველთა შეძლებული მრავალრიცხოვანი ფენა. ბათუმის მაცხოვრებელთა მაღალი ფენისათვის მიუღებელი ხდებოდა ის პოლიციური მმართველობა, რაც მანამდე იყო ბათუმში დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე, 1885 წელს ბათუმის მოსახლეობის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართა კავკასიის მმართველობას საქალაქო თვითმმართველობის შემოღების თაობაზე. რამდენიმე წლიანი განხილვის და მსჯელობის შემდეგ, 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს მიენიჭა თვითმმართველი

ქალქის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, გარკვეული შეზღუდვებით. თუნდაც ქალქის თავის თანამდებობაზე გავრონსკის კანდიდატურით, ვინაიდან ის იყო რუსეთის იმპერიის მხრიდან მიღებული. 1894 წლიდან ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობას იკავებს ლუკა ასათიანი, რომელსაც უკვე გამოცდილება ქონდა, ის ქალაქს სათავეში 1901 წლამდე ედგა. 1902 წლიდან კი ამ პოზიციას იკავებს ივანე ანდრონიკაშვილი.

მიუხედავად ბიუჯეტის სიმწირისა, ბათუმის თვითმმართველობა აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო მიმართულებითაც. რათქმაუნდა პრიორიტეს წარმოადგენდა, ქალაქის კეთილმოწყობა, ნავსადგურის კეთილმოწყობა, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა , მაგრამ ბიუჯეტის შესაბამისად ხდებოდა კულტურილი და საგანმანათლებლო მიმართულებების დაფინანსებაც. თვითმმართველობის ფარგლებში და მისი ხელშეწყობით გაიხსნა არაერთი სკოლა და ბიბლიოთეკა.

მიუხედავად ქალაქის სწრაფი განვითარებისა, ეს არ ეხებოდა ქალაქის დაბალ ფენას. სწორედ ამით იყო მუშათა უკმაყოფილებაც გამოწვეული, რაც შემდგომ ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა. მალევე ბათუმი იქცა მუშათა რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრად.

1902 წლის 31 იანვარს მუშაობა შეწყვიტეს მანთაშევის ქარხნის მუშებმა, პროცესები მალე შეიცვალა და გასცდა მუშათა საყოველთაო გაფიცვას, ის ფაქტიურად მთელ ქალაქს მოედო. 1902 წლის 9 მარტს მუშათა გაფიცვის დასარბევად გამოსულმა ჯარმა დაიწყო ძალის გამოყენება, ამ შეტაკებას მოჰყვა დაშავებულებიც. დაიჭრა 54 ადამიანი და დაიღუპა 16. მიუხედავად მარცხისა, ეს მოვლენები გახდა ბიძგი ბათუმში პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებასა. ამიტომ აღინიშნებოდა 9 მარტი, როგორც მუშათა სოლიდარობისა და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის დღე. მუშათა ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში უდიდესი წვლილი აქვს „წერა-კითხვის“ გამავრცელებელ საზოგადოებას.

მიუხხედავად იმისა, რომ XX დასაწყისში ბათუმის ეკონომიკა რეგრეს განიცდის, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ მაშინ იჩენს თავს და იწყებს აქტიურ მუშაობას ეროვნული მოძრაოა. ბათუმში, და მის

შემოგარენში იხსნება სკოლები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, აქტიურად ითარგმნება წიგნები, ეს ყველაფერი კი გახლდა იმის წინა პირობა, რომ XX საუკუნის დასაწყისი, იქცა ბათუმისათვის კულტურული თვალსაზრისით, გარდამტეხი პერიოდი, რომლის კვალიც დღესაც აქვს შემორჩენილი ჩვენს ქალაქს.

სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო XX საუკუნის დამდეგს ბათუმის ოლქში, რთული, მძიმე, მაგრამ ამასთანავე საინტერესო, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბათუმის თვითმმართველობიდან მოყოლებული 1914 წლის ჩათვლით პერიოდი ბათუმის ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია, ვინაიდან ორმა ათწლეულმა წელმა ძირეულად შეცვალა რეგიონის მნიშვნელობა და როლი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1.ასმხფ, 4,საქ.30.

2.ასმხფ, 4,საქ.31.

3.ასმხფ, 4,საქ.300.

4.ასმხფ, 4,საქ.300.

5.ასმხფ, 4,საქ.303.

6. აცსა,ფ.1,ან.1,ს.51

7. აცსა, ფ. 6, ა.1, ს.1

8.აცსა ფ.6 ა.1, ს 252

9.აცსა, ფ.6 ა.1, ს 194

10.აცსა. ფ .7 ა.1, ს.73

11.აცსა,ფ.1,ან.1,ს. 441.

12.აცსა,ფ.1,ან.1,ს.450.

13.აცსა,ფ.1,აღ.1.702.

14. აცსა,ფ.1,ან.1,ს.709.

15.აცსა,ფ.1,აღ.1.715.

16. სცსსა, ფ. 11, ა.1, ს.65

17. სცსსა, ფ. 12, ა.1, ს.156

18. სცსსა,ფ. 13, ან.1,ს.198

19. სცსსა,ფ.13,ან.1,ს.257.

20. სცსსა, ფ. 13, ა.4, ს.877

21. სცსსა, ფ.84,ან.1,ს.158

22. სცსსა, ფ. 416 ა.3, ს.163

23..ქცსა, ფ.130, ა.1, ს. 170

24. ქცსა, ფ. 130, ა.1, ს.180

25. ქცსა, ფ. 130, ა.1. ს. 184

26.ქცსა, ფ.130, ა.1,ს.258

27.ქცსა,ფ.186, ა.1, ს.759

28.“ ბათუმის გაზეთი „ 1911 N 22

29. „დროება“ 1878 N 192

30. „დროება“ 1879 N 14

31. „დროება“ 1879 N 32

32. „დროება“ 1879 N 44

33.“დროება“ 1979 N 150

34. „დროება“ 1879 N 87

35. „დროება“ 1880 N 99

36. „დროება“ 1881 N 4

37. „დროება“ 1881 N 173

38. „დროება“ 1882 N 34

39. „დროება „ 1882 N 39

40. „დროება“ 1882 N 110

41. „დროება“ 1882 N 195

42. „დროება“ 1882 N 257

43. „დროება“ 1884 N74

44. „დროება“ 1884 N77

45. „დროება“ 1884 N245

46. „დროება“ 1885 N193

47. „ივერია“ 1877 N15

48. „ივერია“ 1879 N 4

49. „ივერია“ 1886 N 24

50. „ივერია“ 1887 N 24

51. „ივერია“ 1887 N 84

52. „ივერია“1989 N 42

53. „ივერია“1994 N 54

54. „ივერია“1994 N 63

55.“ივერია“ 1894 N 68

56.“ივერია“ 1895 N 26

57. „ივერია“ 1996 N 53

58. „კვალი“1901 N 23

59. „კვალი“ 1902 N 39

60.“სხივი“ 1905, მარტი

61.ბაქრაძე 1987:ბაქრაძე,დ. „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“,ბათუმი.

62.ბენდიაშვილი 1982: ბენდიაშვილი ა., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბილისი

63. გოგოლიშვილი 1996: გოგოლიშვილი ო., „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითირება ბათუმის ოლქში 1900-1914 წლებში“

64.გოგოლიშვილი 2005 : გოგოლიშვილი ო. „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქ-ში 1900-21 წწ“

65. ვარშანიძე 2005:ვარშანიძე,ნ. ბათუმის საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (XIX ს-ის ბოლო მეოთხედი) „საისტორიო მაცნე“ XVI.

66. კარალიძე 2002: კარალიძე,ჯ. „ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, პირველი მსოფლიო ომის წინ , ბსუ, მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III.

67. კარალიძე 2003: კარალიძე,ჯ. „აჭარის განთავისუფლება და რუსული მმათველობის შემოღება, ბსუ-ს შრომების (ჰუმანიტარული მეცნიერებათა სერია) V

68. კლდიაშვილი 1984 : კლდიასვილი, დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

69. მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი, ს. „მოგონებანი“

70. მესხი 1964: მესხი, ს. „თხზულებები“ ტ III

71. მურიე 1962: მურიე, ჟ. „ბათუმი და ჭოროხის აუზი“.

72.საქართველოს ისტორია 1996: თბილისი

73. .საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970: V ტ.,(VII ტომად) თილისი.

74.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2008: III ტ.,(V ტომად)

75. სახოკია 1995: სახოკია, თ. „მოგზაურობა ბათუმში“

76. სვანიძე 1996: სვანიძე, მ. „ქართველები თურქეთში“.

77. სიორიძე 2003: სიორიძე, მ. „ბათუმის საბაჟო“.

78.სიჭინავა 1958: სიჭინავა, ვ. „ბათუმის ისტორიიდან“

79. სიჭინავა 1976 : სიჭინავა. ვ, „პრონტო-ფრანკოს როლის რუსეთ- საქართველოს ვაჭრობის განვიტარებაზე (ოდესა-ბათუმის მააგლითზე), მაცნე (ისტორიის, არქეოლოოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) N 3.

80. სიჭინავა 1996: სიჭინავა, ვ. „ქართველები თურქეთში“

81. სურგულაძე 1996: სურგულაძე.ა, სიორიძე, მ. „პრონტო-ფრანკო“.

82. ტატიშვილი 1948: ტატისვილი, ო. „ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება ბათუმში 1878-1920 წწ“.

83. უზუნაძე 2001: უზუნაძე , რ. „ნაოსნობა ბათუმის ოლქში“.

84. შაშიკაძე 2002: შაშიკაძე, ზ. „ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბსუ , მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III.

85. შველიძე 1993: შველიძე,დ. „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში,ფედერალისტები.

86. ჩხეიძე 1959: ჩხეიძე , ჯ. „ ბათუმის ისტორიის ნარკვევები“.

87. ჭავჭავაძე 1887: ჭავჭავაძე, ი. „თხზულებანი ტ. მე-8.

88. Батумь и его окрестности, Батумъ, 1906 г

89.Восточний вопрос во внешней политике России (конец XVIII- начало XX века) 1978 г.Москва

90.Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака (составленые Генералъного штаба подполковникомъ Казбекомъ) 1976 г.

91. Лисовский В.Я. Чорохский край,1887 г

92. Кавказъ, 1879 N 48

93. Кавказъ, 1879 N 155

94. Кавказъ, 1881 N 34

95. Кавказъ, 1882 N 32

96. Кавказский календар . 1879 г

97. Энциклопедический словар изд. Брокгауз Ф.А. и ефрон Н.А.Т. XXIV С-ПБ. 1998 г

98.История внешней политики россии. 1997 гю

99. . Мегрелидзе Ш.В. Вопросы Закавказъя в истории русско-турецкой воины 1877-1878гг. 1969г

100.” Обзоръ “,N 24 1878г

101. ” Обзоръ “,N 240 1878г

102. ” Обзоръ “,N 318 1878г

103. Сборник договорол с другими государствами (1856-1917) М. 1952 г.

104. Троцкий Н.А. россия в XIX В. 1999г.

105. Петровский Н. По Закавказъю и ново-покореннымъ областямь. “Друвняя и новая Россия “, М. N-3. 1879 г.

106.Френкелъ А. Очерки Чурук-су и Бфтума. 1879 г.